ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

akhalitaoba.ge

სამშაბათი, 18 დეკემბერი, 2018 №299 (7844) ფასი: 60 თეთრი

## ლევან ალაფიშვილი: „პრეზიდენტი კონსტიტუციას ახლაც, ჩვენი საუბრის დროსაც არღვევს“



გვ.3

„გახარია არ იყო პოლიტიკურად ნეიტრალური... მძიმე სანახავია, როცა პოლიციელი მოქალაქეს „ეკაჩავება“

# დავით კირკიტაძე დააკავეს



გვ.2

## მიხეილ სააკაშვილი: „საქართველოში მყარდება სუფთა რუსული ტიპის რეჟიმი





გვ.3

## გია ხუხაშვილი: „ნაციონალების ამოცანა საკუთარი ამომრჩევლის შენარჩუნებაა“

## მამუკა გამყრელიძე: „გახარიას ურჩევნია, საკუთარ დარღვევებს მიხედოს“



გვ.4

## „ზვიად გამსახურდიას მკვლელობის გამოძიებას ხელისუფლებაში მოკალათებული წითელი ინტელიგენცია ბლოკავს“



გვ.2

## კახა მიქაია: „ადრე თუ გვიან, ეს საქმე მაინც გაიხსნება“

### სამართალი

გვ.7

ნათია მეზვრიშვილი: „ყველა ის ადამიანი, ვინც რაიმე ფორმით კანონს არღვევდა, დაბარებული იქნება პოლიციაში“



„ბავშვებს სახლში ეპატიჟება და ცდილობს ფიზიკურად შეეხოს“ — რუსთავში 60 წლის მამაკაცს გარყვნილებაში ადანაშაულებენ



„მამიდას სასიკვდილო დაზიანებები მიაყენა და ცხედარი სარდაფში გადამალა“




### ეკონომიკა

გვ.6

მიხეილ ჯაფარიძე: „კომერციულ საბანკო საქმიანობასთან ერთად ბანკები აგრესიულ საინვესტიციო საბანკო საქმიანობაზე გადავიდნენ“





რა თანხას იღებენ მოქალაქეებისგან „აჭარაბეთი“ და „ბეთლაივი“ — კომპანიის ფინანსური მაჩვენებლები



„საქართველოს ბიზნესასოციაციის“ რჩევა მთავრობას: აუცილებელია, სწორ ეკონომიკურ განვითარებაზე კონცენტრირება და სასამართლოს რეფორმა

ISSN 1987-9385

4 „ოპოზიციას ინაუგურაციაზე ხახვი და კარტოფილი ჰქონდა წამოღებული და მისი დაშენა უნდოდათ“

5 ლევან ჩაჩუა: „ივანიშვილს მესამე ძალად ალეკო ელისაშვილი შემოჰყავს“

7 სოსო ოსორაულის ძმა — ჩემი ძმა არის ცოცხალი, მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია

5 ლანჩხუთში 2 წლის ბავშვმა წნევის წამალი დალია

# დავით კირკიტაძე დააკავეს

## „გახარიამ პოლიტიკოსების დევნა დაიწყო“

შორენა მარსაგიშვილი

საქართველოს შს მინისტრმა გიორგი გახარიამ დანაპირები აასრულა და ეელისციხის ინციდენტის მონაწილეების დაკავება დაიწყო. 16 დეკემბერს მან განაცხადა, რომ ვინც უკანონოდ მოიქნია ხელი, ყველას მიმართ დაიწყებოდა სამართლებრივი დევნა.

გახარიამ განსაკუთრებული ყურადღება ნიკა მელიას დაუთმო. ყველას ეგონა, რომ მის მიმართ აღიძრებოდა საქმე, მაგრამ პარლამენტის წევრს ეს ვერ გაუბედეს. სამაგიეროდ ყოფილი დეპუტატი დავით კირკიტაძე დააკავეს, რომელიც ველისციხის ინციდენტში აქტიურად მონაწილეობდა.

დავით კირკიტაძის დაკავებას ოპოზიციის მხრიდან დიდი ხმაური მოჰყვა. ყოფილი ხელისუფლების ლიდერებმა ამ დაკავებას დიქტატურის გაფორმება უწოდეს.

დიქტატურაზე ალაპარაკდა თავად დაკავებული კირკიტაძე. მან დაკავებამდე მცირე კომენტარი გააკეთა და თანამებრძოლებს ბრძოლის გაგრძელებისკენ მოუწოდა.

– საქართველოში მყარდება რუსული დიქტატურა. იბრძოლეთ ბოლომდე. ეს არის სახედაკარგული პოლიცია, შეშინებული, – განაცხადა დავით კირკიტაძემ.

დავით კირკიტაძის დაკავებას მიხეილ სააკაშვილი ფეისბუქლაივით გამოეხმაურა:

– დაწყებული არჩევნების მეორე ტურიდან, 16 დეკემბრის მოვლენებით გაგრძელებული და ნაციონალური მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერის, დავით კირკიტაძის დაკავებით, მინდა გითხრათ, კეთილი იყოს თქვენი მობრძანება რუსულ საქართველოში.

საქართველოში მყარდება სუფთა რუსული რეჟიმი ივანიშვილის და რუსეთის საგარეო დაზვერვის სამსახურის აგენტის, გახარიას მიერ. კირკიტაძის განეიტრალებით, მელიას განეიტრალებით, აქტიური რეგიონების ხალხის განეიტრალებით ივანიშვილი გართმევთ ბოლო იმედს, რომ როდესმე ამოძვრეთ ნეხვიდან, სადაც ის ძირავს საქართველოს. როდისმე ამოძვრეთ გაჭირვებიდან, როდესმე ისევ ნორმალურ ქვეყანაში ვიცხოვროთ. გაიგეთ თუ ჩვენ ახლა ამ ადამიანებს არ დავუდგებით გვერდზე, ხვალ თქვენც არავინ აღარ დაგიცავთ და ეს ხარბი მანიაკი, ახლად გამოჩეკილი დიქტატორი, ოლიგარქი ბოლომდე გაგძარცვავთ, უკანასკნელ კაპიკებს ამოგართმევთ ჯიბიდან და არ დაგაყენებთ საქართველოში, – განაცხადა სააკაშვილმა.

დავით კირკიტაძის დაკავებას „ევროპული საქართველოს“ ერთ-ერთი ლიდერი გიგა ბოკერია მთელი ოპოზიციისთვის გაგზავნილ უტიფარ გზავნილად მიიჩნევს.

გიგა ბოკერიას განცხადებით, კირკიტაძის ციხეში დატოვება იქნება ამ ძალიან რთული ვითარების კიდევ უფრო გართულება და ძალიან სახიფათო გზაზე დააყენებს ქვეყანას.



– მაშინ როდესაც ჩვენ ვიხილეთ სამარცხვინოდ ჩატარებული არჩევნები პირდაპირ ამომრჩევლების მოსყიდვით და, რაც მთავარია, დაშინებით და ძალადობით და გამოვლინდა ფაქტები პირდაპირ გაყალბების და ჩაყრისაც, მაშინ როდესაც ჩვენ ვიხილეთ პირველი ტურის შემდეგ ახალქალაქში დღისით-მზისით ოპოზიციური პარტიის, ვაშაძის შტაბის დარბევა ხელკეტებით და იარაღით, მაშინ როდესაც ჩვენ გუშინაც ვიხილეთ თავდასხმა სავარაუდოდ „ოცნებასთან“ აფელირებული პირებისა ოპოზიციის წარმომადგენლებზე, მაშინ როდესაც მთელი ამ პერიოდის განმავლობაში უამრავი შემთხვევა გვქონდა ოცნების წარმომადგენლების, ივანიშვილის რეჟიმთან დაკავშირებული ჯგუფების, მათ შორის შავრაზმული ჯგუფების მიერ ჩადენილი ძალადობის, მივარდნების ოპოზიციურ აქციებზე, სამოქალაქო ჯგუფებთან ძალადობის, მოწოდების ძალადობისკენ და მთელი სპექტრი გვქონდა ასეთი ქმედებების და არავინ დასჯილი არ არის ამისთვის.

გუშინ ამ ფონზე, 16 დეკემბერს უკანონო და ანტიკონსტიტუციური ბრძანების შესრულებისას პოლიციასთან მომხდარი ინციდენტების გამო, ოპოზიციური ფიგურის, დავით კირკიტაძის დაკავება არის ისედაც ღრმა პოლიტიკურ კრიზისში მყოფი ქვეყნის კიდე უფრო ღრმა კრიზისში შეყვანა ივანიშვილის რეჟიმის მხრიდან და წარმოადგენს დიდ ხიფათს ჩვენი ქვეყნისთვის. საბოლოო ჯამში ამ სამარცხვინო და უკანონო პოლიტიკას გადაყვება ივანიშვილის რეჟიმი, მაგრამ პრობლემა ისაა, რომ ამ პროცესში დიდი ხიფათი ექნება ჩვენი ქვეყნის არა მარტო დემოკრატიის, არამედ ნორმალური გავითარება და სტაბილურობის პერსპექტივას და ეს არის დიდი პრობლემა. მინდა კიდევ ერთხელ განვუმარტო საზოგადოებას – არ განიხილება ის, თუ ვის აქვს პოლიტიკური სიმპათია ამა თუ იმ პოლიტიკური ჯგუფის ან ფიგურის მიმართ, – აღნიშნა ბოკერიამ.

მისი თქმით, „ევროპული საქართველო“ არ მონაწილეობდა იმ საპროტესტო აქციაში, რომელიც კვირას მიმდინარეობდა. ამბობს, რომ ამ შემთხვევაში არ იხილება არც კირკიტაძის, არც სააკაშვილის, არც ნაციონალური მოძრაობის საკითხი.

– აქ იხილება საკითხი, რამდენად შორს წავა ივანიშვილის რეჟიმი ზოგადად ქვეყნის ჩიხში შეყვანაში, ჩვენი კონსტიტუციური თავისუფლების შეზღუდვაში, არჩევნების გაყალბებაში, ძალადობაში, კანონის უზენაესობის გათელვაში, შერჩევით სამართალში, ეს არის ის საკითხი, რასაც შეჰყავს ჩვენი ქვეყანა ღრმა კრიზისში. კირკიტაძის დაკავება ამ ვითარებაში არ ეხება კირკიტაძეს, ეხება ყველა ჩვენი მოქალაქის და მთლიანად პოლიტიკური სპექტრისთვის, ამ შემთხვევაში ოპოზიციური სპექტრისთვის გამოგზავნილ უტიფარ გზავნილს ივანიშვილის რეჟიმის მხრიდან, რომ ლიცენზია ძალადობაზე, უკანონობასა და ანტიოპოზიციურ ქმედებებზე აქვს მხოლოდ იმ ჯგუფებს, ვინც დაკავშირებულია ივანიშვილის რეჟიმთან. ხოლო სხვა შემთხვევაში ოპოზიციას შეიძლება დაუწესონ 30 კილომეტრიანი არეალი, რათა მათ ვერ განახორციელონ საკუთარი კონსტიტუციური უფლება და ამ უკანონო ბრძანების შესრულების დროს პოლიციელებთან მომხდარი ნებისმიერი ინციდენტისას ოპოზიციური ფიგურის დაკავება მოხდება ერთ დღეში.

ეს არის ძალიან მძიმე რეალობა და ძალიან მოკლე გზავნილი გვაქვს ჩვენ, „ევროპული საქართველოს“, ხელისუფლების მიმართ – ძალიან სახიფათო გზაზე დგახართ თქვენთვის, მაგრამ სამწუხაროდ, ჩვენი ქვეყნისთვისაც. დავით კირკიტაძის ციხეში დატოვება ამ პირობებში, რაც მე ჩამოვთვალე, იქნება ამ ძალიან რთული ვითარების ხარისხობრივად კიდევ უფრო გართულება და უცნობ გზაზე და ძალიან სახიფათო გზაზე ქვეყნის დაყენება. ამიტომ ჩვენი ძალიან მკაფიო მოწოდებაა ამ ხელისუფლებისთვის, რომელმაც უკვე უზარმაზარი ზიანი მოუტანა ჩვენს ქვეყანას და გუშინ და დღეს ეს ზიანი კიდე უფრო გააღრმავა, არ გადადგათ ეს ნაბიჯი თქვენი ინტერესების გამოც და ქვეყნის გამო, თუკი შეგრჩენიათ საღი აზრის ნატამალი, - განაცხადა გიგა ბოკერიამ.

გაერთიანებული ოპოზიციის ერთ-ერთ ლიდერ გრიგოლ ვაშაძეს არ უკვირს, რომ სამართალდამცავებმა დავით კირკიტაძე აიყვანეს.

– დავით კირკიტაძე არ არის ფარცხალაძე, დავით კირკიტაძე არ არის ბიძინა ივანიშვილის უახლოესი წრის წევრი და, რა თქმა

გაგრძელება მე-3 გვერდზე

# „ზვიად გამსახურდიას მკვლელობის გამოძიებას ხელისუფლებაში მოკალათებული წითელი ინტელიგენცია ბლოკავს“

## კახა მიქაია: „ადრე თუ გვიან, ეს საქმე მაინც გაიხსნება“

შორენა მარსაგიშვილი

რატომ არ იძიებს ხელისუფლება ზვიად გამსახურდიას მკვლელობას, ვინ მფარველობს „ოცნებიდან“ მკვლელებს, რატომ დუმს საზოგადოება? – ამის შესახებ „ახალ თაობას“ „დაიცავი საქართველოს“ ლიდერი კახა მიქაია ესაუბრება.

**კახა მიქაია:**

– ყველა ბოროტება და ქვეყნის წარუმატებლობა სწორედ საქართველოს პირველი პრეზიდენტის მკვლელობიდან იღებს სათავეს. ისტორიამ უკვე მიაკუთვნა ღირსეული ადგილი ზვიად გამსახურდიას!

გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ ილია ჭავჭავაძის შემდეგ, სწორედ მას ხვდა წილად, უკომპრომისო ბრძოლით, იდეისადმი ერთგულებით და თავგანწირვით გამხდარიყო ქვეყნის დამოუკიდებლობის და თავისუფლების სიმბოლო, მოსწონს ეს მავანს თუ არა!

მისი მკვლელობის გამოძიება, თითოეული ჩვენთაგანის და მთლიანად ქართული სახელმწიფოს ღირსების საქმეა.

***– ამ საქმის გამოძიება მართლაც სახელმწიფოს ღირსების საქმეა და რატომ არ იძიებს სახელმწიფო ამ საქმეს?***

– საქმის გამოძიება იმიტომ არ ხდება, რომ ის ხალხი, ვინც ეს მკვლელობა დაგეგმა და სისრულეში მოიყვანა, ყველა ხელისუფლებაში იყო. ჯერ შევარდნაძესთან იყვნენ, მერე სააკაშვილთან. ახლა კი „ოცნებაში“ არიან.

იმიტომ არ აწყობთ ამ საქმის გამოძიება, რომ ზვიად გამსახურდიას მკვლელობის გამოძიებით ყველაფერს აეხდება ფარდა.

ეს არის მართლა საუკუნის მკვლელობა და „ქართული ოცნება“ ვალდებული იყო, ეს საქმე გამოეძიებინა. გაგახსენებთ, რომ „ოცნება“ ხელისუფლებაში სამართლიანობის აღდგენის და გახმაურებული მკვლელობების გამოძიების დაპირებით მოვიდა. ამაზე გახმაურებული მკვლელობა ბოლო 100 წლის მანძილზე არ მომხდარა. „ოცნებას“ სამართლიანობის აღდგენა ამ საქმის გამოძიებით უნდა დაეწყო. კიდევ ერთხელ ვიტყვი, რომ საქართველოში ყველა უბედურება ამ მკვლელობის შემდეგ დაიწყო.

პირადად მე არ მიკვირს, რომ ამ საქმის გამოძიებას არც ერთი ხელისუფლება არ ცდილობს.



***– შევარდნაძის ხელისუფლებას რომ გამოეძიებინა ეს საქმე, ეგ იქნებოდა გასაკვირი. მიშას დროს დაიწყო, მაგრამ მერე გააჩერეს.***

– ამ ხელისუფლებამაც გააკეთა რაღაც. თვითმკვლელობა გადააკვალიფიცირა მკვლელობით, მაგრამ ამის შემდეგ გაჩერდნენ.

31 დეკემბერს ამ მკვლელობიდან 25 წელი გადის. ამ წლების განმავლობაში უამრავი რამ ითქვა. ცალკე ჩატარდა ჟურნალისტური გამოძიება. ჩვენ ფილმიც კი გადავიღეთ. პარლამენტში შექმნილი იყო საგამოძიებო კომისია. ყველაფერი თითქოს მზადაა.

ამ მკვლელობის გამოძიება არ აწყობს დღევანდელ ხელისუფლებას, სადაც მოკალათებული არიან შევარდნაძის დროინდელი ჩინოვნიკები და მათი ახლობლები. „ოცნების“ რიგებშია მთელი ელიტარული კასტა, რომელიც ზვიად გამსახურდიას მკვლელობის დაგეგმვასა და მის განხორციელებაში მონაწილეობდა. ამიტომ გასაკვირი არაა, რომ საქმე ბოლომდე არ მიჰყავთ.

***– ხელისუფლებას „საპატიო“ მიზეზი აქვს, მაგრამ რატომ დუმს საზოგადოება. ზვიად გამსახურდია შეიძლება არ მოგწონდეს, მაგრამ ის იყო საქართველოს პირველი პრეზიდენტი და წესით, ყველას უნდა აინტერესებდეს, ვინ მოკლა პრეზიდენტი.***

– საზოგადოება კი არ დუმს, არამედ თავს იკავებს. საზოგადოების ბევრი ცნობილი სახე თავის გამოსვლებში სულ სამართლიანობის აღდგენას და გახმაურებული მკვლელობების გამოძიებას ითხოვს. ეს ხალხი რატომ არ ამბობს, რომ ზვიად გამსახურდიას მკვლელობა არის საუკუნის მკვლელობა.

პირდაპირ გეუბნებით, ის ხალხი, ვინც ახლა ხმამაღლა ყვირის სამართლიანობის აღდგენაზე, 25 წლის წინ ღიად უჭერდა მხარს ზვიად გამსახურდიას დამხობას. ბევრი მათგანი მონაწილეობდა კიდევაც ამ დამხობაში.

ახლა რომ მშვიდობის ჩიტები და გვრიტები არიან, 25 წლის წინ ისინი პუტჩისტები იყვნენ. ზოგიერთი მათგანი პუტჩისტზე უარესი იყო.

***– პუტჩისტზე უარესში რას გულისხმობთ?***

– ინტელიგენციის ნაწილს, რომელსაც დღეს თავი მშვიდობის გვრიტად უჭირავს, მაშინ ავტომატი ეკავა ხელში. იარაღის აღებისთვის მათ ედუარდ შევარდნაძემ საჯაროდ გადაუხადა მადლობა. იყვნენ ისეთები, ვისაც იარაღი არ აუღია, მაგრამ უარესი გააკეთეს. მხედველობაში მყავს პუტჩის იდეოლოგები.

პირადად ჩემთვის პუტჩის იდეოლოგი უფრო დიდი დამნაშავეა, ვიდრე ვილაც მხედრიონელი ანდა გვარდიელი, რომელსაც იარაღი ეკავა ხელში, ბევრ მათგანს ეს იარაღი ძალით აღებინეს.

სიმართლე თუ გინდათ, ზვიად გამსახურდიას მკვლელები სწორედ ეს პუტჩის იდეოლოგები არიან.

ის წითელი ინტელიგენცია დღესაც ცვეტშია. ისინი ბიძინა ივანიშვილისგან ითხოვენ რაღაც-რაღაცებს. ზოგი ნაწყენია, ზოგი კმაყოფილი. ასე რომ, არ გაგიკვირდეთ თუ გამსახურდიას საქმის გამოძიების მოთხოვნა საზოგადოების მხარდაჭერით არ სარგებლობს.

პირადად მე 25 წელია ამ საქმის გამოძიებას ვითხოვ, მაგრამ ჩემი და ჩემნაირების მოთხოვნა ვერ ქმნის ამინდს.

***– გამსახურდიას მხარდაჭერის გამო თქვენ საქართველოდანაც ხომ იყავით გაქცეული?***

– კი. 9 წელი ვიყავი საქართველოდან წასული.

***– ზემოთ აღნიშნეთ, რომ გამსახურდიას მკვლელობით ყველაფერს აეხდება ფარდაო. ამ თემაზე ისედაც უამრავი რამე დაიწერა და რა არის კიდევ ისეთი, რაც გამოაშკარავდება და რისი გამოაშკარავებაც ასე ძალიან არ უნდა მავანს.***

– ამ საქმეზე ძალიან ბევრი სკანდალური ინფორმაცია მაქვს, მაგრამ ეს ზღვაში წვეთია იმასთან შედარებით, რაც ამ საქმესთან დაკავშირებით არსებობს. პროკურატურამ ყველაფერი იცის. ამიტომაც არის მათთვის საშიში ზვიადის მკვლელობის გამოძიება.

დღეს ეჭვი არავის ეპარება იმაში, რომ გამსახურდია მოკლეს და ეს თვითმკვლელობის იმიტაციით შეფუთეს. შევარდნაძე გამოცდილი იყო და იცოდა, რომ არ შეიძლებოდა საქმე მკვლელობის მუხლით აღეძრათ. ეს მის ლეგიტიმაციას შეეხებოდა. ამიტომაც გადაწყვიტეს პირველი პრეზიდენტი თვითმკვლელობის იმიტაციით მოეკლათ. ამ სპეცოპერაციის დაგეგმვაში, ქართველ მოღალატეებთან ერთად, აქტიურად მონაწილეობდა კრემლი და კაგებე.

***– ამ საქმის მიჩქმალვით კრემლსაც ხომ არ აფარებს მავანი ხელს?***

– რა თქმა უნდა, კრემლს აფარებენ ხელს. საქართველოს ხელისუფლება რუსეთის აგენტებით არის სავსე. აგენტები მრავლად იყვნენ სააკაშვილის და შევარდნაძის ხელისუფლებაშიც.

***– აგენტები ცხონებული ზვიადის ხელისუფლებაშიც მრავლად იყვნენ და მაგიტომაც დასრულდა მისი სიცოცხლე ასე ტრაგიკულად.***

– ზვიადსაც ბევრი მოღალატე ეხვია გარს. ზვიადის მკვლელობა სწორედ მათ კისერზეა. დღევანდელ ხელისუფლებაშიც მრავლად არიან რუსეთის აგენტები და ისინი იმ საქმეს არ გამოიძიებენ, რომელიც კრემლმა და ლუბიანკამ ანუ კაგებემ დაგეგმეს.

***– გამსახურდიას მკვლელობის საქმე თუ 31 დეკემბრამდე არ იქნა გამოძიებული, მას ხანდაზმულობის ვადა გაუვა და მას აღარავინ დაუბრუნდება. დარჩენილ ორ კვირაში საქმეს არავინ გამოიძიებს და ეს რას ნიშნავს, დარჩა საქმე გამოუძიებელი?***

– დარჩენილ ორ კვირაში ეს საქმე არ გაიხსნება, მაგრამ ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ სიმართლეს მაინც აეხდება ფარდა. ამას უბრალოდ დრო სჭირდება.

საქართველომ უნდა იცოდეს, ვინ მოკლა ზვიად გამსახურდია. ზვიად გამსახურდია არის საქართველოს მეორე რესპუბლიკის ფუძემდებელი. ის საქართველოს დამოუკიდებლობის აქტის ავტორია. ზვიად გამსახურდია დამოუკიდებლობისთვის ბრძოლის სიმბოლოა. მარტო ამიტომ უნდა იცოდეს საზოგადოებამ, ვინ არის პირველი პრეზიდენტის მკვლელი და რა მოხდა ხიბულაში.

ახლა ამ საქმის გამოძიება იბლოკება, მაგრამ დადგება დრო და ყველა გაიგებს, ვინ მოკლა საქართველოს პირველი პრეზიდენტი.

ახალი თაობა

გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www.akhalitaoba.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# გია ხუხაშვილი: „ნაციონალების ამოცანა საკუთარი ამომრჩევლის შენარჩუნებაა“

ნათია ხურცილავა

პოლიტოლოგი **გია ხუხაშვილი** „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.

***– ბატონო გია, თქვენ როგორ აფასებთ 16 დეკემბერს განვითარებულ მოვლენებს, ერთი მხრივ ოპოზიციის ქმედებებს და მეორე მხრივ ხელისუფლების პოზიციას?***

– პირველი, რაც შეეხება ოპოზიციას, ნაციონალურმა მოძრაობამ თავისი ამოცანა შეასრულა. თუ ვინმეს იმის ილუზია აქვს, რომ მათი ამოცანა ინაუგურაციის ჩაშლა იყო, ძალიან ცდება.

***– რა იყო მათი მიზანი?***

– საინფორმაციო გადაფარვა. მათ დღის მთავარი ამბავი – ინაუგურაცია უნდა გადაეფარათ, რაც მოახერხეს კიდეც როგორც ქვეყნის შიგნით, ისე ქვეყნის გარეთ. რა მნიშვნელობა აქვს, საინფორმაციო გადაფარვა თელავში აქციით მოხდებოდა თუ ველისციხეში განვითარებული მოვლენებით. მათ თავისი ამოცანა შეასრულეს.

***– გრიგოლ ვაშაძემ უკვე დააანონსა პერმანენტული აქციები. მათ მოთხოვნას ვადამდელ საპარლამენტო არჩევნებთან და საარჩევნო კოდექსის ცვლილებასთან ერთად კიდევ რამდენიმე მოთხოვნა დაემატა, რაც ძირითადად გამოძიების ჩატარებას უკავშირდება. მიაღწევენ ისინი ამ მოთხოვნების დაკმაყოფილებას?***

– ახლაც ნაციონალური მოძრაობის ამოცანა არ არის სერიოზული სახელმწიფოებრივი კრიზისების ინიცირება. მათ ამის პოტენციალი არ აქვთ. არც იმის ბიჭები არ არიან, რომ ეს არ იცოდნენ. მათი ამოცანაა, რომ ის ელექტორატი, რომელიც „ქართულმა ოცნებამ“ თავისი სიბრიყვით ამ წლების განმავლობაში მათ აჩუქა, უფრო ზუსტად კი დაუბრუნა, როგორმე შეინარჩუნონ.

მე იმ 800 ათას ადამიანზე ვსაუბრობ, რომელმაც მათ მისცა ხმა. ამ ელექტორატის შენარჩუნებაზე მუშაობს ახლა ნაციონალური მოძრაობა. ეს ელექტორატი რომ შეინარჩუნონ, მათ იციან, ამისთვის რა არის საჭირო.

***– და რა არის საჭირო?***

– მუდმივი პოლიტიკური დინამიკა. პოლიტიკურ კოცონს მუდმივად უნდა შეუკეთონ შეშა. ეს არის მათი ამოცანა და, შესაბამისად, ისინი მუდმივ პოლიტიკურ მოძრაობაში იქნებიან. არა იმიტომ, რომ კრიზისი გამოიწვიონ, არამედ იმისთვის, რომ საბრძოლო სულისკვეთება შეინარჩუნონ ამ ელექტორატში.

***– გამოდის, ელექტორატის შენარჩუნებისთვის იბრძვიან და არა საარჩევნო კანონმდებლობის ცვლილებისთვის?***

– არა, იმისთვისაც, მაგრამ დღეს ნაციონალური მოძრაობა, უპირველეს ყოვლისა, ამ ელექტორატის შესანარჩუნებლად იბრძვის. 800 ათასი ამომრჩეველი ცოტა არ არის. 2020 წლის არჩევნებზე 800 ათასი ამომრჩეველი ძალაუფლების ბედს გადაწყვეტს.

***– ვადამდელი არჩევნების დანიშვნის მოთხოვნა, პროპორციულ არჩევნებზე გადასვლა ჰაერში გამოეკიდება?***

– ეს უკვე პოლიტტექნოლოგიის თემაა. პროპორციულ არჩევნებზე გადასვლას ოპოზიციის დანარჩენი ნაწილიც ითხოვს. ნაციონალურ მოძრაობასთან მკვეთრად დაპირისპირებული ძალებიც ამ მოთხოვნით გამოდიან. ეს თემა ოპოზიციაში საერთო კონსენსუსის თემაა. მათ უბრალოდ სხვებს დაასწრეს და თვითონ გამოიტანეს ერთ-ერთ მოთხოვნად.

ამდენად, პოლიტტექნოლოგიურად ისინი



სწორად მოქმედებენ. სხვა საკითხია, რომ მათი, როგორც კომპრომეტირებული პოლიტიკური ძალის შესაძლებლობები შეზღუდულია, მაგრამ ამ შეზღუდული შესაძლებლობებით ისინი მაქსიმუმის გაკეთებას ცდილობენ.

***– ხელისუფლებამ რამდენად გაართვა თავი დაკისრებულ მოვალეობას?***

– ხელისუფლება არ არის ერთგვაროვანი. ხელისუფლების ერთი ნაწილი ბრიყვია, რომელიც გადაწყვეტილებებს იღებს და მეორე ნაწილი, რომელიც ერთეული პერსონებისგან შედგება.

***– ვის გულისხმობთ?***

– თელავში ინაუგურაციის ჩატარება ყოველმხრივი სიბრიყვე იყო. ამ ბრიყვულ დავალებას მინიმალური დანაკარგებით თავი გაართვა გახარიამ. ეს მან შეძლო და არ შეიძლება არ დავუფასოთ, მაგრამ რა ქნას მარტო გახარიამ, როდესაც ასეთ სულელურ გადაწყვეტილებებს იღებენ სხვები?!

თელავში, სულელის გარდა, ვინმე ინაუგურაციის ჩატარებას გადაწყვეტდა?! იმდენი რისკი ახლდა, ლოჯისტიკური თვალსაზრისითაც სრულიად გაუმართლებელი იყო იქ ამ ღონისძიების დაგეგმვა. ამიტომ, რისი შესაძლებლობაც ჰქონდა, იმის მაქსიმუმი გააკეთა გახარიამ.

***– სახალხო დამცველმა უკვე ისაუბრა მოქალაქის კონსტიტუციურ უფლებაზე შეკრება-მანიფესტაციასთან დაკავშირებით. აქ არ მოდის მისი პასუხისმგებლობა?***

– სრულად უდანაკარგოდ, კითხვის ნიშნების გარეშე, რა თქმა უნდა, შეუძლებელია. გახარია სამჭკუაშვილი ხომ არ არის?! მეორე მხრივ, ის ვალდებული იყო, რომ ამ ადამიანების უსაფრთხოება უზრუნველეყო და რა მეთოდებითაც ეს მოახერხა, იმ მეთოდებით გააკეთა. შეიძლება ვთქვათ, უდანაკარგოდ, მცირე სისხლით ეს მან შეძლო და ამის გამო არ შეიძლება არ შევაქოთ. გასაგებია, რომ მან გაიარა გარკვეულ ზღვარზე, მაგრამ რა ექნა არსებულ მოცემულობაში?! სხვა რა გზა ჰქონდა?!

***– ოპოზიციის 2009 წლის აქციებს, კარვების ქალაქს ვაშუქებდი და მახსოვს, რა პოლიტიკა ჰქონდა მაშინდელ ხელისუფლებას, ნაციონალურ მოძრაობას, ისინი სრულ იგნორს უკეთებდნენ ოპოზიციას, დაიღლებიან და წავლენო. ფიქრობთ, ახლა ხელისუფლებას იგივე სტრატეგია ექნება? რა შეიძლება ამ პროცესის კულმინაცია იყოს?***

– არ მგონია, რაიმე კულმინაციაზე იყოს გათვლილი. ეს იქნება მუდმივი ნჯღრევის პროცესი.

***– ხელისუფლების წარმომადგენლების მხრიდან ბევრი მინიშნება იყო რევოლუციაზე. გამორიცხავთ მსგავს მცდელობებს?***

– სცენარის რევოლუციური განვითარების პოტენციალი ნაციონალურ მოძრაობას არ აქვს. ისინი თავად არ არიან დაინტერესებული და არ მიდიან გენერალურ ბრძოლაში. შეეცდებიან, მუდმივი მდორე კრიზისის მდგომარეობაში ამყოფონ ხელისუფლება.

# ლევან ალაფიშვილი: „პრეზიდენტი კონსტიტუციას ახლაც, ჩვენი საუბრის დროსაც არღვევს“

## „გახარია არ იყო პოლიტიკურად ნეიტრალური... მძიმე სანახავია, როცა პოლიციელი მოქალაქეს „ეკაჩავება“

იაგო ნაცვლიშვილი

16 დეკემბერს თელავში პრეზიდენტის ინაუგურაციის პარალელურად გაერთიანებულ ოპოზიციას არ მიეცა პროტესტის გამოხატვის საშუალება მასშტაბურად, ოპოზიციის მტკიცებით, მათ ხელოვნური ბარიერები შეუქმნეს.

იყო თუ არა სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლება და რატომ ფიქრობს, რომ სალომე ზურაბიშვილის მოქმედება – როცა მან დეპუტატის მანდატი არ დატოვა, კონსტიტუციასთან წინააღმდეგობაშია? – ამ საკითხებზე „ახალ თაობასთან“ კონსტიტუციონალისტი **ლევან ალაფიშვილი** საუბრობს:



***– სოციალურ ქსელში დაწერეთ, რომ სალომე ზურაბიშვილმა კანონი უკვე დაარღვია, როდესაც არ მოიხსნა დეპუტატის მანდატი. უფრო ზუსტად რომ თქვათ, რას გულისხმობდით და რა უნდა მოემოქმედებინა მას?***

– პრეზიდენტის მიერ ფიცის დადების მომენტიდან ამოქმედდა არა მხოლოდ კონსტიტუცია, არამედ პარლამენტის რეგლამენტიც, რომელიც ამბობს, რომ საპარლამენტო კომიტეტის პირველი მოადგილეობა თანამდებობაა. საქართველოს კონსტიტუციის ახალი რედაქცია კი ამბობს, რომ საქართველოს პრეზიდენტს არ შეიძლება ეკავოს სხვა თანამდებობა. პრეზიდენტი ჩვენი საუბრის დროსაც კი იკავებს დიასპორისა და კავკასიის საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილის თანამდებობას, რაც კონსტიტუციასთან წინააღმდეგობაშია.

ამის თავიდან აცილება შესაძლებელი იყო, როგორც მინიმუმ, მეორე ტურის წინ დაეწერა განცხადება პარლამენტის წევრის ვადაზე ადრე შეწყვეტის თაობაზე, დაიწყებოდა პროცედურები, მოკლე პროცედურაა, რომელსაც საპროცედურო საკითხთა კომიტეტი განიხილავს. ამის შემდეგ პლენარულ სხდომაზე ეყრებოდა კენჭი. არა მგონია, დროში გაწელილიყო და ვერ მოსწრებოდა ინაუგურაციამდე. ჩემი აზრით, პრობლემა სხვა რამეშია.

***– რაში ხედავთ პრობლემას?***

– პრობლემა კონსტიტუციისა და კანონის დამოკიდებულებაშია. როგორც ჩანს, საარჩევნო საკითხებით გართულებს საერთოდ გადაავიწყდათ, რომ კონსტიტუცია უნდა ამოქმედებულიყო და მასში ასეთი ჩანაწერია. გულდასაწყვეტია, რომ მმართველ პარტიაში არავის არ უფიქრია ამაზე და ეს კანონმდებელთა დამოკიდებულებას, არა მხოლოდ კონსტიტუციისადმი, არამედ საკუთარი გადაწყვეტილებებისადმი დამოკიდებულებასაც წარმოაჩენს.

1 წლის წინ მათ კენჭი უყარეს კონსტიტუციას, დიდი ნაწილი თუ არა, მცირე ნაწილი მაინც გაცნობილია მას და ახსოვს, რა წერია კონსტიტუციაში, განსაკუთრებით პრეზიდენტის მუხლთან დაკავშირებით. საკუთარ გადაწყვეტილებასაც კი არ სცემენ პასუხს. ესეც თავისთავად არცთუ სასიამოვნო მომენტია.

***– რაც შეეხება 16 დეკემბრის პროცესებს, როგორ აფასებთ?***

– შესავლისთვის ვიტყვი, რომ თელავში ინაუგურაციის გამართვა იყო შეცდომა. ამ კუთხითაც, რომ თელავი პატარა ქალაქია და, შესაბამისად, იქ ორი ღონისძიების გამართვა სხვადასხვა თვალსაზრისით შეუძლებელი იყო. არასწორია ეს გადაწყვეტილება იმიტომაც, რომ ახალი კონსტიტუციითაც დედაქალაქად რჩება თბილისი, მისი სტატუსიდან გამომდინარე, ამ მასშტაბის ღონისძიებები ტარდება დედაქალაქში. მათ შორის განვითარებული დემოკრატიის ქვეყნებში. სამწუხაროდ, ეს ყველაფერი უგულებელყოფილი იყო და ალბათ ამითაც შევალთ ისტორიაში.

რაც შეეხება, 16 დეკემბრის დღეს და დარღვევებს სამართლებრივი კუთხით, როგორც წესი, კონსტიტუციური დარღვევა, როგორი ძლიერიც არ უნდა იყოს რომელიმე პოლიტიკური თუ საზოგადოებრივი ჯგუფი, მას არ შეუძლია. ამის დამრღვევი შეიძლება იყოს ხელისუფლება. არა მხოლოდ პოლიტიკური პარტიის, არამედ რიგითი მოქალაქეებისაც, რაც საჯაროდაც გამოითქმებოდა წუხილი, რადგან აქედან გამომსვლელებს თავისუფალი გადაადგილების საშუალება არ ეძლეოდათ, რომლებიც პირად საქმეზე – სამძიმარზე, დაკრძალვაზე თუ სხვა საქმეზე მიდიოდნენ თელავში ან რომელიმე სოფელში. ეს უნდა შეფასდეს ამ კუთხით და არა თეორიული მსჯელობით, რომ ის რაღაცას აპირებდა.

ადვილია მსჯელობა, ვინ რას აპირებდა, მაგრამ არ არის ფაქტი, არის მსჯელობა. ამდენად ხელისუფლებას ფაქტებით თავის მართლება მოუწევს, თუკი ამ დღის სამართლებრივი გაგრძელება იქნება. სახალხო დამცველმა უკვე შეაფასა, ვნახოთ, შემდეგში რა იქნება. ხელისუფლებას შეუძლია თქვას, რომ ადგილზე შეკრებისა და გამოხატვის უფლება მიეცა, მაგრამ დანარჩენი ტერიტორიიდან შეკრების ადგილისკენ მიმავალი ადამიანებისთვის ეს პირობა უპირობოდ დაირღვა. ეს უფლებები, რა თქმა უნდა, შეუზღუდავი აბსოლუტური არ არის, მაგრამ ამისთვის უნდა არსებობდეს შესაბამისი კონსტიტუციური მიზანი. ეს გამყარებული უნდა იყოს ფაქტებით. ნაცვლად გამთლიანებისა და პოლიტიკური პროცესში დარჩენისა და ძალადობაზე უარის თქმისა, მივიღეთ, სამწუხაროდ, კანონზე ძალადობის ფაქტები სახელმწიფოს მხრიდან. ეს არ არის კარგი.

***– შსს-მ დაიწყო კირკიტაძის წინააღმდეგ ძიება, ეს ხომ არ იძლევა იმის თქმის საფუძველს, რომ პოლიტიკურად მოტივირებულ ბრალდებას დაედოს საფუძველი? სახალხო დამცველი ახსენეთ და შს მინისტრმა მას მოუწოდა, რომ პოლიციელის უფლებებიც დაცული უნდა იყოს და ამაზეც უნდა იზრუნოს ვინმემ?***

– პოლიციელის უფლებების დაცვა და ყველას უფლების დაცვა, ყველას დანაშაულისგან დაცვა შსს-ს მოეთხოვება. შესაბამისად, მინისტრის განცხადება ძალიან ბუნდოვანია, რას ნიშნავს ეს? ვიმეორებ, რეაგირება სწორედ შსს-ს უფლება კი არა, ვალდებულებაა, რომ დაიცვას ყველას უფლება. ამ შემთხვევაში მინისტრი ვერ იყო პოლიტიკურად ნეიტრალური და, შესაბამისად, სამართლებრივად უსწორო. ეს ყველაფერი იმ შეცდომასთან იყო დაკავშირებული, რაც ინაუგურაციის თელავში ჩატარებას უკავშირდება.

მეორე, ადგილამდე არმიღწევა, როდესაც ხელისუფლებამ დაისახა მიზნად და შესაბამისი ბარიერები იქმნებოდა, ბუნებრივია, განსჯის შესაძლებლობას იძლეოდა, რომ თუ პროტესტანტებს ვიღაცა წინააღმდეგობას გაუწევდა, შესაძლოა ყოფილიყო ძალადობაც. ოღონდ ძალადობის მცდელობა ამის საფუძველი არ უნდა ყოფილიყო არალეგიტიმური ქმედება. ბუნებრივია, კონკრეტულ პოლიციელებზე თუ იყო სადმე დარღვევა როგორც პოლიციელზე, ასევე, რიგით მოქალაქეზე, ყველა თანასწორია კანონის წინაშე და თანაბრად უნდა აგოს პასუხი.

ჩემთვის მძიმე საყურებელი იყო, როდესაც პირველი პოლიციელი თუნდაც ძალით გზით გამკვალავ მოქალაქეს უზიანებდა საკუთრებას, უმტვრევდა ავტომანქანას. მძიმე საყურებელი იყო, როდესაც პოლიციელი „ეკაჩავებოდა“ (ბოდიშს ვიხდი ამ ჟარგონისთვის) მოქალაქეს. მოვუწოდებ ხელისუფლებას, რომ პოლიცია მაქსიმალურად განარიდოს პოლიტიკურ პროცესს. ამით შეიძლება ისეთი შედეგი მივიღოთ, რაც რამდენიმე წლის წინ უკვე გამოვიარეთ და რომლის გამეორებაც არ გვინდა, რომ ხელისუფლების ინტერესებში შედიოდეს.

***– გაერთიანებულმა ოპოზიციამ დააანონსა პერმანენტული აქციები. 16 დეკემბრის მოვლენებიდან გამომდინარე, უმართავი პროცესების საფრთხე ხომ არ არის?***

– მჯერა, რომ საზოგადოებაში საპროტესტო განწყობის მიუხედავად, რომელიც მძიმე საარჩევნო პერიოდიდან მოგვდევს, არ არის რევოლუციურ მდგომარეობაში და ეს კარგია. უნდა დავამკვიდროთ ხელისუფლების მშვიდობიანი შეცვლის ტრადიცია. ასე გავაძლიერებთ სახელმწიფოებრიობას.

ერთიც უნდა გვახსოვდეს, უპირველეს ყოვლისა კი, ხელისუფლებას, რომ არავის შეუძლია საზოგადოებაში პროტესტის გამოწვევა იმაზე მეტად, ვიდრე ეს თვით ხელისუფლება და მის მიერ დაშვებული შეცდომებია. თუკი გადავხედავთ ჩვენს ისტორიას, პროტესტის ინსპირატორი თავად ხელისუფლებაა.

მე ვფიქრობ, ნებისმიერი საშუალებით უნდა გაიხსნას დიალოგი საზოგადოებასთან სხვადასხვა საკითხებზე, პირველ რიგში, პოლიტიკურ ოპონენტებთან. იმ საკითხებზე, რაც ყველასთან საერთოა და დემოკრატიულ ფარგლებში ყველამ თავისი საქმე უნდა გააგრძელოს. თითოეული ჩვენთაგანის ინტერესი სწორედ სახელმწიფოებრიობა უნდა იყოს.

# დავით კირკიტაძე დააკავეს

დასაწყისი მე-2 გვერდზე

უნდა, უნდა დაიჭირონ. დავით კირკიტაძე არ არის ის ზონდერები, რომლებიც დაგვახვედრეს გურჯაანთან და რომლებმაც, თითქმის სასიკვდილოდ სცემეს ჩვენი ორი მხარდამჭერი ჩაქუჩებით, რომლებიც ახლა გურჯაანის საავადმყოფოში არიან.

დავით კირკიტაძე არ არის ადამიანი, ვინც სხვებთან ერთად სახელმწიფო ბიუჯეტს ხერხავს და, შესაბამისად, არ აქვს იმუნიტეტი. ამიტომ, რა თქმა უნდა, დავით კირკიტაძე უნდა დააკავონ, როდესაც მას კანონიერი პროტესტი ჰქონდა იმაზე, რომ დაგვახვედრეს განუსაზღვრელი რაოდენობით პოლიცია და არ მოგვცეს საშუალება, მშვიდობიანი, ზუსტად ისეთივე, როგორც 2018 წლის 2 დეკემბერს ჩავატარეთ რუსთაველზე, ისეთი მშვიდობიანი მანიფესტაციის ჩატარების, და შემდეგ დაშლის და სახლში დაბრუნების, რაც გავაკეთეთ, – განაცხადა გრიგოლ ვაშაძემ.

დავით კირკიტაძის დაკავება დაგმო ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ლიდერმა ბაჩუკი ქარდავამაც.

ის იმის გამოც არის აღშფოთებული, რომ გაერთიანებული ოპოზიციის ლიდერებს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური გუშინ, 17 დეკემბერს მთელი დღის განმავლობაში უთვალთვალებდა.

– მას შემდეგ, რაც კახეთში შემოვედით, სუსი-ის თანამშრომლები გვითვალთვალებდნენ, პარლამენტის წევრსა და გაერთიანებული ოპოზიციის ლიდერებს. ვიყავით საავადმყოფოში, ეს ავტომობილი შემოგვყვა საავადმყოფოში, სადაც ჩვენი აქტივისტი მოვინახულეთ, რომელიც მძიმედ არის ნაცემი. მას შემდეგ, რაც თბილისის მიმართულებით დავიძარით, აღნიშნული ავტომობილი ისევ გამოგვყვა. ჩვენი ერთ-ერთი ავტომობილი საწვავის ჩასასხმელად გაჩერდა, სუს-ის წარმომადგენლები დაიბნენ და გაჩერდნენ, რა დროსაც ბატონმა ნიკა მელიამ და დავით კირკიტაძემ ეს ადამიანები ამხილეს. ისინი „დაიწვნენ“, რომ თვალთვალისთვის იყვნენ მოჩენილები. საბოლოო ჯამში, გაიტაცეს დავით კირკიტაძე, – აღნიშნავს ნიუპოსტთან საუბარში ბაჩუკი ქარდავა.

ქარდავა სიცრუეს უწოდებს შსს-ს განცხადებას, რომლის მიხედვითაც კირკიტაძემ სამართალდამცავებს წინააღმდეგობა გაუწია.

– ეს არის სიცრუე, ჩვენ გვაქვს ვიდეო-კადრები, ლაივ რეჟიმში მიმდინარეობდა ჩაწერა. შინაგან საქმეთა სამინისტროს განცხადებას რაც შეეხება, ის, ენას ძვალი არ აქვს პრინციპით მოქმედებს. შსს, სტრუქტურა მეცოდება კრიმინალი გახარიას ხელში, იმიტომ, რომ ის ყოველდღიურად უშვებს შეცდომებს. გახარიამ პოლიტიკოსების დევნა დაიწყო. ამ ქვეყანაში ოფიციალურად აუქმებენ დემოკრატიას. მაშინ როდესაც, ქვეყანაში დემოკრატია არ არის, ხალხი იწყებს მის აღდგენას და მის დაბრუნებას. ეს უნდა იცოდეს გახარიამ და საქართველოს ხელისუფლებამ, – აღნიშნა ედპეს ლიდერმა.

ნაციონალური მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი ნიკა მელია პირობას დებს, რომ გიორგი გახარია ამის გამო კანონის წინაშე დაისჯება.

# მამუკა გამყრელიძე: „გახარიას ურჩევნია, საკუთარ დარღვევებს მიხედოს“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს გაერთიანებული ოპოზიციის ერთ-ერთი ლიდერი **მამუკა გამყრელიძე** პასუხობს.

***– ბატონო მამუკა, კვირას მთელი დღე თქვენც დანარჩენ ოპოზიციის ლიდერებთან ერთად იყავით. როგორც შს სამინისტროში განაცხადეს, გქონდათ ალტერნატიული გზა, თუმცა ამაზე უარი თქვით. რა ხდებოდა რეალურად მოვლენათა ეპიცენტრში?***

– ჩემთვის გაუგებარია, რას ნიშნავს გვქონდა ალტერნატიული გზები. იქ არის გომბორიდან გადასასვლელი, რომელიც ჩაგვიკეტეს, წავედით გურჯაანიდან და ისიც ჩაგვიკეტეს. გვითხრეს, რომ წადით მულღაზანზარში და იქიდან მოტრიალდითო. ამ მარშრუტით ვერანაირად ვერ მოვასწრებდით ინაუგურაციაზე ჩასვლას, ვერც მოვახერხებდით ამხელა კოლონის ასე სპონტანურად ორგანიზებას.

რატომ კეტავ?! მოდით, ჯერ აქედან დავიწყოთ. კი ბატონო, გომბორის გადასასვლელი დაკეტე იმიტომ, რომ გინდა იქიდან სამთავრობო ესკორტები ატარო და ასე შემდეგ. კი ბატონო, ამაზე არავინ არ შეეწინააღმდეგა და არავის პრობლემა არ შეუქმნია ჩვენი მხრიდან. წავედით ჩვეულებრივად გურჯაანიდან, შემოვლითი გზით...

***– მაგრამ არც იქიდან გაგიშვეს.***

– ჩავედით და რა იყო ეს, გადაგვიკეტეს ყველაზე ვიწრო ადგილას, სადაც ლიანდაგებია. ყველაზე სასაცილო იცით, რა იყო? 25 წლის განმავლობაში მატარებელს არ გამოუვლია იქ და მატარებელი ჩამოაყენეს. ლოკომოტივი იყო ორი ვაგონით. ლიანდაგებიც გადაკეტეს. აბსურდამდე მივდივართ. სასაცილოც აღარ არის ეს ყველაფერი. აღარ იცის ხელისუფლებამ, რა გააკეთოს, სრულ აგონიაშია და ებრძვის საკუთარ მოსახლეობას, ეს უკვე სასაცილოც აღარ ხდება.

***– ოპოზიცია პროვოკაციების მოწყობას და ინაუგურაციის ჩაშლას აპირებდაო.***

– არა, რა ჩაშლას, საიდან მოიტანეს. ჩაშლა რომ გვდომოდა, ჩხუბი, ომი და დავიდარაბა, სადაც გზა გადაგვიკეტეს, იქ ვერ ვიომებდით?!

***– იქაც ვნახეთ ხელჩართული ბრძოლები.***

– ხელჩართული ბრძოლა იქნებოდა იმიტომ, რომ არ გიშვებენ... თუმცა მე ვერ ვიტყვი იმას, რომ ვინმეს ხელი დაარტყეს. პირადად მე, მუდმივად ვიდექი შუაში ჩვენს მხარდამჭერებსა და პოლიციას შორის. ორივე მხარე თანამორჩილად იქცეოდა.

***– თუმცა ჩვენ მოვისმინეთ შს მინისტრის განცხადება, რომ ადგილო ჰქონდა კანონდარღვევებს, როგ შემთხვევაში გამოიკვეთა სისხლის სამართლის დანაშაულიც. პასუხი მოეთხოვება ყველასო. ამაზე რას იტყვით?***

– შინაგან საქმეთა სამინისტროს ხელმძღვანელმა მიხედოს საკუთარ დარღვევებს, რომლებიც მან ჩაიდინა მთელი ამ საარჩევნო პერიოდის განმავლობაში. მაგას თუ ჰგონია, რომ არ ვიცით, ვის ხვდებოდა, რა კრიმინალებთან ჰქონდა ურთიერთობა, რა შეპირებებს აკეთებდა სამეგრელოში განსაკუთრებით, ძალიან შემცდარა.



კარგად დაფიქრდეს მის მომავალ ბედზე. ყველა წინა მინისტრმა, ვინც გააკეთა განცხადება, დავიჭერ ყველასო, ყველამ ცუდად დაამთავრა. ამ ადამიანმა, რომელზეც კარგის მეტი არაფერი მომისმენია მისი ბიზნესომბუდსმენობის პერიოდში, ტრანსფორმაცია განიცადა და მონსტრად გადაიქცა. ძალიან სამწუხაროა ეს ამბავი. სამწუხაროა ის, რომ კარგ ადამიანებს ეს მახინჯი რეჟიმი ასევე ამახინჯებს.

***– პოლიციელები მოტეხილობებით და სხვადასხვა დაზიანებებით მიიყვანეს საავადმყოფოში.***

– არა, რას ბრძანებთ, რომელი პოლიციელი შეიძლება მიეყვანათ, მე იქ ვიყავი და არც ერთს ნაკაწრიც კი არ ჰქონია! ყველგან დავდიოდი, ყველა ხელჩართული ბრძოლის ეპიცენტრში ვიყავი, ყველას ვესაუბრებოდი, პოლიციელებსაც, სპეცრაზმელებსაც და პირიქით, ძალიან მეგობრული ურთიერთობებიც იყო.

ერთ მომენტში, როდესაც მართლა ლამის გამჭყლიტა ხალხის მასამ, სპეცრაზმელმა გამომიყვანა და გვერდით მეგობრულად ვისაუბრეთ. ჩვენ შორის ბოროტი დაპირისპირება ნამდვილად არ ყოფილა. ერთადერთი ის გვინდოდა, რომ ეს ჩახერგილი გზა გაგვეხსნა და დერეფანი გაგვერღვია.

***– პოლიციელებისთვის არც სიტყვიერ და არც ფიზიკურ შეურაცხყოფას ადგილი არ ჰქონია?***

– არანაირი ხელის ხლება არ ყოფილა პოლიციელებზე ჩვენი მხრიდან. პირიქით, იქ დაგვახვედრეს ადგილობრივი კრიმინალები და ოპოზიციის ძირითადმა კოლონამ რომ გაიარა, იქ ვინც ჩამოგვრჩა, იმათ გაუსწორდნენ სასტიკად და სცემეს.

ურტყამდნენ რკინის ჯოხებს, არმატურისგან გაკეთებულ ჯოხებს. რა სინდისით, რა ნამუსით გვაბრალებენ აქეთ პოლიციელებისთვის სხეულის დაზიანებას. პირიქით, ჩვენ მაქსიმალურად ვცდილობდით გვეჩვენებინა, რომ ვიყავით ძალიან ცივილურები და ძალიან მონდომებულები იმისთვის, რომ ყველაფერი ჩატარებულიყო მაქსიმალურად წესრიგის დაცვის ფარგლებში.

სანაქებოდ მოიქცა სპეცრაზმიც. ოღონდ იყო კიდევ ერთი ცუდი მომენტი, რომელიც არ მესიამოვნა.

***– კერძოდ?***

– მოიყვანეს პატარა ბავშვები, არ ვიცი, კურსანტები იყვნენ, ჯარისკაცები თუ ვინ, პირტიტველა 18 წლის ბავშვები. შვილიშვილი მყავს 19 წლის. ამ ბავშვებს ვეხვეწებოდი, გამოიწიეთ აქეთ, არაფერი დაგიშავდეთ. გვიყურებდნენ გაშეშებული და შეშინებული სახეებით. სპეცრაზმი გამოცდილია, ათას ოპერაცია გამოვლილი და ამ ცხვირმოუხოცავ ბავშვებს ხომ შეიძლებოდა რაღაცა დაშავებოდათ?!

ისინი პოლიციის მოყვანილები კი არ იყვნენ, ეს იყო მინისტრის გაკეთებული და მისი მოადგილე საბანაძის. სწორედ მაგათ პასუხისმგებლობაზეა ყველაფერი. მაგათ უნდა აგონ პასუხი, რომ ასეთ პატარა ბავშვებს უქმნიან საშიშროებას. ამიხსნას ვინმემ რა, ვის ებრძვიან? საკუთარ მოქალაქეებს ებრძვიან?! რომ შევეშვით, რას ვიზამდით?! რას დავარბევდით იქ და რას გავაფუჭებდით?!

***– რა იყო მიზანი თქვენი აქციის და თელავში ჩასვლის?***

– ჩვენი მიზანი იყო, ჩავსულიყავით, იქვე იყო გვერდზე მოედანი, იქ ჩაგვეტარებინა აქცია. გვეჩვენებინა საზოგადოებისთვის, მსოფლიოსთვის, რომ მარტო ისინი არ არიან, ჩვენც ვართ, ეს დაგვენახებინა და წამოვსულიყავით მშვიდობიანად.

***– იქნებოდა ეს ყველაფერი მშვიდობიანი?***

– იქნებოდა ნამდვილად. ჩვენ არავითარ შემთხვევაში არანაირ დაძაბულობაზე არ გვინდა წავიდეთ. მაქსიმალურად გვინდა, მოვექცეთ მშვიდობიან ჩარჩოებში.

საერთაშორისო საზოგადოების აზრი ჩვენთვის დღეს არის უმნიშვნელოვანესი. საერთაშორისო საზოგადოებამ დაინახა, რომ საქართველოში ყველაფერი კარგად არ მიდის. 2012 წლის შემდეგ იყო ეს ილუზია, რომ აი მოვიდა ხელისუფლება, რომელმაც წინა ხელისუფლების დარღვევები ნახა და ამისგან გაათავისუფლა საზოგადოება და სიტუაცია დაამშვიდა. ახლა კი დაინახეს, რომ ეს ხელისუფლება მოდის ძალიან მახინჯი აზრებით და სურვილებით. თუკი რამე უარყოფითი შეიძლებოდა წინა ხელისუფლებას ჰქონოდა, ის გამოიყენა, გააასმაგა და ისევ საკუთარ ხალხს ერჩის.

ეს დაინახა დასავლეთმა, ეს შეამჩნიეს და გააკეთეს ამაზე ძალიან მწვავე განცხადებები არჩევნების შემდეგ.

***– უცხოელი სტუმრების სია საკმაოდ გრძელი იყო.***

– იმ სტუმრების სია, რომელიც იყო ჩამოთვლილი, არის აბსოლუტურად ღიად მაჩვენებელი, სარკეა იმ სიტუაციის, რაც საქართველოშია. არც ერთმა მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვანმა პიროვნებამ არ ისურვა ჩვენთან ჩამოსვლა. ვიღაც საწყობის გამგეები გამოაგზავნეს.

***– სარკოზი?***

– სარკოზიზე თუ აქვთ აპელირება, მასე, ჩემო ბატონო, 10 ათას ფუნტად ჰენრი კისინჯერთან შეხვედრა და მთელი საღამო საუბარი შეიძლება. ბევრი იღებს ფულს დაპატიჟებებზე და პრივატულ საღამოებზე დადიან. ეს მიღებული პრაქტიკაა.

***– სარკოზის ფული გადაუხადეს ინაუგურაციაზე დასასწრებად?***

– რა თქმა უნდა, გადაუხადეს. აბა ახლა ტყუილად ჩამოვიდოდა სარკოზი. ეს ჩვეულებრივი ამბავი და ჩვეულებრივი პრაქტიკაა, არაფერი ახალი ამაში არ არის. ვინც სიტუაციაში მეტნაკლებად ერკვევა, ძალიან კარგად იცის, რომ ჩამოწერილი პოლიტიკოსები ასე დადიან.

***– სარკოზი ჩამოწერილია?***

– ჩამოწერილია, იმიტომ, რომ მას ძალიან სერიოზული პრობლემები აქვს საკუთარ სახელმწიფოში, სასამართლოში აქვს საქმე და ასე შემდეგ. ასეთი პოლიტიკოსები ყოველთვის ცდილობენ, რომ რალაცნაირად თავისი პოლიტიკური მდგომარეობა გაიუმჯობესონ ასეთი ვიზიტების სახით. დანარჩენი ხომ ვნახეთ, ვინც იყვნენ. ერთ-ერთი სომხეთის პრეზიდენტი იყო, რომელსაც ერთ თვეში გადაირჩევენ.

***– რამდენად შეექმნებათ გაერთიანებული ოპოზიციის ლიდერებს პრობლემები პოლიციასთან? დავით კირკიტაძე უკვე ერთ-ერთი მათგანია.***

– თუ ასეთ საჩუქარს გაგვიკეთებს პოლიცია, როგორიც კვირას უკვე გაგვიკეთეს, გზა რომ გადაგვიკეტეს და არ შეგვიშვეს, ეს უკეთესია. ხომ ხვდებით, რომ ეს არის საჩუქრები ჩვენი მიმართულებით.

***– ეს თქვენს წისქვილზე ასხამს წყალს?***

– რა თქმა უნდა. ჩვენ ხომ ვაჩვენეთ, რომ არ ვართ დაპირისპირების მომხრეები. არ ვართ აგრესიულები. ჩვენ გვინდა ვისარგებლოთ იმ უფლებებით, რაც კონსტიტუციამ მოგვანიჭა. ამაში ხელს გვიშლის ხელისუფლება.

***– რუსთაველზე 8 კარავი დაიდგა. ეს რამდენად მასობრივ ხასიათს მიიღებს?***

– ეს იყო აბსოლუტურად დაუგეგმავი. ეს ხალხმა თავად გადაწყვიტა. ჩვენ უკან რომ დავბრუნდით, გომბორზე შევიკრიბეთ და იქ ვკითხულობდით, რა გავაკეთოთო. ნაწილი ოფისში წავიდა. მე ისეთი დაღლილი და ნაჯაჯგურები ვიყავი, რომ პირდაპირ სახლში წავედი.

***– რას აპირებთ, როგორ გაგრძელდება თქვენი პროტესტი?***

– ჩვენი ყველა ნაბიჯი იქნება აბსოლუტურად მშვიდობიანი. აქციები გაგრძელდება უწყვეტ რეჟიმში, თუმცა აბსოლუტურად მშვიდ ვითარებაში. თუ ხალხს მოუნდა და სპონტანურად რამე დაგეგმა და გააკეთა, ამას ჩვენც ვერ ვაკონტროლებთ. ხალხში ძალიან დიდი უკმაყოფილებაა.

# „ოპოზიციას ინაუგურაციაზე ხახვი და კარტოფილი ჰქონდა წამოღებული და მისი დაშენა უნდოდათ“

## საქართველოს პრესტიჟი იდგა სასწორზე და ვინ დაუშვებდა, პროვოკაცია რომ მოეწყოთ და რაიმე გაესროლათ

გულიკო ბალაძე

პარლამენტის ყოფილი წევრი **ბიძინა გუჯაბიძე** „ახალი თაობის“ კითხვებს პასუხობს თელავში მოწყობილ ინაუგურაციაზე, ველისციხის ბატალიებზე, ზვიად გამსახურდიას საქმის გამოძიებაზე.

***– ბატონო ბიძინა, ინაუგურაციაზე იმყოფებოდით და თქვენი შეფასებით, როგორ ჩატარდა?***

– ინაუგურაციაზე ვიმყოფებოდი. მაღალ დონეზე ჩატარდა. წესისა და რიგის დაცვით, ყოველგვარი პომპეზურობისა და ზედმეტობის გარეშე. ოფიციალური ცერემონია რომ დამთავრდა, მერე „ალა ფურშეტი“ იყო თეატრში.

***– ოპოზიციის ქმედებებს და მარშრუტებს თვალყურს თუ ადევნებდით?***

– თვალყურს ვადევნებდი მათ მოძრაობებს და მათი საცოდაობით ვიწვოდი.

***– რატომ საცოდაობით?***

– რატომ და ხომ გაკოტრებული არიან თავიდან ბოლომდე, ამ დროს ბოდიალობენ და ჩიხობენ, ეს სამარცხვინოა. არავითარ შედეგს რომ არ იძლევა. თანაც ნაციონალების გაფარჩაკება იგრძნობოდა ძალიან. რა უნდოდათ? ოფიციალურად არჩეულია, ოფიციალური კურთხევა მოხდა. უფლებამოსილებაში შესულია. საარჩევნო კომისიამ ცნო. მთელი საერთაშორისო ორგანიზაციები აღიარებენ. ევროპა, ამერიკა, მთელი საელჩოები ინაუგურაციაზე იყვნენ, მთელმა მსოფლიომ აღიარა და ამათ ვერ მოუნელებიათ დამარცხება. შედეგი ვიცი, რაც არის.

***– რა არის?***

– ადრე ამბობდნენ, თქვენი საქმე წასულია, ბიძინა ივანიშვილის წამები დათვლილიაო, ახლა ნახონ, რა არის დამთავრებული, მათი ბოგინი დამთავრდა. ეს სამარცხვინო გაგრძელება იყო.

***– ამბობთ, მათი ბოგინი დამთავრდაო. სააკაშვილი ახლაც მოუწოდებს, რუსთაველზე შეკრებისკენ.***

– რა ვქნათ ახლა, გადავაყოლოთ ქვეყანა მაგის მოწოდებებს? სააკაშვილს ნაციონალები ბოლომდე ჰყავს დაბოლილი. სააკაშვილმა იქიდან რომ არ ინტრიგნოს და მოწოდებები რომ არ გააკეთოს, ესენი ყველაფერს ილაპარაკებენ, რაც მათთვის დავალებები მიუცია და რასაც აკეთებდა სააკაშვილი.



ზოგიერთს ჰგონია, რადგან სააკაშვილი იქიდან მოწოდებებს აკეთებს, კიდევ ბრძოლის ჟინსა და უნარზეა. სინამდვილეში სააკაშვილი სადაც არის, იქ მშვენივრად არის.

***– თუმცა, ნაცმოძრაობის წარმომადგენლებსაც აქვთ გადაადგილების უფლება. აცხადებენ, გადაადგილების უფლება შეგვიზღუდეს, ველისციხეში ჩაგვკეტეს, გზები აგვირიესო.***

– ეტყობოდათ, თელავში რისთვის მოდიოდნენ.

***– რისთვის მოდიოდნენ?***

– მოდიოდნენ საპროვოკაციოდ, ინაუგურაციის ჩასაშლელად და ყველაფერი ჰქონდათ ამისთვის. მათ არავინ უშლიდა თელავში ჩამოსვლას, თუ მოსვლა უნდოდათ, მოსულიყვნენ, მოსაწვევებიც ჰქონდათ და ყველაფერი. ლოზუნგებით და რიხით რომ მოდიხარ, ინაუგურაციას არავინ ჩააშლევინებდა. საქართველოს პრესტიჟი იდგა სასწორზე და ვინ დაუშვებდა, პროვოკაცია რომ მოეწყოთ და რაიმე რომ გაესროლათ. თბილისში ყოფილიყვნენ და გამოეხატათ რაც უნდოდათ.

***– რა უნდა გაესროლათ?***

– არ ვიცი, ხახვი და კარტოფილი მოჰქონდათ. არავითარი საფუძველი პროვოკაციას არ ჰქონდა რეალობასთან.

***– თქვენ ფიქრობთ, რომ თელავში შემოვიდოდნენ და ინაუგურაციას ჩაშლიდნენ?***

– ასეთი ინფორმაცია გვქონდა, რომ ხახვი და კარტოფილი ჰქონდათ წამოღებული და მისი დაშენა უნდოდათ. კარტოფილი რომ დაეშინათ, ალბათ, ვინმეს დააზიანებდნენ, ისე იყვნენ აჟიტირებულები. პროტესტის გამოხატვა შეიძლება მშვიდობიანი მეთოდებით, რასაც მათ არავინ დაუშლიდა. ინაუგურაციის ადგილის სიახლოვეს მათ არავინ მოუშვებდა. ეს იყო თავი და თავი.

***– ყოველ შემთხვევაში, ისე უნდა მოხერხებულიყო, რომ ველისციხეშიც ამხელა აურზაური არ გამოწვეულიყო.***

– ამას ვერ მოახერხებდი, როგორი გაწვრთნილი და პროფესიონალი ხელისუფლების წარმომადგენლებიც უნდა ყოფილიყვნენ.

***– ისე, ინაუგურაციის ჩაშლა ნამდვილად იგეგმებოდა?***

– 26 მაისი ხომ გახსოვთ?

***– ოპოზიცია 26 მაისს იპოდრომთან რომ შეიკრიბა?***

– არა, მე დარბევის 26 მაისზე ვსაუბრობ. 26 მაისს პარლამენტის წინ, ინაუგურაცია უნდა ჩატარებულიყო. ბურჯანაძემაც შეცდომა დაუშვა. არ შეიძლება, კანონიერია, უკანონოა, ძალად მოიპოვა თუ არა, მაშინ სააკაშვილი სახელმწიფოს სახელით მოქმედებდა და ინაუგურაციის ხელის შეშლა არ შეიძლებოდა. თუმცა, შემდეგ შეგულიანებულმა სააკაშვილმა დანაშაული ჩაიდინა.

***– ბატონო ბიძინა, ვინც პრეზიდენტის საინაუგურაციო სცენარი დაწერა და ილია ჭავჭავაძის, მერაბ კოსტავასა და სხვების საფლავებზე მისვლა ჩათვალა აუცილებლად, რატომ არ იყო გათვალისწინებული ზვიად გამსახურდიას საფლავთან მისვლა? ზვიად გამსახურდია ხომ ქვეყნის პირველი პრეზიდენტია, რომელმაც საფუძველი ჩაუყარა ქვეყნის სახელმწიფოებრიობას და დამოუკიდებლობას?***

– არ ვიცი, იქნებ მივიდა კიდეც. ამის წინასწარ გამოცხადება, იცით თქვენ, რა პროვოკაციას გამოიწვევდა მთაწმინდაზე. იქ არის ერთი ჯგუფი, რომელსაც პრივატიზებული აქვს ზვიადის საფლავი.

***– სალომე ზურაბიშვილი მთაწმინდაზე იყო და გამსახურდიას საფლავთან არ მისულა. თქვეს ილია ჭავჭავაძის, მერაბ კოსტავასა და სხვების საფლავთან იყო და პატივი მიაგოო. შეიძლება არ აჩვენეს.***

გაგრძელება მე-5 გვერდზე

# ლევან ჩაჩუა: „ივანიშვილს მესამე ძალად ალეკო ელისაშვილი შემოჰყავს“

## „ნაციონალური მოძრაობა, იმის მაგივრად, რომ სასიცოცხლო პრობლემების მოგვარებაზე იფიქროს, კლოუნადებს აწყობს“

მარიამ მჭედლიშვილი

პოლიტიკური დაპირისპირების ახალ ტალღაზე „ახალი თაობა“ ესაუბრა მოძრაობა „ქართული იდეის“ თავმჯდომარე ლევან ჩაჩუას.

**ლევან ჩაჩუა:**

– იმისათვის, რომ ქართული პოლიტიკის დაჭაობებულ ველზე იტივტივონ, ნაციონალები ყველა ხერხს მიმართავენ. ნაციონალური მოძრაობა, იმის მაგივრად, რომ სასიცოცხლო პრობლემების მოგვარებაზე იფიქროს, კლოუნადებს აწყობს.

***– კლოუნადა სად იყო?***

– კახეთში, პრეზიდენტის ინაუგურაციის დღეს. ეს იყო ისეთი სამარცხვინო მოქმედებები, რომლებიც თავს გვჭრის ქართველებს მსოფლიოში.

***– აქციები სხვა ქვეყნებშიც ხომ იმართება?***

– როგორ არ იმართება, მაგრამ ასეთი თავის მომჭრელი – არა. საფრანგეთში უბრალო ხალხი გამოდის სოციალური მოთხოვნებით. ეს კონკრეტული აქციებია და მათ არ ახლავს ჯამბაზობა და უცხოელი სტუმრების ყურადღების მიპყრობის მცდელობა. სალომე ზურაბიშვილის მხარდამჭერი არ ვყოფილვარ. პირიქით, ხალხს არჩევნების ბოიკოტისაკენ მოვუწოდებდი. მიუხედავად ამისა, ყველამ უნდა მივიღოთ პოლიტიკური მოცემულობა.

დარღვევების მიუხედავად, მსოფლიომ აღიარა ამ არჩევნების შედეგი და ცნო სალომე ზურაბიშვილი პრეზიდენტად. ამ დროს ამ ქუჩურ გაწევ-გამოწევებს და მანქანების მსხვრევას რა აზრი აქვს! ნაციონალებმა ხალხი ვერც 16 დეკემბერს შეკრიბეს. ყურადღების მისაქცევად ბევრი რამ ჩაიდინეს, დეპუტატები იწევდნენ პოლიციელებზე. უკვე მერამდენედ მიიღეს უარი ხალხისაგან, მაგრამ თავისას არ იშლიან და ახალ-ახალ დადგმებს იგონებენ. ჰგონიათ, რომ მსოფლიო საქართველოში კიდევ ერთ ვარდების რევოლუციას მოაწყობს.

***– ნაციონალები არ მიიჩნევენ, რომ ხალხისაგან უარი მიიღეს. 780.000 ხმა მათ აქტივშია.***

– ეს ყალბი მონაცემია. ნაცმოძრაობის 700.000 მომხრე ბუნებაში არ არსებობს. თუ ასეთი მხარდაჭერა აქვთ ნაციონალებს, მიტინგებზე 3.000 კაცს ძლივს რატომ აგროვებენ? 16 დეკემბერს ისინი იქცეოდნენ ისე, როგორც შეეფერება კრიმინალურ ბანდას. ის, ვინც დანაშაული ჩაიდინა, პასუხისგებაში უნდა მიეცეს. კრიმინალური ბანდა იყო სააკაშვილის რეჟიმი. ის მაშინაც ანგრევდა ქვეყანას, როცა ხელისუფლებაში იყო და ახლაც იმავეს აგრძელებს.

***– ეს ოფიციალურად არავის უღიარებია.***

– „ქართულმა ოცნებამ“ არ მოგვისმინა იმათ, ვინც ნაციონალური მოძრაობის შეფასებას, დამნაშავეების გასამართლებას და სამართლიანობის დამყარებას მოვითხოვდით.

მე, როგორც სააკაშვილის რეჟიმის პოლიტპატიმარი, თავიდანვე ვაყენებდი ამ მოთხოვნას. პირველი ტურის შემდეგ ბიძინა ივანიშვილმა პირობა მოგვცა, ერთი შანსი კიდევ მომეცით და სამართალი აღდგებაო. მან კიდევ ერთხელ თქვა, რომ დაპირებები შესრულდება. არ ვიცი, ვის აქვს ამის იმედი და ვის არა, იმაში კი ვარ დარწმუნებული, რომ ხალხი ხმას აძლევდა ნაცმოძრაობის წინააღმდეგ.

პირველ ტურში დაახლოებით 70% არ მივიდა. მეორე ტურში სალომე ზურაბიშვილს ძალიან ბევრი ამომრჩეველი აძლევდა იმის გამო, რომ არ დაბრუნდეს ნაციონალური მოძრაობა. ეს ნაციონალური მოძრაობა კი, თავისი გამოხდომებით, საზოგადოების ყურადღების გადატანას ცდილობს.

***– რომელი პრობლემებიდან გადააქვს ხალხის ყურადღება?***

– ასეთი უამრავია. სულ რამდენიმე დღე გავიდა მას შემდეგ, რაც საკონსტიტუციო სასამართლომ გააუქმა მორატორიუმი უცხოელებისათვის სასოფლო-სამეურნეო მიწის მიყიდვაზე.

***– ამის გამო იუსტიციის სახლთან ადამიანები მართავდით რამდენიმედღიან აქცია-პიკეტს..***

– ეს გადაწყვეტილება გათვლილი იყო იმაზე, რომ მანამდე, სანამ ამოქმედდებოდა საქართველოს კონსტიტუციის ახალი რედაქცია, დაებოლოებინათ უცხოელებისათვის მიწების გასხვისება. უნდა დაკმაყოფილებულიყო 2.500 უცხოელის განაცხადი. მათ გავლილი ჰქონდათ პროცედურები, დარჩენილი იყო მცირე ფორმალობა – რეგისტრაცია.

***– როგორც ვიცი, აქციამ შედეგი გამოიღო.***

– ამას გადავამოწმებთ. ზეპირი განცხადებებით, 10-დან 14 დეკემბრის ჩათვლით უცხოელს მიწა არ უყიდია. „ქართული იდეა“ დღეს ვაპირებთ ამის შესახებ საჯარო ინფორმაციის გამოთხოვას. იუსტიციის სახლს ამ საჯარო ინფორმაციას მოვთხოვთ. საზოგადოებას ამის თაობაზე ანგარიშს ჩავაბარებთ.



ნაციონალური მოძრაობა ამის გამო თავს არ იწუხებს. პარლამენტშია ეს პარტია წარმოდგენილი და არც ის აინტერესებს, რატომ შეუერთდა საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო მიგრანტების შესახებ პაქტს. ნაციონალები არ იბარებენ ამ სამინისტროს წარმომადგენლებს და არ ითხოვენ ამაზე ინფორმაციას.

***– იქნებ, არ არის სახიფათო ეს პაქტი?***

– ზუსტი ინფორმაცია სამინისტრომ უნდა მოგვცეს. ამ დოკუმენტს ხელი არ მოაწერეს აშშ-მ, რუსეთმა და პოლონეთმა. თუ საუბარია იმაზე, რომ ვალდებულების ფარგლებში საქართველო მიიღებს 500-მდე მიგრანტს, მაშინ სახიფათო შეიძლება არ იყოს, მაგრამ თუ საქართველო დათანხმდა ათასობით ლტოლვილის მიღებას აზიიდან და აფრიკიდან, მაშინ ეს ქვეყნის ღალატია. ისედაც გვყავს ჩვენი დევნილები.

ნაციონალური მოძრაობა იყო მმართველი პარტია, როცა ქვეყანაში ჩვენი დევნილების რიცხვი გაიზარდა. აფხაზეთიდან დევნილებს დაემატნენ იძულებით გადაადგილებულები შიდა ქართლიდან. მაშინდელმა პრეზიდენტმა და შინაგან საქმეთა მინისტრმა მათ გეტოები აუშენეს.

იმ გეტოებში ცხოვრება გაუსაძლისია. კიდევ კარგი, ოპოზიცია არსებობს. ის ძალები, რომლებიც მართული არა ვართ, ერთად ვიდექით იუსტიციის სახლთან. ნამდვილი ოპოზიცია ისევ ერთად უნდა ვიყოთ. ჩვენ უნდა დავაკმაყოფილოთ ხალხის მოთხოვნა დიდი მძლავრი მოძრაობის შექმნის შესახებ. ბიძინა ივანიშვილი, იმის მაგივრად, რომ ხელი შეუწყოს ეროვნული მუხტის განვითარებას, ამის წინააღმდეგია. ის აფინანსებს „გირჩს“ და „ევროპულ საქართველოს“. ივანიშვილი ე.წ. მესამე ძალასაც თვითონ ქმნის.

***– რას გულისხმობთ?***

– ალეკო ელისაშვილის სახით მას შემოჰყავს ე.წ. მესამე ძალა, რომელსაც უკვე ასპონსორებს.

***– ალეკო ელისაშვილი აცხადებს, რომ მისი ახალი ორგანიზაცია, რომელიც ამ ეტაპზე პოლიტიკური არ არის, ბრიუსელიდან ფინანსდება.***

– ვარდების რევოლუციის შემდეგაც გვეგონა, რომ რევოლუციონერებს სოროსი ინახავდა, მაგრამ თურმე, მათ მაღალი ხელფასები ივანიშვილისგან ჰქონდათ. ახლა ივანიშვილი კიდევ ერთხელ უხსნის გზას თავის ფავორიტ ელისაშვილს.

***– ფავორიტი რატომაა?***

– იმიტომ, რომ ელისაშვილი საკრებულოშიც ბიძინა ივანიშვილმა შეიყვანა, მერის არჩევნებშიც ფულს ის აძლევდა. ოდიოზური ხალხის გააქტიურებით ბიძინა ივანიშვილი კიდევ უფრო ძაბავს სიტუაციას ქვეყანაში.

***– რა გაქვთ მხედველობაში?***

– ელისაშვილი ის კაცია, რომელმაც 8 უდანაშაულო ადამიანი გაგვწირა. ამის შედეგად ჩვენ – მორწმუნეები, სტიქაროსნები, სასულიერო აკადემიისა და სემინარიის სტუდენტები არაფრის გამო დაგვიჭირა სააკაშვილის რეჟიმმა.

ეს მოხდა ტელეკომპანია „კავკასიაში“, ნინო ჯანგირაშვილის გადაცემაში. იქ შემოიჭრა ელისაშვილი და მოითხოვდა ჩვენს დაკავებას. მოგვიანებით, როცა პატიმრობა მოგვისაჯეს, ელისაშვილი ბოდიშებს გვიხდიდა. მაშინ ის ამ ტელეკომპანიაში მუშაობდა და ნაციონალებთან იყო შეკრული.

2013 წელს ჩვენ სინდისის პატიმრებად გვაღიარეს. მანამდე ციხეში მაინც მოგვიწია ყოფნა. ასეთი რამის ჩამდენი კაცი არ უნდა ლაპარაკობდეს, რომ ნაღდი თბილისელი ვაჟკაცი და ღირსეული კაცია. ივანიშვილმა ასეთი არ უნდა დასვას „მესამე ძალად“. ეს ძალა დამოუკიდებელიც ხომ ვერ იქნება!

---

# ლანჩხუთში 2 წლის ბავშვმა წნევის წამალი დალია

ლანჩხუთში 2 წლის ბავშვმა წნევის წამალი დალია, ის რთულ მდგომარეობაში ლანჩხუთის „მედალფას“ კლინიკაში გადაიყვანეს.

ბავშვს პირველადი დახმარება აღმოუჩინეს, შემდეგ კი რეანომობილით თბილისში, იაშვილის სახელობის კლინიკაში გადაიყვანეს.



– ამ ბავშვის მშობლებს კიდევ ერთი შვილი ჰყავთ, ერთი წლის. დედა ბავშვებთან ერთად მარტო ყოფილა სახლში. უმცროსი დასაძინებლად გაუყვანია, ეს თამაშობდა, უპოვია სადღაც ყუთში ეს წამლები და დაულევია. სხვათა შორის, ძალიან ძლიერი პრეპარატია, რომელიც მაღალი წნევის დროს მიიღება. არ იციან, რამდენი აბი გადაყლაპა, რომ გამოსულა დედა და დაუნახავს ბავშვი, რამდენიმე ცალი პირიდან გადმოაყრევინა. ბავშვი თვითდინებით შემოიყვანეს, აქ აღმოვუჩინეთ პირველადი დახმარება. აღენიშნებოდა დაბალი წნევა, სუსტი პულსი, იმყოფებოდა პრეპარატის ინტოქსიკაციის ქვეშ. გამოვიძახეთ რეანომობილი და გადავიყვანეთ იაშვილის კლინიკაში. ტოქსიკოლოგიურ განყოფილებაშია მოთავსებული. ბავშვის მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია, სავარაუდოდ, ბინაზე გამოწერენ, – განაცხადა „მედალფას“ ექიმმა.

შემთხვევა სოფელ ნიგვზიანში მოხდა.

---

# „ოპოზიციას ინაუგურაციაზე ხახვი და კარტოფილი ჰქონდა წამოღებული და მისი დაშენა უნდოდათ“

დასაწყისი მე-4 გვერდზე

– შეიძლება პროვოკაციას მოერიდა. მე ასე ვიცი. ისე ვიკითხავ. მე ვიცი, რომ იყო მხოლოდ ერთი კადრი ილია ჭავჭავაძის საფლავთან მისვლაზე. ისე საინაუგურაციო სიტყვაში ქალბატონმა სალომემ აღნიშნა ზვიად გამსახურდიას დამსახურება. სხვა პრეზიდენტების დამსახურებას მეტ-ნაკლებად შეეხო. ვისაც აწყობს, ზვიადის საფლავი არ ენახა, ამას სხვანაირი სუნი ასდის. უნდა შეეკითხონ იქ დამსწრე საზოგადოებას. თუ ვინმე აპირებდა პროვოკაციის მოწყობას, ჯერ ერთი, არ წამოეგებოდა პროვოკაციას, მაგრამ მეორეც, ალბათ, მოერიდა. ამაში გასაკვირი არაფერია.

***– ყოველ შემთხვევაში, როცა კადრი აჩვენეს, პროვოკაციაზე არ უსაუბრიათ, მაგრამ მეორე მხრივ, ინაუგურაციაზე რატომ არ იყვნენ მიწვეული პირველი პრეზიდენტის ოჯახის წევრები?***

– არ ვიცი. მანდ სიტუაცია გამწვავებულია. ოჯახის წევრებს პროტესტში ვეთანხმები, რომ ზვიად გამსახურდიას მკვლელობის საქმე გამოძიებული უნდა იყოს, თუმცა, პროტესტის გამოთქმასაც თავისი ფორმა აქვს – სალანძღავი სიტყვები არ არის მიღებული.

***– მესმის, რომ სალანძღავი სიტყვები მიუღებელია, მაგრამ რატომ უწევთ, ქვეყნის პირველი პრეზიდენტის ოჯახის წევრებს, 25 წლის შემდეგ შიმშილობა გამოძიების გასაგრძელებლად? ეს ხომ სირცხვილია? მე თქვენ იმიტომ დაგიკავშირდით, კონსერვატორები, ფაქტობრივად, ხელისუფლებაში ხართ, ზვიად ძიძიგური ვიცე- სპიკერია. ვფიქრობ, საზოგადოების ამ ნაწილს რაც აღელვებს, მეტწილად იმ პრობლემების მომგვარებელი უნდა იყოს ზვიად ძიძიგური და თქვენი პარტია.***

– ზვიად ძიძიგურთან ამ თემაზე საუბარი არ ჰქონიათ.

***– კი, მაგრამ თქვენ ხომ იცით, რომ უკვე ვადა გადის და შეიძლება ზვიად გამსახურდიას საქმე დაიხუროს?***

– ვადა იწურებოდა თუ არა, ამის თაობაზე ოჯახის წევრებიდან არავის, არც ჩემთან, არც ვინმესთან არ უსაუბრიათ. რატომ უნდა დაგვჭირდეს ბოლო დღეებში პროტესტი. რამდენიმე თვით ადრე მაინც ეთქვათ.

***– ალბათ, თქვენთვის არ უთქვამთ ან თქვენ გამოგრჩათ მხედველობიდან, თორემ ამის თაობაზე სტატიები გამოქვეყნდა.***

– ზვიად ძიძიგურთან არავინ მისულა, ასეთი მდგომარეობაა და რაღაც ვქნათო. მეც ვეთანხმები ოჯახის მოთხოვნას, რომ ზვიად გამსახურდიას მკვლელობის გამოძიება ბოლომდე უნდა იქნას მიყვანილი. არავითარი ვადა არ უნდა იყოს დაწესებული, მაგრამ ოჯახის წევრი რომ აცხადებს, არავის არაფერს ვთხოვო, ეგრე არ არის. ასე კატეგორიულად და ულტიმატუმის ენით საუბარი არ შეიძლება.

***– როგორც გავიგე, პროკურატურას მიუწვევია თუ თანხმობა განუცხადებია შეხვედრაზე, მაგრამ შემდეგ აღარ შეხვდნენ. ამიტომ ოჯახის წევრებიც იძულებული გახდნენ, შიმშილობა გამოეცხადებინათ.***

– პროკურატურამ ასეთი რამ თუ ჩაიდინა, მაშინ პასუხი არის მოსათხოვი. პროკურატურამაც უნდა გააკეთოს ამაზე განცხადება და ოჯახსაც თუ აქვს რაიმე ხელშესახები, უნდა გამოაქვეყნოს. არ ვიცი, ამის თაობაზე საქმის კურსში არ ვარ და ვერაფერს გეტყვით.

***– ისე, თქვენც და ბატონი ზვიად ძიძიგურიც ის ადამიანები ხართ, რომლებმაც ციხეები გამოიარეს, იბრძოლეს იმ ფლანგზეც. ამ კითხვებს თქვენ ამიტომ გისვამთ. როგორ შეიძლება დასრულდეს ეს საკითხი? შეიძლება ზვიად გამსახურდიას მკვლელობის საქმე გამოძიების გარეშე დაიხუროს?***

– ოჯახის მოთხოვნა პროკურატურამ ყურად უნდა იღოს და შესაბამისი პასუხი გასცეს. იწურება ვადა თუ არა, შესაძლებელია თუ არა, ამ საქმის მიჩქმალვა არ შეიძლება. პასუხი უნდა გაეცეს ყველა კითხვას, რასაც ოჯახი აყენებს. ამაში 100%-ით ვეთანხმები ოჯახის წარმომადგენლებს. აქვე მინდა ვთქვა, რომ არასწორია თან რაღაცას ითხოვდე ხელისუფლებიდან და თან ლანძღავდე.

***– ასეთ საქმეებზე ხანდაზმულობის ვადა უნდა იყოს? კარგი გამოსავალი უპოვიათ. როგორ შეიძლება ასეთი საქმეების დახურვა?***

– ვფიქრობ, მანდ რაღაც შეცდომაა დაშვებული. არავითარი ხანდაზმულობის ვადა ამ საქმეს არ უნდა ეხებოდეს. ათასჯერ განახლებული საქმეა. კონსტანტინე გამსახურდიამ კომისია შეაქმნევინა, რაც იმ კომისიას შეეძლო გამოიძია. ამის შემდეგ ათვლის წერტილი უნდა შეიცვალოს.

***– კონსტანტინე გამსახურდიას საპარლამენტო კომისიის დასკვნების შედეგად პროკურატურამ საქმე გადააკვალიფიცირა. ადრე საქმე თვითმკვლელობის მუხლით იყო აღძრული, შემდეგ მკვლელობის მუხლით დაიწყო გამოძიება.***

– ამიტომაც არ შეიძლება გამოძიების ვადა ასე იწურებოდეს. მე რაღაც შეცდომა მგონია.

***– საუბარი იყო იმაზეც, საქმე რომ არ დაიხუროს საკანონმდებლო ცვლილებაა საჭიროო.***

– ამ საკითხებს დროზე უნდა დაყენება. ადვოკატი ხომ ჰყავს. სამართლებრივი საკითხები უნდა დააყენოს და მხარდაჭერაც იქნება.

***– მე მგონი, თქვენ და ზვიად ძიძიგური ამ საქმის უფრო დიდი ადვოკატები უნდა იყოთ.***

– ჩემთვის ვინმეს შემოთვლით მაინც რომ შემოეთვალა, მეცოდინებოდა. მე ხომ არ ვიცი, ისინი ვისთან მივიდნენ, რა უპასუხეს, საქმის კურსში არ ვარ. მხარს ვუჭერ. თუ ვადა გადის, ეს საკითხი უყურადღებოდ არ უნდა დარჩეს. გამოძიებაც უნდა გაგრძელდეს, შესაბამისი დასკვნაც უნდა დაიდოს და საბოლოოდ ბრალიც უნდა წაეყენოს მას, ვინც დამნაშავეა. შემხვედრი წინადადებები და პოზიციებია საჭირო.

***– ოჯახს რომ თავი დავანებოთ – როდესაც საუბარია ზვიად გამსახურდიას მკვლელობის გამოძიების შეფერხებაზე, საზოგადოებაში არსებობს აზრი, თითქოს გამოძიებას გარკვეული ძალები (ან ხელისუფლებაში მყოფი, ან უცხოეთიდან) ხელს უშლიან. შეიძლება უფრო მეტიც იცით ამ საკითხზე?***

– კონკრეტულ პიროვნებებს მე ვერ დავასახელებ, მაგრამ ამდენი ხანი რომ გაიწელა ეს პროცესი, სამარცხვინოა. ხელისუფლებამ ეს საკითხი კონტროლზე უნდა აიყვანოს. თუ საქმე მართლა დაიხურა, ეს არის თავის მოჭრა. მიზანმიმართულ პროვოკაციას ვერ დავარქმევ, მაგრამ შეცდომაა, რომ ვადა იწურება. პირველი პირების გამოძიების საკითხი ძირითადად გამოუძიებელია, მაგრამ კონსტანტინე გამსახურდიას კომისიამ გარკვეული დასკვნა დადო და მას მსვლელობა უნდა მიეცეს.

# მიხეილ ჯაფარიძე: „კომერციულ საბანკო საქმიანობასთან ერთად ბანკები აგრესიულ საინვესტიციო საბანკო საქმიანობაზე გადავიდნენ“

სადაზღვევო კომპანიები კომერციული ბანკების წინააღმდეგ გამოდიან და მათთვის სადაზღვევო სფეროში საქმიანობის შეზღუდვას ითხოვენ. სადაზღვევო კომპანიების წარმომადგენლების თქმით, ბანკები მათი შვილობილი კომპანიებისათვის ხელოვნურად ქმნიან ხელსაყრელ გარემოს და კონკურენტებს უსამართლოდ ზღუდავენ. კერძოდ, მაშინ როდესაც მომხმარებლები აზღვევენ სესხს, ბანკები მათ სთავაზობენ მხოლოდ ერთ კომპანიას.

„კომერსანტი“ დაინტერესდა, კონკრეტულად რა ტიპის მოთხოვნები აქვთ სადაზღვევო კომპანიებს, რატომ და საიდან მივიღეთ ეს სირთულეები და რა იყო ამის მიზეზი? ამჯერად გთავაზობთ „არდი დაზღვევის“ პოზიციას.



„არდი დაზღვევის“ აღმასრულებელი დირექტორი მიხეილ ჯაფარიძე „კომერსანტთან“ აცხადებს, რომ სადაზღვევო კომპანიების უმეტესობის ინიციატივით დაიგზავნა წერილი, რომლის ძირითადი მოტივი არის კონკურენციის დაცვა საფინანსო სექტორში.

– მიგვაჩნია, რომ საბანკო ჯგუფების მხრიდან სადაზღვევო სექტორში აგრესიული ექსპანსია იწვევს არაჯანსაღ კონკურენციას. როდესაც ბანკს, რომელსაც ხელი მიუწვდება ყველა კლიენტის ტრანზაქციაზე და მისთვის საჭირო ფინანსურ რესურსზე, მას ამავდროულად აქვს ჭარბი ძალაუფლება, ირიბად ან პირდაპირ აიძულოს მასთან აფილირებული სადაზღვევო კომპანიის პოლისი. იმ პირობებში, როდესაც კლიენტისთვის ძირითადი მიზანი სესხია და არა დაზღვევა, ეს უკანასკნელი მხოლოდ თანამდევი პროდუქტი ხდება და კონკურენცია, რომელიც ასე მძაფრად გვაქვს ბაზრის მონაწილეებს შორის, საბანკო სისტემის გარეთ ამ შემთხვევაში განეიტრალებულია.

ჩვენი და ჩვენი კოლეგების მოთხოვნაა კონკურენცია თანაბრად დაცული იყოს ყველა დარგში. ზოგადად სადაზღვევო სექტორში ძალიან მაღალია კონკურენცია და სწორედ ამის დაცვა გვინდა ამჯერადაც, – აღნიშნავს ჯაფარიძე.

მისივე განმარტებით, საბანკო სექტორი დღეს აღარ არის დაფინანსების და სხვა ფინანსური მომსახურების მიმწოდებელი. ის დღეს თავისივე კლიენტების კონკურენტია, რომლებზეც ის ფლობს ყველა ტიპის მონაცემს, რასაც სხვა ყველა მოკლებულია. ანუ გვაქვს კონკურენციული ასიმეტრია, ერთგვარი დაუძლეველი ფორა, რომელიც გამოიყენება აგრესიული საინვესტიციო პოლიტიკის გასატარებლად.

კითხვაზე, რამდენად მძაფრად დგას ქვეყანაში არაპროფილური აქტივების ფლობის საკითხი, ჯაფარიძე აღნიშნავს, რომ ფლობაში ერთი შეხედვით პრობლემა არ უნდა იყოს, მაგრამ როდესაც კომპანია ფლობს თავისივე კლიენტების კონკურენტ კომპანიას, რომელსაც გარანტირებული აქვს მატერიალური, ინტელექტუალური და ინსაიდერული უპირატესობა, ეს პრობლემაა. მისი განმარტებით, თუ ერთი ეკონომიკური აგენტის ქმედება ზღუდავს კონკურენციას, უთანაბროს ხდის შესაძლებლობებს, ჩვენ მივიღებთ ძალიან მაღალი კონცენტრაციის ეკონომიკას კონკრეტული ფინანსური ჯგუფების ირგვლივ, რაც უაღრესად საშიშია ჩვენი ქვეყნის ისედაც მყიფე ეკონომიკისთვის.

– აღნიშნა, რომ ბანკების როლი მნიშვნელოვანია ქვეყნის ეკონომიკაში, მაგრამ ასევე მნიშვნელოვანია ყველა სხვა სექტორი. დღეს გვაქვს მოცემულობა, როდესაც ბანკები პირდაპირი მნიშვნელობით აკეთებენ მთელი ქვეყნის ეკონომიკის სკრინინგს, ახდენენ პოტენციურად საინტერესო ბაზრების იდენტიფიკაციას და თავის უდიდეს რესურსებს მიმართავენ ან იმ სექტორში წარმატებული კომპანიების შესყიდვის მიმართულებით, ან თავად აფუძნებენ და კონკურენციაში შედიან თავისივე წარმატებულ კლიენტთან, რომლის ყველა ტრანზაქცია ხელის გულზე აქვთ, – აცხადებს ჯაფარიძე.

მისივე განცხადებით, კომერციულ საბანკო საქმიანობასთან ერთად, ბანკები აგრესიულ საინვესტიციო საბანკო საქმიანობაზე გადავიდნენ. ისეთი შთაბეჭდილებაც კი იქმნება, რომ დიდი რბოლაა გამოცხადებული, ვინ იქნება პირველი ბაზრის მომდევნო სეგმენტის ასათვისებლად. ჯაფარიძის განმარტებით, ეს ტემპი თუ გაგრძელდა აღარ დარჩება ეკონომიკის ჯანსაღი დარგი, სადაც საბანკო ჯგუფები არ იქნებიან კონკურენტები თავისი საბანკო მოდელებით.

– რაც შეეხება სადაზღვევო ბაზარს – გადახედეთ ფინანსურ შედეგებს. ამ ერთი შეხედვით ძალიან მწირ ბაზარზე, სადაც კარგ შემთხვევაში 5%-იანი მარჟით ოპერირებენ კომპანიები, საბანკო ჯგუფებთან აფილირებული კომპანიები 25-30%-იანი მოგების განაკვეთით ახერხებენ მანევრირებას.

საბედნიეროდ არიან ისეთი ბანკებიც, რომლებიც მკაცრად საბანკო საქმიანობას ახორციელებენ და, შესაბამისად, იცავენ ყველა იმ სტანდარტს, რაც კონკურენციის დაცვას უწყობს ხელს. ისინი სადაზღვევო პროდუქტებს რისკების სამართავად იყენებენ და არა ბიზნეს შესაძლებლობებისთვის. მათი მთავარი ბიზნეს მიმართულება კომერციული საბანკო საქმიანობაა, შესაბამისად, ისინი სადაზღვევო კომპანიების პარტნიორები არიან და არა კონკურენტები, – აღნიშნავს ჯაფარიძე.

„კომერსანტის“ კითხვაზე, რატომ და საიდან მივიღეთ ეს სირთულეები, ჯაფარიძე განმარტავს, რომ ამ ყველაფრის მიზეზი არის ის, რომ საქართველოში გვაქვს ისეთი მოდელი, სადაც ყველაფერი აწყობილია ბანკებზე, სადაც პრაქტიკულად ერთადერთი კაპიტალის წყარო ბანკია, სადაც იგივე წყარო აკონტროლებს კაპიტალის ბაზარს, რომელიც ამავდროულად მისი კონკურენტი უნდა იყოს. შესაბამისად, ვიღებთ საზოგადოების და ბიზნეს სექტორის გაუცხოებას საბანკო სექტორის მიმართ, რაც, თავის მხრივ, არავის აწყობს.

მიუხედავად არაერთი დეკლარაციის, საკანონმდებლო ინიციატივის თუ შემართებისა, ვერც ერთმა მთავრობამ ვერ მოახერხა, რომ კაპიტალის ბაზარი განევითარებინა. ყოველ ჯერზე საბანკო ჯგუფი ახერხებდა კაპიტალის ბაზარი დაეტოვებინა ეროვნული ბანკის კონტროლ ქვეშ და, შესაბამისად, დღეს საქართველოს საფონდო ბირჟას, სადაც არაფერი არ ხდება, აკონტროლებს ორი ბანკი.

– სანამ კაპიტალის ბაზარზე კონკურენცია არ იქნება ისეთი, როგორიც უნდა იყოს, ამ ჩაკეტილი წრიდან თავს ვერ დავაღწევთ. შედეგებზე რეაგირება არაფერს მოგვცემს თუ მიზეზი არ აღმოიფხვრება. კაპიტალის ბაზარი უნდა გამოვიდეს ეროვნული ბანკის დაქვემდებარებიდან. უნდა ჩამოყალიბდეს ფასიანი ქაღალდების დამოუკიდებელი რეგულატორი, რომელიც განავითარებს ამ მიმართულებას და გაიზრდება კონკურენცია კაპიტალის ბაზარზე.

როდესაც ბანკებს სჭირდებათ დამატებითი რესურსის მობილიზება, გადიან ბირჟაზე, ლონდონში და ახდენენ ასეულობით მილიონის მოზიდვას, რათა საქართველოში მოახდინონ ამა თუ იმ ბიზნეს სექტორში ექსპანსია. რატომ არ აქვს ქართულ კომპანიებს იმის საშუალება, რომ აქციები ქართულ საფონდო ბირჟაზე განათავსონ, უფასო კაპიტალი მოიზიდონ და განვითარდნენ? რატომ შეიძლება ეს ერთისთვის და არ შეიძლება მეორესთვის?

ასევე, „კონკურენციის შესახებ კანონი“ უნდა გახდეს ეფექტური და დაიცვას სამართლიანი თამაშის წესები. ყველამ მიიღოს შედეგი დამსახურების მიხედვით. დაცული უნდა იყოს შესაძლებლობების თანაბრობა, რაც დღეს არ გვაქვს. ვფიქრობ, თავად ბანკებსაც შეუძლიათ იყონ უფრო მეტად კონცენტრირებული ამ საკითხებზე. მათი როლი მნიშვნელოვანია, მაგრამ ჭარბ კონცენტრაციებს ცუდ შედეგებამდე მივყავართ, – აღნიშნავს ჯაფარიძე.

როგორც ცნობილია, რეაგირებისთვის სადაზღვევო ინდუსტრიის 12 წარმომადგენელი მთავრობას მიმართავს. კომპანიების წარმომადგენლები ამბობენ, რომ კონკურენციის შესახებ კანონი ბანკებზეც უნდა გავრცელდეს. ასევე ცნობილია, რომ ერთობლივ განცხადებას ხელი ოთხმა სადაზღვევო კომპანიამ არ მოაწერა. ესენია: „თიბისი დაზღვევა“, „ქართუ დაზღვევა“, „ჰუალინგ დაზღვევა“ და იმედი L.

სადაზღვევო კომპანიების წმინდა მოგება იზრდება. დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის სტატისტიკით, 2018 წლის სამ კვარტალში კომპანიებმა 34,66 მლნ ლარის წმინდა მოგებით დაასრულეს. ეს თითქმის 21,51 მლნ ლარით მეტის წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით. 2017 წლის მესამე კვარტლის მონაცემებით, კომპანიების წმინდა მოგებამ 13,15 მლნ ლარი შეადგინა. 2018 წლის მე-3 კვარტლის ბოლოსთვის მოზიდულმა სადაზღვევო პრემიამ პირდაპირი დაზღვევის საქმიანობიდან შეადგინა 417,19 მლნ ლარი, 71.47 მლნ ლარით მეტი, ვიდრე 2017 წლის ანალოგიურ პერიოდში. ასევე მკვეთრი ზრდაა აქტივებშიც. სექტორის აქტივების მოცულობა 712.33 მლნ ლარია, ნაცვლად წინა საანგარიშო პერიოდში არსებული 597.10 მილიონისა.

ბაზარზე ამ დროისათვის 17 სადაზღვევო კომპანია ოპერირებს. 16 მათგანი ფლობს სიცოცხლის და არასიცოცხლის დაზღვევის ლიცენზიას, ხოლო ერთი მათგანი მხოლოდ არასიცოცხლის დაზღვევის ლიცენზიას.

# რა თანხას იღებენ მოქალაქეებისგან „აჭარაბეთი“ და „ბეთლაივი“ — კომპანიის ფინანსური მაჩვენებლები

2017 წლის 50 ყველაზე დიდი ბრუნვის მქონე კომპანიას შორის, 8 აზარტული თამაშების საქმიანობით დაკავებული კომპანია მოხვდა. ამ რვა კომპანიიდან სამი კი წინა წლის ტოპ-10 კომპანიის რიგებშიც არის.

„ლატარიების, აზარტული და მომგებიანი თამაშობების მოწყობის შესახებ“ კანონში ცვლილებების შეტანა უკვე 6 წელზე მეტია „დროში გაიჭედა“. ამ დროს კი სათამაშო ბიზნესის ბრუნვა მნიშვნელოვნად იზრდება. კერძოდ, ბოლო 11 წლის მონაცემებით, სათამაშო ბიზნესის ბრუნვა 187-ჯერ არის გაზრდილი. მათ შორის, 2016 წელს სათამაშო ბიზნესის ბრუნვა დაახლოებით 4 მილიარდი იყო, ხოლო 1 წელიწადში მილიარდნახევრიანი ნახტომი გააკეთა და გასულ წელს აზარტული თამაშების ბრუნვამ 5,6 მილიარდ ლარს გადააჭარბა.

საინტერესოა ისიც, რომ მოგების გადასახადის ყოველთვიური დეკლარაციის ფორმა გადამხდელთა ერთობლივი შემოსავლის შესახებ ინფორმაციის მითითებას არ ითვალისწინებს. შესაბამისად, არც სათამაშო ბიზნესის ერთობლივი შემოსავლის შესახებ არის ინფორმაცია ხელმისაწვდომი. ასევე არ არსებობს ზუსტი სტატისტიკა, თუ რა თანხა წააგო მოსახლეობამ შარშან აზარტულ თამაშებში.

თუმცა „ბიზნესპრესნიუსი“ შეეცადა, ფინანსური ანგარიშგებების ვებგვერდზე გადაემოწმებინა, თუ როგორია – ცალკეული, აზარტული თამაშებით დაკავებულ საწარმოთა შემოსავლები, მოგება და მოქალაქეებისგან მიღებული თანხები. საინტერესოა, რომ ბრუნვის მოცულობის მიხედვით ყველაზე მსხვილი 50 კომპანიის ჩამონათვალში მყოფი 8 აზარტული კომპანიიდან ფინანსური ანგარიშგება ორს აქვს გამოქვეყნებული. ეს ორი კომპანიაა: შპს „ს გემბლინგ ჰოლი“ (აჭარაბეთი) და შპს „დეიდრიმ უნივერსალ საქართველო“ (ბეთლაივი).

როგორც ანგარიშგებიდან ირკვევა, ორივე კომპანია მე-2 კატეგორიაშია, რაც ნიშნავს, რომ თითოეულის – აქტივების ჯამური ღირებულება 10 მილიონი ლარიდან 50 მილიონ ლარამდე; შემოსავალი 20 მილიონი ლარიდან 100 მილიონ ლარამდე; დასაქმებულთა საშუალო რაოდენობა კი 50-დან 250 ადამიანამდე არის.

ცალკეული კომპანიის ფინანსურ მაჩვენებლები რომ ვნახოთ, 2017 წელს „ს გემბლინგ ჰოლის“ (აჭარაბეთი) საერთო მოგება – 38.042.668 ლარი იყო. აქედან, 38.611.134 ლარი კი დადებული ფსონებიდან მიღებულმა ამონაგებმა შეადგინა. ამასთან, საანგარიშო პერიოდში კომპანიის წმინდა მოგებამ 6.842.696 ლარი; ხოლო მის მიერ გადახდილმა მოგების გადასახადმა – 111.894 ლარი შეადგინა. რაც შეეხება აქტივებს, გასული წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიის საკუთრებაში 13.844.783 ლარის აქტივები იყო.

ცნობისთვის, შპს „ს გემბლინგ ჰოლი“ 2015 წლის 9 ივლისს არის რეგისტრირებული და ჰყავს 2 დამფუძნებელი – თენგიზ ფერაძე და თეიმურაზ უგულავა, რომლებიც კომპანიის 50%-50%-იან წილებს ფლობენ. კომპანიის ძირითად საქმიანობას სხვადასხვა აზარტული თამაშობების ორგანიზება (სლოტი, ტოტალიზატორი, სათამაშო აპარატები) წარმოადგენს და მასში დაახლოებით, 700-მდე თანამშრომელია დასაქმებული.

რაც შეეხება, „დეიდრიმ უნივერსალ საქართველოს“ (ბეთლაივი), ის 2011 წლის 19 დეკემბერს არის რეგისტრირებული. მისი დამფუძნებლები არიან შპს „ნერფლადა გრუპ“ და სულიკო ვარსემაშვილი, რომლებიც 50-50%-იან წილებს ფლობენ. კომპანიის საქმიანობას კი წარმოადგენს სათამაშო ბიზნესი, რომელშიც გაერთიანებულია ტოტალიზატორი, სლოტ-აპარატები და სხვა წამახალისებელი გათამაშებების მოწყობა.



კომპანიის ფინანსურ მაჩვენებლების მიხედვით, „დეიდრიმ უნივერსალ საქართველოს“ (ბეთლაივი) მთლიანი შემოსავლები 8 მილიონი ლარით არის გაზრდილი. კერძოდ, თუ 2017 წელს მისი საოპერაციო შემოსავალი – 278.406.452 ლარი იყო, 2016 წელს ის 270.715.759.21 ლარს შეადგენდა. წინა წლის განმავლობაში, კომპანიის შემოსავლების, ძირითად ნაწილს – 277.719.962 ლარს სათამაშო აპარატებიდან და ტოტალიზატორიდან; ხოლო 635.076 ლარს ბარებიდან მიღებული შემოსავალი შეადგენდა. ანგარიშგებაში მოთამაშეებზე გაცემული მოგებებიც არის ასახული, რომელმაც გასულ წელს 255.371.088.40 ლარი შეადგინა.

რაც შეეხება კომპანიის მოგებას, დაბეგვრამდე მოგება – 4 137 720.10 ლარს შეადგენდა. აღსანიშნავია, ისიც, რომ დოკუმენტაციის მიხედვით, კომპანიას წინა წელს მოგების გადასახადი არ აქვს გადახდილი. ამასთან, კომპანია 11 006 636.53 ლარის აქტივებს ფლობდა.

**bpn**

# „საქართველოს ბიზნესასოციაციის“ რჩევა მთავრობას: აუცილებელია, სწორ ეკონომიკურ განვითარებაზე კონცენტრირება და სასამართლოს რეფორმა

„კომერსანტი“ აგრძელებს პროექტს ბიზნესმენების რჩევები მთავრობას. ამჯერად, რუბრიკის სტუმარია „საქართველოს ბიზნეს ასოციაციის“ აღმასრულებელი დირექტორი ირაკლი ასლანიშვილი. მისი განცხადებით, სასურველი და აუცილებელია, რომ მოხდეს სწორ ეკონომიკურ განვითარებაზე კონცენტრირება ყველა მმართველობის შტოს ფარგლებში და, შესაბამისად, სწორი ეკონომიკური რეფორმების გატარება, რათა ქვეყანამ სწრაფ ეკონომიკურ ზრდას მიაღწიოს.



მისივე განმარტებით, შემოღებულ უნდა იქნას რეგულაციის გავლენის ანალიზი (RIA) კანონის დონეზე, რომელიც იმგვარი კანონმდებლობის მიღებას უზრუნველყოფს, რომელიც ბიზნესგარემოს უფრო მეტად გაუმჯობესებისთვის იქნება მიმართული. „მნიშვნელოვანია, რომ RIA როგორც საკანონმდებლო, ისე სამთავრობო ნაწილში გაუმჯობესდეს“ – აღნიშნავს ასლანიშვილი.

მისივე განცხადებით, საკმაოდ მნიშვნელოვანია გადაწყვეტილების მიღებამდე კერძო სექტორის ჩართულობის გააქტიურება.

– კერძო სექტორი საპენსიო რეფორმაში მეტნაკლებად იყო ჩართული. უბრალოდ, შეფერხება გამოიწვია კომუნიკაციის ხარისხმა. ვგულისხმობ საკანონმდებლო ინიციატივებს, რომელიც კონკურენციის კანონთან დაკავშირებით იგეგმება. ვგულისხმობ ასევე რეგულაციებს, რომლის შესახებაც ინფორმაცია კერძო სექტორს დაგვიანებით მიეწოდება. ეს ქმნის იმის პრობლემას, რომ ჩვენ ადეკვატურ რეაგირებას ვერ ვასწრებთ მნიშვნელოვან საკითხებზე, შედეგი კი არასწორი გადაწყვეტილებების მიღებაა, – განმარტავს ასლანიშვილი.

ასევე მნიშვნელოვანია, რომ ქვეყანაში დამკვიდრდეს ეგრეთ წოდებული განჭვრეტადობის პრინციპი, რომელიც წლებზე იქნება გაწერილი – როგორ და რა ტიპის კანონმდებლობაზე ფიქრობს პარლამენტი, რომ იმუშაოს. ეს ყველაფერი წინასწარ უნდა იყოს ცნობილი, რათა კერძო სექტორი მზად იყოს ამა თუ იმ ინიციატივების შემოტანისთვის.

ასლანიშვილი მთავრობას სასამართლო რეფორმის გატარებას ურჩევს, რათა გარკვეული პრობლემატიკა, რომელიც სასამართლო სისტემის მიმართ არსებობს უფრო მოქნილი, კვალიფიციური და მობილური გახდეს. ასლანიშვილის განმარტებით, ქვეყანაში სხვადასხვა საკითხების გადაწყვეტა ძალიან ოპერატიულად უნდა ხდებოდეს.

## გორში მამაკაცი გაზით გაიგუდა



გორში, სამეფოს ქუჩაზე დატრიალებულ ტრაგედიასთან დაკავშირებით, შსს-მ გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის ორი მუხლით დაიწყო. „ნიუპოსტის“ კორესპონდენტის ცნობით, გამოძიება სსკ-ს 115-ე და 273-ე მუხლებით მიმდინარეობს. 115 მუხლი თვითმკვლელობამდე მიყვანას, ხოლო 273 მუხლი პირადი მოხმარებისთვის ნარკოტიკული საშუალების, მისი ანალოგის ან პრეკურსორის მცირე ოდენობით უკანონოდ დამზადება, შეძენა-შენახვას გულისხმობს. შეგახსენებთ, 17 დეკემბერს, დილით გორში, სამეფოს ქუჩაზე ერთი ახალგაზრდა მამაკაცი გარდაცვლილი, ხოლო ორი უგონო მდგომარეობაში იპოვეს. შემთხვევის გამომწვევ სავარაუდო მიზეზებად ნარკოტიკული საშუალების მოხმარება და ბუნებრივი აირით ინტოქსიკაცია სახელდება.

## 5 წლის შემდეგ პატიმარ ლევან კორტავას საქმეზე სასამართლომ ექვსი ადამიანი დამნაშავედ ცნო



ქუთაისის საქალაქო სასამართლომ დანაშაულის ჩადენიდან 5 წლის შემდეგ განაჩენი გამოიტანა და პატიმარ ლევან კორტავას საქმეზე ექვსი ადამიანი დამნაშავედ ცნო. 5.000 ლარიანი ჯარიმა შეეფარდა გეგუთის კოლონიის ყოფილ უფროსს. დაჯარიმდა ციხის კიდევ ოთხი თანამშრომელი, ერთს კი ერთწლიანი პირობითი სასჯელი მისცეს. ლევან კორტავა 2013 წლის 23 მაისს გარდაიცვალა საავადმყოფოში, სადაც ციხეში მიღებული ტრავმების შედეგად გადაიყვანეს.

ლევან კორტავას ოჯახის წევრები მოსამართლის გადაწყვეტილებით უკმაყოფილო არიან და მისი ჯერ სააპელაციოში, შემდეგ კი სტრასბურში გასაჩივრებას აპირებენ.

## გიგა ოთხოზორიას საქმეზე სტრასბურის სასამართლო იმსჯელებს

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ გიგა ოთხოზორიას მკვლელობის საქმის არსებითი განხილვის დაწყებას ოჯახი წინგადადგმული ნაბიჯად აფასებს. გიგა ოთხოზორიას დედის, ჯულიეტა ჭანტურიას თქმით, მას სტრასბურის სასამართლოს იმედი აქვს, რომ საქმის განხილვის შემდეგ სამართლიანი განაჩენი დადგება.

– საქმის კურსში ვართ, გაგვაცნეს ყველაფერი. მოლოდინში თითქმის მესამე წელი მიილია. დიდი ხანია, რაც გაგზავნილია სტრასბურის სასამართლოში, ახლა მას მიენიჭა რეგისტრაციის ნომერი, – განაცხადა გიგა ოთხოზორიას დედამ.



რაც შეეხება კითხვას, რომელიც სასამართლომ რუსეთის ფედერაციას, როგორც მოპასუხე სახელმწიფოს, ოთხოზორიას მკვლელობის საქმესთან დაკავშირებით გადაუგზავნა, ოჯახი მიიჩნევს, რომ რუსეთი კითხვებზე პასუხს თავს აარიდებს.

– ყველა შეხვედრაზე, სადაც გიგაზე საუბარი იწყება, რუსეთი ყველგან ტოვებს შეხვედრას. არ გვაქვს მოლოდინი, რომ ამ კითხვებზე პასუხს ისე გასცემს, როგორც ამას სამართალი მოითხოვს, – ამბობენ გიგა ოთხოზორიას ოჯახის წევრები.

საია-ს ინფორმაციით, 2018 წლის 8 ნოემბერს ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ გიგა ოთხოზორიას მკვლელობის საქმის არსებითი განხილვა დაიწყო. კერძოდ, სასამართლომ რუსეთის ფედერაციას, როგორც მოპასუხე სახელმწიფოს, ოთხოზორიას მკვლელობის საქმესთან დაკავშირებით შესაბამისი კითხვებით მიმართა.

გიგა ოთხოზორია ე.წ. მესაზღვრემ 19 მაისს, დაახლოებით, 15:00 საათზე, ხურჩა-ნაბაკევის ადმინისტრაციულ საზღვართან, საქართველოს მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე ცეცხლსასროლი იარაღიდან გასროლით მოკლა. ზუგდიდის რაიონულმა სასამართლომ მკვლელობაში ბრალდებული რაშიდ კანჯი-ოღლი დამნაშავედ ცნო და მას 12 წლით თავისუფლების აღკვეთა დაუსწრებლად მიესაჯა. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებით კი, მას სასჯელის ზომად 14 წლით თავისუფლების აღკვეთა განესაზღვრა.

## „მამიდას სასიკვდილო დაზიანებები მიაყენა და ცხედარი სარდაფში გადამალა“




შინაგან საქმეთა სამინისტროს ქვემო ქართლის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-საგამოძიებო და სამძებრო ღონისძიებების შედეგად, ოჯახური ძალადობის ნიადაგზე ჩადენილი განზრახ მკვლელობის ბრალდებით, 1986 წელს დაბადებული ნ.მ. დააკავეს.

შს სამინისტროს ინფორმაციით, გამოძიებამ დაადგინა, რომ დაკავებულმა მიმდინარე წლის 10 დეკემბერს მარნეულში, საკუთარ საცხოვრებელ სახლში, მამიდას, 1951 წელს დაბადებულ ბ.მ.-ს ურთიერთშელაპარაკებისას, ბლაგვი საგნის გამოყენებით სასიკვდილო დაზიანებები მიაყენა და ცხედარი დამარხვის მიზნით სარდაფში გადამალა. 15 დეკემბერს ცხედარი გარდაცვლილის ნათესავებმა აღმოაჩინეს და ფაქტის შესახებ სამართალდამცველებს აცნობეს. ნ.მ. მიიმალა, თუმცა, მომხდარიდან მეორე დღეს პოლიციამ იგი სადახლოში დააკავა. დაკავებული ჩადენილ დანაშაულს აღიარებს.

გამოძიება ოჯახური ძალადობის ნიადაგზე ჩადენილი განზრახ მკვლელობის ფაქტზე, საქართველოს სსკ-ს 11 პრიმა 108-ე მუხლით მიმდინარეობს.

დანაშაული 7-დან 15 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

## სოსო ოსორაულის ძმა – ჩემი ძმა არის ცოცხალი, მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია



– ჩემი ძმა არის ცოცხალი, მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია, მაგრამ სიტუაცია გართულებულია, ვინაიდან, როცა მარტივად იყო შესაძლებელი, ეს თემა არ მოგვარდა, რადგან სახელმწიფოს კეთილი ნება არ იყო, – ამის შესახებ „ინტერპრესნიუსს“ კონგოში გაუჩინარებული მფრინავის, სოსო ოსორაულის ძმამ, გიორგი ოსორაულმა განუცხადა.

როგორც ის განმარტავს, ძმის ძებნას ამ დრომდე საკუთარი ძალებითა და კონტაქტებით ცდილობს. ის ამ მიზნით გერმანიასა და რამდენიმე ქვეყანაში იმყოფებოდა. ოსორაული უახლოეს მომავალშიც აპირებს გაუჩინარებული ძმის მოსაძებნად წასვლას, თუმცა, რომელ ქვეყანაში, არ აკონკრეტებს.

– წინასწარ ვერ ვიტყვი ეს ამბავი როგორ დასრულდება, მაგრამ ეს ადამიანი, ცოცხალი თუ მკვდარი, მჭირდება საქართველოში, თავის მიწა-წყალზე. ინფორმატორებისგან რაღაც ინფორმაციები მივიღე.

სახელმწიფოს მხრიდან ისევ მიმდინარეობს პროკურატურაში გამოძიება საგარეო საქმეთა სამინისტროს მონაწილეობით, მაგრამ არავითარი სიახლე არ არის, მისი ფაქტობრივი მდგომარეობა არ იციან. როგორც თვითონ ამბობენ, ამ საკითხზე მუშაობენ, მაგრამ რეალურად ოჯახს არანაირი სიახლე არ მიგვილია მათი სამუშაო პროცესიდან.

როცა თეთრზე შავს გეუბნებიან ყოველგვარი დამადასტურებელი ინფორმაციის გარეშე, ამის დაჯერება შეუძლებელია. დაღუპულია, რომ მეუბნებით, მანახეთ მაშინ, სად არის?

დავიწყე ახალი კონტაქტების მოძიება. გავედი რაღაც კავშირებზე, – აცხადებს ოსორაული.

შეგახსენებთ, კონგოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამხედრო-საჰაერო ძალების ორი შვეულმფრენი მეამბოხეებმა 2017 წლის 27 იანვარს ჩამოაგდეს. არსებული ინფორმაციით, ერთ-ერთ შვეულმფრენს მართავდა საქართველოს მოქალაქე სოსო ოსორაული, რომელიც მეამბოხეებმა ტყვედ აიყვანეს. საქართველოს კიდევ ერთი მოქალაქე კი დაიჭრა. მან მკურნალობის კურსი ქალაქ გომაში გაიარა. სოსო ოსორაული წლების განმავლობაში ქართულ ჯარში მსახურობდა. თავდაცვის სამინისტროს ინფორმაციით, იგი შეიარაღებული ძალებიდან 2015 წელს, საკუთარი განცხადების საფუძველზე წავიდა.

## „ბავშვებს სახლში ეპატიჟება და ცდილობს ფიზიკურად შეეხოს“ – რუსთავში 60 წლის მამაკაცს გარყვნილებაში ადანაშაულებენ




ადევნების კიდევ ერთი ფაქტი რუსთავში.

60 წლამდე მამაკაცი არასრულწლოვნებს სახლში ეპატიჟება.

ადევნებისა და თვალთვალის შესახებ ინფორმაცია „ინფო რუსთავს“ რამდენიმე ადგილობრივმა მიაწოდა.

არსებული ინფორმაციით, 60 წლამდე მამაკაცი, XXI მიკრორაიონში, სკოლის მოსწავლეებსა და მიმდებარე ტერიტორიაზე მცხოვრებ მოზარდებს სახლში ეპატიჟება და სთავაზობს, რომ უცხო ენაში მოამზადებს. ბავშვების მშობლები აცხადებენ, რომ ამ გზით მამაკაცს სურს, მოზარდები სახლში შეიტყუოს. მშობლები აღნიშნავენ, რომ მამაკაცი ცდილობს, ბავშვებს ფიზიკურადაც შეეხოს. მათი ვარაუდით, ადგილი აქვს გარყვნილ ქმედებას და შესაბამისი უწყებისგან რეაგირებას ითხოვენ.

## ნათია მეზვრიშვილი: „ყველა ის ადამიანი, ვინც რაიმე ფორმით კანონს არღვევდა, დაბარებული იქნება პოლიციაში“

– ყველა ის ადამიანი, ვინც რაიმე ფორმით გუშინ კანონს არღვევდა, დაბარებული იქნება პოლიციაში, – ამის შესახებ შსს-ს მინისტრის მოადგილემ ნათია მეზვრიშვილმა განაცხადა, რომელმაც 16 დეკემბერს ველისციხეში მომხდარ ინციდენტებთან დაკავშირებით ჟურნალისტების კითხვებს უპასუხა. ასევე, „ნაციონალური მოძრაობის“ ერთ-ერთი ლიდერის დავით კირკი-



ტაძის სახლთან პოლიციის გამოჩენის და მის მიმართ გამოძიების დაინტერესების შესახებ არსებულ შეკითხვებს.

– ჩვენ, მთელი ღამის განმავლობაში, ფაქტობრივად, ვსწავლობდით ყველა იმ გავრცელებულ ვიდეომასალას, აბსოლუტურად ყველა იმ ინფორმაციას, რომელიც ამ საკითხებთან დაკავშირებით გავრცელდა, იმისთვის, რომ თითოეული ამ ქმედებისთვის მიგვეცა სამართლებრივი შეფასება. დიახ, შინაგან საქმეთა მინისტრმა განაცხადა, რომ სამართლებრივი შეფასება მოხდებოდა და ყველა პირის პასუხისმგებლობის საკითხი დადგებოდა. გარკვეული პირები ჩვენ უკვე დავაიდენტიფიცირეთ. მოხდება ამ ადამიანების ზოგის დაბარება საგამოძიებო ორგანოში სხვადასხვა საგამოძიებო მოქმედებაში მონაწილეობის მიღების მიზნით, ზოგის მიმართ, იქ, სადაც სამართლებრივი საფუძველი იქნება, რა თქმა უნდა, გამოყენებული იქნება იძულების ღონისძიებები. კიდევ ერთხელ ვამბობ, ჩვენ ვიმოქმედებთ კანონის ფარგლებში, ჩვენთვის მნიშვნელობა არ აქვს, გუშინ იმ დანაშაულებრივ ფაქტებს, რასაც საზოგადოება კარგად ხედავდა – ადგილი ჰქონდა პოლიციელებზე თავდასხმას, პოლიციის ტექნიკის დაზიანებას, პარლამენტის წევრზე თავდასხმას, მუქარებს ანუ საკმაოდ ბევრი დანაშაულებრივი ფაქტი დაფიქსირდა და არ აქვს მნიშვნელობა, ვინ არიან ამ დანაშაულებრივი ფაქტების ჩამდენები. ყველა პირის პასუხისმგებლობის საკითხი დადგება და ეს პროცესები აი ასე, დღეს, ეტაპობრივად, დღის განმავლობაში წარიმართება, ისევე, როგორც სხვა, ანუ რა დროც დაგვჭირდება საგამოძიებო მოქმედებებისთვის.

საგამოძიებო მოქმედებებში ყველა ის ადამიანი, მათ შორის იქნება პოლიტიკური ლიდერი, მხარდამჭერი ამა თუ იმ პოლიტიკური პარტიის და ყველა ის ადამიანი, ვინც რაიმე ფორმით გუშინ კანონს არღვევდა, დაბარებული იქნება პოლიციაში, – განაცხადა ნათია მეზვრიშვილმა.

## ავარია ბათუმში – დაღუპულია მამაკაცი



ბათუმში, რუსთაველის ქუჩაზე ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად ერთი მამაკაცი გარდაიცვალა.

ადგილზე მუშაობენ ექსპერტ-კრიმინალისტები.

„ნიუპოსტი“ დეტალებს შინაგან საქმეთა სამინისტროში არკვევს.

## ფოთში თონე აფეთქდა – დაშავებულია ერთი ადამიანი



ფოთში, ფარნავაზ მეფის ქუჩაზე, სავარაუდოდ, ბუნებრივი აირის გაჟონვის შედეგად, თონეში აფეთქება მოხდა. აფეთქების შედეგად ერთი ადამიანი დაშავდა, რომელიც აღნიშნულ ობიექტზე იყო დასაქმებული. მამაკაცს პირველი ხარისხის დამწვრობა აქვს მიღებული სახისა და ზედა კიდურების არეში

დაშავებულს პირველადი სამედიცინო დახმარება სასწრაფოს ექიმებმა გაუწიეს და ცენტრალურ კლინიკურ საავადმყოფოში გადაიყვანეს.

ექიმების ინფორმაციით, მამაკაცს პირველი ხარისხის დამწვრობა აქვს მიღებული. მის სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება.

შსს-ს ინფორმაციით, მომხდარზე გამოძიება სსკ-ის 240-ე პრიმა მუხლის პირველი ნაწილით მიმდინარეობს.

**სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა.** თოდუების საგვარეულო მალამო არის ბუნებრივი მეთოდებით დამზადებული წამლები, რომლებიც ათეულობით წლების განმავლობაშია ნაცადი. დღეს ამ ცნობილი გვარის წარმომადგენელი არის ლამარა თოდუა, რომელსაც უამრავი მადლიერი პაციენტი ჰყავს.

ქალბატონ ლამარას მომზადებული მალამოები და ნიღბები კანს სრულ ელასტიურობას უბრუნებს, ხელს უშლის კანის დანაოჭებას, სრულად არჩენს ჩირქოვან გამონაყარს. სწრაფად ახორცებს ნებისმიერი ხარისხის დამწვრობას, ყოველგვარი ნაირევის და ლაქების გარეშე.

**ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. კუჭის წყლულს; 11. გულძმარვას („იჟოგას“); 12. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 13. გამაგრებულ ნანემსარს; 14. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 15. მოვხსნი მეჭეჭებს; 16. განვკურნავ ჭიებისგან; 17. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 18. სოკოვან დაავადებებს; 19. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.**

**მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.**

**ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82**

## სომხეთში არჩევნების საბოლოო შედეგები გამოაცხადეს



სომხეთის ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ რიგგარეშე არჩევნების საბოლოო შედეგები გამოაცხადა.

პაშინიანის ბლოკმა „ჩვენი ნაბიჯი“ ხმების 70,42% მიიღო. პარლამენტში მოხვდნენ აგრეთვე ბლოკი „აყვავებული სომხეთი“ (მას 26 მანდატი ექნება) და „ნათელი სომხეთი“ (18 მანდატი).

ამრიგად, ახალ სომხურ პარლამენტში სამი პარტია იქნება.

პარლამენტის გარეთ დარჩა რესპუბლიკური პარტია, რომელიც წლების განმავლობაში მმართველ ძალას წარმოადგენდა. მან ხმების 4,2% მიიღო, პარლამენტში მოსახვედრად კი 5%-იანი ბარიერის გადალახვა იყო აუცილებელი.

## მოსკოვში ოპოზიციის საპროტესტო აქცია დაარბიეს



მოსკოვში რუსეთის ფსბ-ს შენობასთან რუსეთის დემოკრატიულმა ოპოზიციამ საპროტესტო აქცია გამართა. მანიფესტანტები უკრაინაში ომს და ილია პონომარიოვის დაკავებას აპროტესტებდნენ.

აქციაში 50 ადამიანი მონაწილეობდა.

ხელისუფლებამ აქცია დაარბია. არიან დაკავებულები.

## კოლუმბიაში ღამის კლუბში აფეთქების შედეგად 13 ადამიანი დაშავდა



კოლუმბიაში, კორდობას დეპარტამენტში ღამის კლუბში აფეთქების შედეგად 13 ადამიანი დაშავდა.

ბოროტმოქმედებმა ასაფეთქებელი მოწყობილობა იმ ღამის კლუბში შეაგდეს, რომელიც ქალაქ მონტელიბანოში მდებარეობს. აღნიშნულ კლუბში მყოფები საფეხბურთო კლუბ „ხუნიორ ბარანკილიას“ კოლუმბიის ჩემპიონატში გამარჯვებას აღნიშნავდნენ.

ინციდენტის შედეგად 3 პირი მძიმედ დაშავებულია.

პოლიცია გამოძიებას ატარებს.

## უკრაინული ეკლესიის ახლად არჩეულმა მეთაურმა პირველი ლიტურგია ჩაატარა



გამაერთიანებელ საეკლესიო კრებაზე ერთიანი უკრაინული მართლმადიდებლური ავტოკეფალური ეკლესიის შექმნა ოფიციალურად გაფორმდა. მის მეთაურად მიტროპოლიტი ეპიფანე აირჩიეს. კიევისა და სრულიად უკრაინის მიტროპოლიტი – ასეთი იქნება მისი ოფიციალური ტიტული.

ერთიანი უკრაინული მართლმადიდებლური ავტოკეფალური ეკლესიის მეთაურმა პირველი ლიტურგია ჩაატარა. ეს კიევის წმინდა მიხეილის ტაძარში მოხდა. მიტროპოლიტმა ჟურნალისტებს განუცხადა, რომ სავარაუდოდ უკრაინული ავტოკეფალური ეკლესიის საკათედრო ტაძარი სწორედ წმინდა მიხეილის ეკლესია იქნება.

– რასაკვირველია, სჯობდა, რომ უკრაინული ავტოკეფალური მართლმადიდებლური ეკლესიის ცენტრი წმინდა სოფიის ტაძარი ყოფილიყო, მაგრამ ისიც ნათელია, რომ სახელმწიფოს დახმარების გარეშე მას ვერ მოვუვლით, ამიტომ არჩევანი წმინდა მიხეილის ეკლესიაზე შევაჩერეთ, – ამბობს მიტროპოლიტი.

მიტროპოლიტი ეპიფანე (სერგეი პეტრეს ძე დუმენკო) 1979 წელს ოდესის მახლობლად დაიბადა. დაამთავრა საშუალო სკოლა. 1996 წელს კიევის სასულიერო სემინარიის სტუდენტი გახდა. 1999 წელს უკვე კიევის სასულიერო აკადემიის მსმენელია. 2003 წელს მან აკადემია წარჩინებით დაამთავრა და დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია ღვთისმეტყველებაში.

მიტროპოლიტი ღვთისმეტყველების დოქტორია. მის კალამს 50-მდე სამეცნიერო შრომა ეკუთვნის. ამას გარდა, მიტროპოლიტი აქტიურ საეკლესიო და საზოგადო მოღვაწეობას ეწევა. წლების მანძილზე ის პატრიარქ ფილარეტს მხარში ედგა ავტოკეფალიისთვის ბრძოლაში.

კიევის საპატრიარქოს ახალგაზრდა თაობის სასულიერო პირებს შორის მიტროპოლიტი ეპიფანე ყველაზე განათლებულ და პატრიოტულად განწყობილ მღვდლად ითვლება. ამიტომ გაერთიანებული უკრაინული მართლმადიდებლური ეკლესიის მეთაურადაც სწორედ ის აირჩიეს.

ახალ რანგში მან პირველი ლიტურგია უკვე ჩაატარა.

– ჯერჯერობით ჩვენთვის მთავარი ტომოსის მიღებაა! ახლა რაიმე ღონისძიებებზე არც ვფიქრობთ, – თქვა მიტროპოლიტმა.

2019 წლის 6 იანვარს ეპიფანე სტამბულში (კონსტანტინეპოლი) ჩავა. მსოფლიო პატრიარქმა ბართლომეუსმა ის ოფიციალურად მიიწვია, რათა ავტოკეფალიის დამადასტურებელი დოკუმენტი (ტომოსი) გადასცეს.

## ანკარის პროკურატურამ 64 სამხედროს დაკავების ორდერი გასცა




ანკარის პროკურატურამ ორგანიზაცია ფეტოს საქმიანობის გამოძიების ფარგლებში, 64 სამხედროს დაკავების ორდერი გასცა.

დასაკავებელ პირებს შორის სახმელეთო ჯარების 35 და ჟანდარმერიის 29 სერჟანტია. მათ ბრალი ედებათ ფეტოს ე.წ. შიდა იმამებთან რეგულარული კონტაქტების დამყარებაში.

შეგახსენებთ, რომ 2016 წლის 15 ივლისს თურქეთის შეიარაღებული ძალების სამხედროების ჯგუფი შეეცადა, სამხედრო გადატრიალება მოეწყო.

შეტაკებები ძირითადად სტამბოლში და ანკარაში მოხდა, რის შედეგადაც 250 ადამიანი დაიღუპა. ოფიციალური ანკარა აღნიშნულში გიულენს ადანაშაულებს.

## აშშ: „გერმანიამ „ჩრდილოეთის ნაკად 2“-ზე უარი უნდა თქვას!“




აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტმა მოუწოდა გერმანიას, პროექტ „ჩრდილოეთის ნაკად 2“-ზე უარი განაცხადოს.

– გირჩევთ, ყურად იღოთ თქვენი მეზობლების (პოლონეთი, უკრაინა) გაფრთხილება, რომ „ჩრდილოეთის ნაკადი 2“ პოლიტიკური და არა ეკონომიკური პროექტია, – ნათქვამია განცხადებაში.

აშშ-ის სახელმწიფო მდივნის თანაშემწე ფენონმა ჟურნალისტებს განუცხადა, რომ არ გამორიცხავს სანქციების შემოღებას იმ ფირმების მიმართ, რომლებიც პროექტ „ჩრდილოეთის ნაკად 2“-ის განხორციელებაში მონაწილეობენ.

– ჩვენ ამ საკითხს ვსწავლობთ, – ამბობს ფენონი.

მოსკოვში აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის განცხადებას უაღრესად აგრესიულად შეხვდნენ.

– ეს სხვა არაფერია, თუ არა სუვერენული სახელმწიფოების შიდა საქმეებში ჩარევა! – ამბობს რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელი ზახაროვა.

**მოამზადა ნიკა თევზაძემ**

### კალეიდოსკოპი

## კეიტ მიდლტონი და მეგან მარკლი შობას ერთად არ იზეიმებენ



პრინცმა ჰარიმ და მისმა ფეხმძიმე მეუღლემ მეგან მარკლმა ტრადიციული საშობაო არდადეგების დროს ნორფოლკის საგრაფოში მდებარე ქალაქგარე რეზიდენციაში ყოფნაზე უარი განაცხადეს, სადაც პრინცი უილიამი და კეიტ მიდლტონი იქნებიან.

სასექსის ჰერცოგი და ჰერცოგინია არდადეგების დედოფალ ელისაბედ II-ს რეზიდენცია სანდრინჰემში გატარებას ამჯობინებენ, რომელიც უილიამის და კეიტის სახლიდან ორიოდ კილომეტრში მდებარეობს. ინფორმირებული წყაროს განცხადებით, სანდრინჰემში არც ისე დიდი ფართობია და ამიტომ პრინცის და მისი მეუღლის გადაწყვეტილება საკმაოდ გასაკვირია. მან ასევე ვარაუდი გამოთქვა, რომ წყვილს უბრალოდ საკუთარი სივრცე სჭირდება და ამჯობინებენ, დრო პრინც უილიამისა და კეიტის ოჯახიდან მოშორებით გაატარონ.

აღსანიშნავია, რომ 2018 წლის საშობაო არდადეგების დროს, პრინცი ჰარი და მეგან მარკლი უილიამთან და კეიტთან სტუმრობდნენ და მაშინ, მათივე თქმით, დრო ფანტასტიურად გაატარეს.

## მეტროს მგზავრმა ჩხუბისთავი თავადვე გააუვნებელყო და პოლიციას ჩააბარა



მეტროს მგზავრმა გააუვნებელყო და პოლიციელის ადგილზე მისვლამდე აკავებდა ქალს, რომელმაც ხალხით სავსე მატარებლის ვაგონში ჩხუბი გამართა.

ინციდენტი ნიუ-იორკის მეტროში დაახლოებით დილის რვა საათზე მოხდა. 40 წლის ანა ლუშჩინსკაია მის გვერდით მდგომ გოგონას რასისტული შეძახილებით თავს დაესხა. ხალხი მის გვერდით გაყვანას და გოგონასგან მოშორებას ცდილობდა, მაგრამ ის არ წყნარდებოდა და აგრესიულ ქმედებას აგრძელებდა.

– როდესაც გაშველების დროს ის მეც მომიტრიალდა, იძულებული გავხდი, პოლიციელების მოსვლამდე გამეუვნებელყო, – განაცხადა მგზავრმა, რომელმაც ქალი ადგილზე მისულ პოლიციელებს ჩააბარა. შემდეგ კი ამ ყოველივეს ამსახველი ვიდეორგოლი და ფოტოსურათები ტვიტერში საკუთარ გვერდზე გამოაქვეყნა.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**


## განცხადებები

### სხვადასხვა

● შევიძენ ძველ ანტიკვარულ ნივთებს, ნახატ სურათებს, ძველ წიგნებს. ტელ: 598-43-98-57.

● სტომატოლოგიური მომსახურება ბინაზე გამოძახებით, კბილების პროთეზირება. ერთი ყბის ფასი 150 ლარი. კეთდება რუსული, იტალიური, იაპონური კბილები, გარანტიით. ტელ: 555-72-64-98

### ჯანმრთელობა, მკურნალობა

● მკურნალობა მამაკაცებისათვის: პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, უნებლიე შარდვა, წვა-ტკივილი შარდვისას, პოტენციის დაქვეითება (იმპოტენცია), კუჭ-ნაწლავის პრობლემების მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით, უკუჩვენების გარეშე, გარანტიით. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 558-15-63-87; 218-46-08 ექიმი მეგი.

● ძვლის პრობლემების მკურნალობა: კოქსართროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოქონდროზის, რევმატოიდული და პოდაგრული ართრიტი, ტკივილის, შეშუპების, შებოჭილობის მოხსნა, მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციებ სახსრებზე, დაზიანებული ხრტილისა და სახსარში სითხის ბალანსის აღდგენა-მკურნალობა უკუჩვენების გარეშე 100%-იანი გარანტიით. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 558-15-63-33; 218-46-08 ექიმი ნინო.

● კუჭ-ნაწლავის არასწორი კვებით გამოწვეული დარღვევებისგან: კოლიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე ასაკობრივი და პარაზიტული, უსიამოვნო სუნი პირიდან და ორგანიზმიდან თავის დაღწევა, გულ-სისხლძარღვთა სისტემის საერთო წმენდა-გაძლიერება-გაახალგაზრდავება, ღვიძლის გაწმენდა უჯრედულ დონეზე, გამოკვლევები უახლესი აპარატურით 15 წუთში, გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ეკოპრეპარატებით და ეკოსანთლებით. შედეგები მყარია, უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: სამსახ. 247-58-83 ან 571-72-03-11.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, თრომბის თავიდან აცილება, გულ-სისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისგან, წნევების დარეგულირება, ღვიძლის გაწმენდა, სხეულის წონის კორექცია: დაკლება 5-დან 20 კგ-მდე, მომატება 2-დან 6 კგ-მდე თვეში. გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ბიოპრეპარატებით. უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: 577-29-37-41 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთევანი.

● სიმაღლეში ზრდა კურსით 3-6 სმ-ის მომატებით, ძვლის მკვებავი მინერალების, ვიტამინებისა და ამინომჟავების ნაკრებით + ვარჯიშებით, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა-დანიშნულება ინდივიდუალურია და გამეორება შეგიძლიათ სასურველი შედეგის მიღებამდე (26 წლამდე). ასევე გახდომა სწორი კვებით აკრძალვების გარეშე, ნივთიერებათა ცვლის მოწესრიგებით კურსით 5-18 კგ-ის დაკლებით. წონის მომატება კურსით 1-5 კგ-მდე. სწრაფად და ეფექტურად იმუნიტეტის გაძლიერებით. მიღებული შედეგის სტაბილურად შენარჩუნებით. ტელ: 599-72-21-48 ან 234-02-38 ქ-ნი მარიამი.

● მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი – სქესობრივი უძლურებისა და შარდ-სასქესო სისტემის ფუნქციათა მოწესრიგება, პროსტატის ჯირკვლის ზრდის შეჩერება-უკუსვლა-სტაბილიზაცია-პოტენციის აწევა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი, ქავილი, გაორებული შარდის ნაკადი, უნებლიე შარდვა (ბავშვებშიც), ქრონიკული სოკოვანი, ბაქტერიული, ვენერიული ინფექციისგან გაწმენდა. რეპროდუქციული ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება, გაჯანსაღება ეკო-ბიო-მცენარეული პრეპარატებით, იმუნიტეტის გაძლიერებით. უკუჩვენების გარეშე. მყარი, საუკეთესო შედეგებით. ტელ: 577-29-37-41 ან 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.

● ძვალ-სახსართა ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: კოქსართროზით, ოსტეოქონდროზით, ოსტეოართროზით, პოდაგრული ართრიტით, მაანკილოზირებული სპონდილოზით და სხვა გამოწვეული დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების, შებოჭილობის, კრუნჩხვების და შეზღუდულობის მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება, ასევე გაჯანსაღება უკვე ნაოპერაციები სახსრების ძვლის მკვებავი 100%-ით ეკობიოპრეპარატებით, წონის კორექციით, სისხლძარღვების ქოლესტერინისგან გაწმენდით, 22-წლიანი გამოცდილებით. ტელ: 599-90-54-78 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთათო.

● ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი დამოკიდებულების მოხსნა და აცილება, ნევროზის, დეპრესიის, უძილობის, აკვიატების, აგრესიით, „თეთრი ცხელების“, მეხსიერების დაბინდვა-დაქვეითების დარეგულირება, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება, ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე, სისხლძარღვების გაწმენდა ქოლესტერინისგან, პოტენციის და იმუნიტეტის აწევა, შარდის აქტის მოშლისა და ენურეზისაგან განთავისუფლება, გაჯანსაღება ეკობიოპრეპარატებით. საჭირო კვლევები უახლესი აპარატურით (15 წუთში), 22-წლიანი გამოცდილებით, უკუჩვენებათა გარეშე, მყარი შედეგები. სუპერმენეჯერი ქ-ნი ქეთევანი. ტელ: 599-72-21-38 ან 234-02-38.

# ევროტურნირების ფლეი ოფში გუნდები დაწყვილდნენ




ნიონში, უეფას შტაბ-ბინაში გაიმართა ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალისა და ევროპის ლიგის მეთექვსმეტედფინალის წილისყრა.

თავიდანვე ცნობილი იყო, რომ ჩემპიონთა ლიგაზე ფლეი ოფში გასული 16 კლუბი 2 კალათში განაწილდებოდა: ერთ კალათაში მოხვდებოდნენ ჯგუფების გამარჯვებულები, ხოლო მეორეში – მეორეადგილოსნები. გუნდები, რომლებიც ერთ ჯგუფში გამოდიოდნენ ან ერთ ქვეყანას წარმოადგენდნენ, არ დაწყვილდებოდნენ.

წილისყრის შედეგად გუნდები შემდეგნაირად დაწყვილდნენ:

შალკე-მანჩესტერ სიტი; ატლეტიკო-იუვენტუსი; მანჩესტერ იუნაიტედი-პსჟ; ტოტენჰემი-დორტმუნდი; ლიონი-ბარსელონა; რომა-პორტო; აიაქსი-რეალი; ლივერპული-ბაიერნი.

ჯგუფის გამარჯვებულები პირველ მატჩებს 12/13 და 19/20 თებერვალს სტუმრად ჩაატარებენ, ხოლო 5/6 და 12/13 მარტს საპასუხო შეხვედრებია.

მეოთხედფინალის წილისყრა 15 მარტს გაიმართება.

ევროპის ლიგაზეც წილისყრამდე გუნდები განთესილებისა და განუთესავების კალათებში განაწილდნენ. პირველში მოხვდნენ ევროპალიგის ჯგუფების გამარჯვებულები და ჩემპიონთა ლიგის ჯგუფური ეტაპის 4 საუკეთესო მესამეადგილოსანი, მეორეში – ევროპალიგის ჯგუფების მეორე ადგილოსნები და ჩემპიონთა ლიგიდან გადმოსული დანარჩენი კლუბები. თავიდანვე განისაზღვრა, რომ ის კლუბები, რომლებიც ერთ ჯგუფში გამოდიოდნენ ან ერთ ეროვნულ ასოციაციას წარმოადგენენ, ვერ დაწყვილდებოდნენ.

ევროპალიგის მეთექვსმეტედფინალის წილიყრის შედეგად გუნდები ასე დაწყვილდნენ:

ბატე-არსენალი; სელტიკი-ვალენსია; ბრიუგე-ზალცბურგი; ფენერბაჰჩე-ზენიტი; გალათასარაი-ბენფიკა; კრასნოდარი-ლევერკუზენი; ლაციო-სევილია; მალმიო-ჩელსი; ოლიმპიაკოსი-დინამო (კ); რაპიდი-ინტერი; რენი-ბეტისი; სპორტინგი-ვილიარეალი; შახტარი-აინტრახტი; სლავია-გენკი; პლზენი-დინამო (ზ); ციურიხი-ნაპოლი.

ევროპალიგის მეთექვსმეტედფინალური ეტაპის პირველი მატჩები 12 და 14 თებერვალს გაიმართება, საპასუხო – 20 და 21 თებერვალს. წყვილებში პირველი გუნდები პირველ მატჩს შინ ჩაატარებენ.

# შენგელია და ბითაძე საუკეთესოდ თამაშობენ



თორნიკე შენგელიას ბასკონიამ ესპანეთის ჩემპიონატში მე-3 მარცხი განიცადა. მე-12 ტურში ვიტორიელები ტენერიფეში თედ მაკფადენის ტენერიფეს შეხვდნენ და 63:70 დამარცხდნენ. საქართველოს ნაკრების ნატურალიზებულ ამერიკელ კალათბურთელს ტრავმის გამო არ უთამაშია, თორნიკე შენგელია კი ასკური გუნდის შემადგენლობაში საუკეთესო იყო.

შენგელია სასტარტო ხუთეულში იყო და მოედანზე 32 წუთი გაატარა, რა დროშიც ორმაგი დუბლი გაიფორმა. თოკოს აქტივში 18 ქულა, 10 მოხსნა, 1 პასი და 1 ჩაჭრაა. თორნიკემ 10-დან 7 ორქულიანი და 7-დან 4 საჯარიმო ჩააგდო, ხოლო 3 3-ქულიანი არაზუსტად ისროლა. მარგი ქმედების კოეფიციენტი კი 22-ს გაუტოლდა და ბასკონიას რიგებში საუკეთესო მაჩვენებელი გახლდათ.

შენგელიას შემდეგ ვიტორიელთა რიგებში საქართველოს ნაკრების კიდევ ერთი ნატურალიზებული წევრი, მეტ ჯენინგი გამოირჩა. ამერიკელმა 33 წუთში 14 ქულა, 2 მოხსნა და 2 პასი მიითვალა. ჯენინგმა 8-დან 3 სამქულიანი, 2-დან 2 ორქულიანი და 1-დან 1 საჯარიმო ჩააგდო, ხოლო მარგი ქმედების კოეფიციენტმა 12 შეადგინა.

ბასკონიას 12 თამაშში 9 გამარჯვების წილ 3 მარცხი აქვს და მე-3 ადგილზეა. ვიტორიელები მომდევნო შეხვედრას სტუმრად გიორგი შერმადინის უნიკახასთან ჩაატარებენ.

უნიკახამ კი, მალაგაში ესპანეთის ჩემპიონატის ერთპიროვნულ ლიდერ ბარსელონას უმასპინძლა და დაძაბულ ბრძოლაში – 78:73 დაამარცხა. შერმადინმა ამ მატჩში 4 ქულა ჩააგდო, საიდანაც ბოლო მატჩის შედეგის განმსაზღვრელი და ძალიან მოხდენილი გამოდგა. მატჩის დასრულებამდე 20 წამით ადრე შერმადინმა შორეული პასი საჯარიმოში მიიღო და ეფექტური გდებით უნიკახა 78:73 დააწინაურა.

შერმადინი სასტარტო ხუთეულში იმყოფებოდა და 18 წუთში 4 ქულა, 4 მოხსნა და 1 ჩაჭრა მიითვალა. გიორგიმ 3-დან 2 ორქულიანი ჩააგდო, 1 საჯარიმო ააცილა.

უნიკახამ 9 მოგება და 3 მარცხი მოაგროვა და შენგელიას ბასკონიასთან და მადრიდის რეალთან ერთნაირი ქულები აქვს და მე-4 ადგილზეა.

ბარსელონას მომდევნო ტურში კიდევ ერთი ქართველის გუნდთან მოუწევს დაპირისპირება. ეს ბექა ბურჯანაძის დელტეკოა, რომელმაც ცხრილში ბოლო ადგილს თავი დააღწია. ფინანსურ კრიზისში მყოფი აუტსაიდერი გუნდი ლიგაში დასარჩენად იბრძვის და ამ გზაზე ანდორის ძლევით დიდი ნაბიჯი გადადგა. შეხვედრა ანდორა ლა ვალეში გაიმართა და სანსებასტიანური გუნდის გამარჯვებით (87:76) დასრულდა. აღსანიშნავია, რომ ბურჯანაძემ გასული 2 სეზონი სწორედ ანდორაში გაატარა, სადაც გუნდის ერთ-ერთი ლიდერი იყო.

მესამე პერიოდის ბოლოს ანდორელები ლიდერობდნენ – 61:57, თუმცა დასკვნით 10-წუთეულში სტუმრებმა მოინდომეს, პერიოდი 30:15 მოიგეს და საბოლოოდ საწადელი გამარჯვება იზეიმეს.

ბურჯანაძე სასტარტო ხუთეულში იყო და მოედანზე 23 წუთი გაატარა და 2 ქულა, 6 მოხსნა, 1 პასი და 2 დაფარება მიითვალა. ქართველმა ფორვარდმა 2 საჯარიმო ჩააგდო, 2 ორქულიანი და 2 სამიანი კი ააცილა.

3 მოგებითა და 9 წაგებით დელტეკო ცხრილში ბოლოსწინა, მე-19 ადგილზეა.

ადრიატიკის ლიგაზე სერბული მეგა ბიმაქსი იგებს თუ აგებს, გოგა ბითაძე მაინც სუპერშედეგიანობით გამოირჩევა. ქართველი ცენტრის გუნდი ამჯერად ცრვენა ზვეზდასთან წააგეს (68:78) და ქართველმა ისევ 23 ქულა მიითვალა.

ქართველმა ცენტრმა 33 წუთი ითამაშა და 23 ქულასთან ერთად 6 მოხსნა და 3 დაფარება მიითვალა. ბითაძემ 11-დან 7 ორქულიანი, 4-დან 3 საჯარიმო და 2-დან 2 სამქულიანი ჩააგდო. 19 წლის ქართველი ცენტრის მარგი ქმედების კოეფიციენტი 25-ს გაუტოლდა, რაც მოედანზე მყოფთაგან საუკეთესო იყო და ის მატჩის მვპ გახდა.

11 ტურის შემდეგ მეგა ბიმაქსს 7 გამარჯვება აქვს და მე-4 ადგილზე იმყოფება. სერბული გუნდი მომდევნო შეხვედრას საკუთარ მოედანზე იგოკეასთან გამართავს.

სანდრო მამუკელაშვილმა მორიგი შედეგიანი მატჩი ჩაატარა ამერიკის სტუდენტურ ლიგაში. თანაც ქართველმა ფორვარდმა თავი დიდ დერბიში გამოიჩინა. მისი სეტონ ჰოლი მოსისხლე რატჯერსს ხვდებოდა, ხოლო ეს გუნდები ნიუ ჯერსის შტატის ყველაზე დიდი უნივერსიტეტების გუნდები არიან და ეს მატჩი მათ შორის რიგით 70-ე გახლდათ.

რატჯერსი 2013 წლამდე სეტონ ჰოლის კონფერენცია „ბიგ ისტში" ასპარეზობდა, შემდეგ კი „ბიგ 10"-ში გადავიდა და ბოლო 5 წელია, ურთიერთშეხვედრები თითქმის აღარ უწევთ, თუკი სეზონის წინ არ მოილაპარაკეს და არასაკონფერენციო მატჩი არ დაგეგმეს. ჰოდა, ეს მატჩიც ამ სეზონის წინ დაიგეგმა და, რა თქმა უნდა, მაყურებლებმა დარბაზი გაავსეს.

ამ გუნდების მატჩში სპეციალური, გარდამავალი თასი 1916 წლიდან თამაშდება და ნამატჩევს იგი სეტონჰოლელმა „მეკობრეებმა" ჩაიბარეს, რომლებმაც შეხვედრა 72:66 მოიგეს. მამუკელაშვილი სასტარტო ხუთეულში იყო და მოედანზე გატარებულ 32 წუთში 15 ქულა, 9 მოხსნა, 1 პასი და 1 დაფარება მიითვალა. სანდრომ 4-დან 3 სამქულიანი და 10-დან 6 საჯარიმო ჩააგდო, 1 ორიანი კი ააცილა. მამუკელაშვილზე მეტი – 28 ქულა სეტონჰოლელთაგან მაილს პოუელმა მოაგროვა.

7 მოგებითა და 3 მარცხით სეტონ ჰოლმა, როგორც იქნა, ცხრილში საფეხურით აიწია და ახლა 10-გუნდიან კონფერენციაში მე-8 ადგილზე იმყოფება. მას ჩამორჩება ნცაა ჩემპიონი ვილანოვა. შემდეგ მატჩს სეტონ ჰოლი სეიქრიდ ჰართ პიონერსთან გამართავს.

# თორნიკე ოქრიაშვილი უკლუბოდ არის




საქართველოს ნაკრების ფეხბურთელი თორნიკე ოქრიაშვილი უკლუბოდ დარჩა. კრასნოდარმა და ქართველმა შემტევმა კონტრაქტი ორმხრივი შეთანხმების საფუძველზე გაწყვიტეს. ოქრიაშვილს კრასნოდართან კონტრაქტი 2020 წლამდე აკავშირებდა.

რუსეთის ჩემპიონატის პირველი წრე დასრულებულია. ახლა იქ შესვენებაა და გაზაფხულამდე არ გაგრძელდება, ამიტომ, თორნიკეს სათამაშო პრაქტიკაზე დიდად არ იმოქმედებს, მაგრამ ახალი კლუბი რომ სასწრაფოდ მოსაძებნი აქვს – ფაქტია.

ოქრიაშვილი კრასნოდარში 2016 წლის სექტემბერში თავისუფალი აგენტის სტატუსით მივიდა. მას შემდეგ ქართველმა ფეხბურთელმა მხოლოდ 20 ოფიციალურ მატჩში მიიღო მონაწილეობა, სადაც 3 გოლი და 1 საგოლე გადაცემა შეასრულა.

კრასნოდარი თავის ვებგვერდზე მადლობას უხდის თორნიკე ოქრიაშვილს გაწეული სამსახურისთვის და მომავალ კარიერაში წარმატებას უსურვებს.

# შედეგები

**16 დეკემბერი**

**ფეხბურთი**

**ინგლისი. პრემიერლიგა**

ბრაიტონი-ჩელსი ........................... 1:2
საუთჰემპტონი-არსენალი .............. 3:2
ლივერპული-მანჩესტერი ............... 3:1

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ლივერპული | 17 | 14 | 3 | 0 | 37:7 | 45 |
| 2.სიტი | 17 | 14 | 2 | 1 | 48:10 | 44 |
| 3.ტოტენჰემი | 17 | 13 | 0 | 4 | 31:16 | 39 |
| 4.ჩელსი | 17 | 11 | 4 | 2 | 35:14 | 37 |
| 5.არსენალი | 17 | 10 | 4 | 3 | 37:23 | 34 |
| 6.მანჩესტერი | 17 | 7 | 5 | 5 | 29:29 | 26 |
| 7.ვულვზი | 17 | 7 | 4 | 6 | 19:19 | 25 |
| 8.ევერტონი | 17 | 6 | 6 | 5 | 24:22 | 24 |
| 9.ვესტ ჰემი | 17 | 7 | 3 | 7 | 25:25 | 24 |
| 10.უოტფორდი | 17 | 7 | 3 | 7 | 23:25 | 24 |
| 11.ბორნმუთი | 17 | 7 | 2 | 8 | 25:28 | 23 |
| 12.ლესტერი | 17 | 6 | 4 | 7 | 21:21 | 22 |
| 13.ბრაიტონი | 17 | 6 | 3 | 8 | 20:24 | 21 |
| 14.ნიუკასლი | 17 | 4 | 4 | 9 | 14:22 | 16 |
| 15.კრ.პალასი | 17 | 4 | 3 | 10 | 14:23 | 15 |
| 16.კარდიფი | 17 | 4 | 2 | 11 | 17:33 | 14 |
| 17.საუთჰემპტონი | 17 | 2 | 6 | 9 | 16:32 | 12 |
| 18.ბარნლი | 17 | 3 | 3 | 11 | 15:33 | 12 |
| 19.ჰადერსფილდი | 17 | 2 | 4 | 11 | 10:28 | 10 |
| 20.ფულემი | 17 | 2 | 3 | 12 | 16:42 | 9 |

**ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი**

სევილია-ჟირონა .............................. 2:0
ესპანიოლი-ბეტისი ......................... 1:3
უესკა-ვილიარეალი ......................... 2:2
ლევანტე-ბარსელონა ...................... 0:5

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბარსელონა | 16 | 10 | 4 | 2 | 46:19 | 34 |
| 2.სევილია | 16 | 9 | 4 | 3 | 29:16 | 31 |
| 3.ატლეტიკო | 16 | 8 | 7 | 1 | 24:12 | 31 |
| 4.რეალი | 16 | 9 | 2 | 5 | 24:19 | 29 |
| 5.ბეტისი | 16 | 7 | 4 | 5 | 19:18 | 25 |
| 6.ხეტაფე | 16 | 6 | 6 | 4 | 17:12 | 24 |
| 7.ალავესი | 15 | 7 | 3 | 5 | 18:17 | 24 |
| 8.ლევანტე | 16 | 6 | 4 | 6 | 27:30 | 22 |
| 9.სელტა | 16 | 5 | 6 | 5 | 28:24 | 21 |
| 10.ხირონა | 16 | 5 | 6 | 5 | 17:19 | 21 |
| 11.ესპანიოლი | 16 | 6 | 3 | 7 | 18:23 | 21 |
| 12.ვალიადოლიდი | 16 | 5 | 5 | 6 | 15:18 | 20 |
| 13.ეიბარი | 16 | 5 | 5 | 6 | 20:24 | 20 |
| 14.ვალენსია | 16 | 3 | 10 | 3 | 13:13 | 19 |
| 15.სოსიედადი | 16 | 5 | 4 | 7 | 18:19 | 19 |
| 16.ლეგანესი | 16 | 4 | 6 | 6 | 15:19 | 18 |
| 17.ვილიარეალი | 16 | 3 | 6 | 7 | 17:21 | 15 |
| 18.ბილბაო | 15 | 2 | 8 | 5 | 15:23 | 14 |
| 19.რაიო | 16 | 2 | 4 | 10 | 15:31 | 10 |
| 20.უესკა | 16 | 1 | 5 | 10 | 14:32 | 8 |

**ესპანეთი. სეგუნდა დივიზიონი**

მაჰადაონდა-ელჩე .......................... 1:3
ოსასუნა-ალკორკონი ...................... 2:1
ლას პალმასი-ტენერიფე ................. 1:1
ესტრემადურა-ტარაგონა ............... 0:1
ალმერია-ლუგო .............................. 1:1
დეპორტივო-სარაგოსა .................... 3:1

**გერმანია. ბუნდესლიგა**

ლაიპციგი-მაინცი ........................... 4:1
აინტრახტი-ლევერკუზენი ............. 2:1

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.დორტმუნდი | 15 | 12 | 3 | 0 | 41:15 | 39 |
| 2.გლადბახი | 15 | 9 | 3 | 3 | 33:16 | 30 |
| 3.ბაიერნი | 15 | 9 | 3 | 3 | 32:18 | 30 |
| 4.ლაიპციგი | 15 | 8 | 4 | 3 | 28:14 | 28 |
| 5.აინტრახტი | 15 | 9 | 2 | 5 | 32:18 | 26 |
| 6.ჰოფენჰაიმი | 15 | 6 | 5 | 4 | 30:21 | 23 |
| 7.ჰერტა | 15 | 6 | 5 | 4 | 23:22 | 23 |
| 8.ვოლფსბურგი | 15 | 6 | 4 | 5 | 22:20 | 22 |
| 9.ვერდერი | 15 | 6 | 3 | 6 | 25:25 | 21 |
| 10.მაინცი | 15 | 5 | 4 | 6 | 14:19 | 19 |
| 11.ლევერკუზენი | 15 | 5 | 3 | 7 | 21:27 | 18 |
| 12.ფრაიბურგი | 15 | 4 | 5 | 6 | 19:24 | 17 |
| 13.შალკე | 15 | 4 | 3 | 8 | 16:21 | 15 |
| 14.აუგსბურგი | 15 | 3 | 5 | 7 | 21:24 | 14 |
| 15.შტუტგარტი | 15 | 4 | 2 | 9 | 11:30 | 14 |
| 16.ფორტუნა | 15 | 3 | 3 | 9 | 16:32 | 12 |
| 17.ნიურნბერგი | 15 | 2 | 5 | 8 | 14:35 | 11 |
| 18.ჰანოვერი | 15 | 2 | 4 | 9 | 16:33 | 10 |

**გერმანია. მე-2 ბუნდესლიგა**

ზანდჰაუზენი-რეგენსბურგი .......... 2:2
ინგოლშტადი-ჰაიდენჰაიმი ............ 1:1
აუე-დარმშტადი ............................. 2:2

**იტალია. სერია ა**

სპალი-კიევო .................................. 0:0
სამპდორია-პარმა .......................... 2:0
ფიორენტინა-ემპოლი ..................... 3:1
ფროზინონე-სასუოლო ................... 0:2
კალიარი-ნაპოლი ........................... 0:1
რომა-ჯენოა ................................... 3:2

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.იუვენტუსი | 16 | 15 | 1 | 0 | 33:8 | 46 |
| 2.ნაპოლი | 16 | 12 | 2 | 2 | 33:14 | 38 |
| 3.ინტერი | 16 | 10 | 2 | 4 | 28:13 | 32 |
| 4.მილანი | 15 | 7 | 5 | 3 | 24:18 | 26 |
| 5.ლაციო | 15 | 7 | 4 | 4 | 22:18 | 25 |
| 6.რომა | 16 | 6 | 6 | 4 | 29:22 | 24 |
| 7.სასუოლო | 16 | 6 | 6 | 4 | 26:22 | 24 |
| 8.სამპდორია | 16 | 6 | 5 | 5 | 25:19 | 23 |
| 9.ფიორენტინა | 16 | 5 | 7 | 4 | 24:17 | 22 |
| 10.ტორინო | 16 | 5 | 7 | 4 | 19:17 | 22 |
| 11.ატალანტა | 15 | 6 | 3 | 6 | 29:20 | 21 |
| 12.პარმა | 16 | 6 | 3 | 7 | 16:21 | 21 |
| 13.კალიარი | 16 | 3 | 8 | 5 | 15:20 | 17 |
| 14.ემპოლი | 16 | 4 | 4 | 8 | 20:29 | 16 |
| 15.სპაილი | 16 | 4 | 4 | 8 | 14:24 | 16 |
| 16.ჯენოა | 16 | 4 | 4 | 8 | 22:33 | 16 |
| 17.უდინეზე | 16 | 3 | 4 | 9 | 13:22 | 13 |
| 18.ბოლონია | 15 | 2 | 5 | 8 | 13:24 | 11 |
| 19.ფროზინონე | 16 | 1 | 5 | 10 | 11:35 | 8 |
| 20.კიევო | 16 | 0 | 7 | 9 | 12:32 | 4 |

*შენიშვნა: კიევოს დაკლებული აქვს 3 ქულა*

**იტალია. სერია ბ**

კარპი-სალერნიტანა ....................... 3:2
კროტონე-ვენეცია ......................... 1:1
ბრეშა-ლეჩე ................................... 2:1

**საფრანგეთი. 1 ლიგა**

ნიმი-ლილი ..................................... 2:3
ნიცა-სტ.ეტიენი ............................. 1:1
ლიონი-მონაკო .............................. 3:0

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.პსჟ | 16 | 14 | 2 | 0 | 49:10 | 44 |
| 2.ლილი | 18 | 10 | 4 | 4 | 28:17 | 34 |
| 3.ლიონი | 17 | 9 | 4 | 4 | 29:20 | 31 |
| 4.მონპელიე | 16 | 8 | 5 | 3 | 24:12 | 29 |
| 5.სტ.ეტიენი | 17 | 7 | 6 | 4 | 25:22 | 27 |
| 6.მარსელი | 16 | 8 | 2 | 6 | 29:25 | 26 |
| 7.ნიცა | 17 | 7 | 5 | 5 | 13:15 | 26 |
| 8.რეიმსი | 18 | 6 | 7 | 5 | 13:16 | 25 |
| 9.სტრასბური | 18 | 5 | 8 | 5 | 28:23 | 23 |
| 10.ნიმი | 17 | 6 | 5 | 6 | 26:24 | 23 |
| 11.რენი | 17 | 6 | 5 | 6 | 23:25 | 23 |
| 12.ბორდო | 16 | 5 | 6 | 5 | 19:19 | 21 |
| 13.ნანტი | 16 | 5 | 5 | 6 | 24:24 | 20 |
| 14.ანჟე | 16 | 4 | 6 | 6 | 19:21 | 18 |
| 15.ტულუზა | 16 | 4 | 6 | 6 | 14:24 | 18 |
| 16.დიჟონი | 17 | 4 | 4 | 9 | 16:28 | 16 |
| 17.ამიენი | 17 | 5 | 1 | 11 | 16:30 | 16 |
| 18.კაენი | 17 | 2 | 8 | 7 | 15:22 | 14 |
| 19.მონაკო | 17 | 3 | 4 | 10 | 16:27 | 13 |
| 20.გენგამი | 17 | 1 | 5 | 11 | 12:34 | 8 |

**ჰოლანდია. ეპედივიზიონი**

ჰერენვენი-უტრეხტი ...................... 2:3
აიაქსი-გრააფსხაპი ....................... 8:0
გრონინგენი-ემენი ......................... 1:2
ფეინოორდი-სიტარდი ................... 0:2

**პორტუგალია. პრიმეირა ლიგა**

რიუ ავე-ბელენენსეში ................... 2:2
მარიტიმუ-ბენფიკა ........................ 0:1
სპორტინგი-ნასიონალი .................. 5:2

**შვეიცარია. სუპერლიგა**

ლუცერნი-სტ.გალენი ..................... 2:1
ქსამაქსი-იანგ ბოიზი ..................... 1:4
ციურიხი-ლუგანო ........................... 0:0

**შოტლანდია. პრემიერლიგა**

ჰიბერნიანი-სელტიკი ..................... 2:0
რეინჯერსი-ჰამილტონი .................. 1:0

**ავსტრია. ბუნდესლიგა**

ალტახი-ჰარტბერგი ....................... 6:1
ზალცბურგი-სტ.პოლენი ................ 5:1
აუსტრია-რაპიდი ............................ 6:1

**ბელგია. 1 დივიზიონი**

სერკლი-ანდერლეხტი ..................... 2:1
გენკი-ოსტენდე .............................. 2:0
სტანდარდი-ვარეგემი ..................... 4:1

**საბერძნეთი. სუპერლიგა**

აპოლონი-ქსანთი ............................ 1:0
ლარისა-აეკი ................................... 0:0
პანათინაიკოსი-ატრომიტოსი ....... 1:0
ოლიმპიაკოსი-ლამია ..................... 3:0

**თურქეთი. სუპერლიგა**

მალათია-ანთალია ......................... 2:0
ქაისერი-აკხისარი .......................... 1:0
ბეშიქთაში-ტრაბზონი .................... 2:2

**ჩეხეთი. 1 ლიგა**

პლზენი-კარვინა ............................ 2:1

**პოლონეთი. ექსტრაკლასა**

სლასკი-კორონა ............................. 1:1
სოსნოვეცი-ლეხი ........................... 0:6

**დანია. სუპერლიგა**

ესბიერგი-ნორდსიელანდი ............ 3:0
ჰორსენსი-მიდტიულანდი ............. 1:3
სონდერიისკე-კოპენჰაგენი .......... 0:3
ბრონდბიუ-ვენსიუსელი ................ 2:3

მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა

# ქუთაისი სუპერლიგის დებიუტანტ ჰიუნდაისთან ერთად გალიდერდა



დნენ – როგორც ფარქვეშიდან, ისე პერიმეტრიდან თსუ-ჰიუნდაის კალათბურთელები ბურთს ბურთზე აგდებდნენ და მეორე პერიოდშივე მოახერხეს ჩამორჩენის გაბათილება – 35:35.

თანაბარი თამაში ბოლომდე გაგრძელდა. ოლიმპი გამარჯვებასთან ახლოს მივიდა, როცა ტრე ბენეტისა და რეზო როგავას შედეგიანობის წყალობით შეხვედრის დასრულებამდე 3 წუთით ადრე 4 ქულით გალიდერდა (73:69), თუმცა გიორგი კორსანტიას ორქულიანისა და სანდრო სანაძის სამიანით თსუ-ჰიუნდაელები ქულით დაწინაურდნენ. აღსანიშნავია ნიკა მეტრეველის კარგი თამაში, რომელმაც ბოლო წუთზე დაცვაში საიმედოდ ითამაშა და ტრე ბენეტის გამთანაბრებელ სროლას დააფარა. 2 ქულით დაწინაურებულმა თსუ-ჰიუნდაელებმა ოლიმპის ბოლო შეტევა დიდი ძალისხმევის შედეგად მოიგერიეს და უმნიშვნელოვანეს გამარჯვებას მიაღწიეს – 75:73.

სტუდენტურ გუნდში 13 ქულითა და 13 მოხსნით ჯონ მილიკენი გამოირჩა, ისევე როგორც 12-12 ქულა-მოხსნის მიმთვლელი ნიკა მეტრეველი. 4 სამქულიანით 12 ქულა მოაგროვა კოკა ტომარაძემ, ხოლო სანდრო სანაძის ანგარიშზე 11 ქულა დაგროვდა. ოლიმპში 17-17 ქულით რეზო როგავა და ტრე ბენეტი გამოირჩნენ, ნიკა დარბაიძის ანგარიშზე კი 15 ქულა დაგროვდა.

**<u>რუსთავი-ქუთაისი 87:94</u>**

(18:29, 24:31, 17:16, 28:18)

რუსთაველებმა 2 ამერიკელი ლეგიონერი გაუშვეს, სანაცვლოდ კი 3 უცხოელი დაიმატეს, რომლებმაც გუნდი საგრძნობლად გააძლიერეს და სუპერლიგის ერთ-ერთ ლიდერს დიდი ბრძოლა გაუმართეს. იმერულმა კლუბმა შეხვედრა მძლავრად დაიწყო და პირველივე პერიოდი დამაჯერებელი სხვაობით – 29:18 მოიგეს.

ქუთაისელების წარმატებული თამაშის მთავარი იარაღი სამქულიანი სროლები იყო. პირველ ნახევარში სტუმრებმა 12 სამქულიანი ჩააგდეს და დიდ შესვენებაზე 18-ქულიანი ლიდერობით გავიდნენ – 60:42. ვითარება ბოლო პერიოდამდე არ შეცვლილა. სტუმრები ხელჩასაჭიდ უპირატესობას ბოლო წუთებამდე ინარჩუნებდნენ, თუმცა რუსთაველთა ლეგიონერების – ისაак ბენქსის, დარილ ბრაიანტის და კენდარიუს ჰამილტონის შედეგიანობით ჩამორჩენა 5 ქულამდე შემცირდა.

მატჩის დასრულებამდე 2 წუთი რჩებოდა და მასპინძლებს წარმატების შანსი გაუჩნდათ, თუმცა ქუთაისელმა დავით ლომიძემ სამქულიანით რუსთაველებს იმედი გადაუწურა. იმერულმა კლუბმა 7 ქულით გაიმარჯვა.

ქუთაისელებს 19 ქულით დავით ლომიძემ ულიდერა. 16 ქულა გიორგი ბარბაქაძემ მიითვალა, ხოლო აკაკი ლომოურისა და დეჟუან რაიტის ანგარიშზე 15-15 ქულა დაგროვდა. რუსთავში 26 ქულით საუკეთესო იყო დერილ ბრაიანტი. 15-15 ქულა კენდარიუს ჰამილტონმა და ისაак ბენქსმა მოაგროვეს, რომელსაც 13 მოხსნაც დაუგროვდა.

**<u>ოლიმპი-თსუ-ჰიუნდაი 73:75</u>**

(25:16, 24:25, 9:22, 15:12)

ორივე გუნდს 4 ტურის შემდეგ 3 მოგება ჰქონდა და ამ მატჩის მოგებით ლიდერებში გაერეოდა. თამაში ძალიან სწრაფი, დაძაბული და ემოციური გამოდგა. მიუხედავად იმისა, რომ მეორე მეოთხედის დასაწყისში ოლიმპის ლიდერობამ 14 ქულას უწია (30:16), შეხვედრა მალევე დაუბრუნდა თანაბარ კალაპოტს და ბოლო წამებამდე გამარჯვებულის ვინაობა უცნობი იყო.

14 ქულით ჩამორჩენის შემდეგ თსუ-ჰიუნდაელებმა დაცვა გაამაგრეს და მეტოქეს სწრაფი შეტევების განხორციელების საშუალება შეუზღუდეს. თავად კი კომბინირებულად უტევ-

**<u>კაქტუსი-დინამო 73:88</u>**

(16:19, 16:19, 27:29, 14:21)

ორივე გუნდისთვის ამ შეხვედრის შედეგს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. კაქტუსმა სეზონის გამარჯვებით დაწყების შემდეგ ზედიზედ 3 მატჩი წააგო, სუპერლიგის ჩემპიონმა დინამომ კი, ჩემპიონატი ზედიზედ 2 წაგებით დაიწყო და შემდეგ თამაში გამოასწორა.

შესაბამისად, მოგება ორივე გუნდს ჰაერივით სჭირდებოდა: დინამოს პოზიციების გასამყარებლად და საჩემპიონო რბოლაში ჩასაბმელად, კაქტუსს კი ცხრილის ბოლოსთვის თავის დასაღწევად. მატჩი დინამოელთა უპირატესობის წარიმართა, რომელმაც პირველი და მეორე პერიოდები თანაბარი ანგარიშით – 19:16 მოიგო.

პირველ ნახევარში მოპოვებული ლიდერობა დინამოელებმა მეორეში გაიმყარეს, რაც წინა, ისე უკანა ხაზში გამართული და შედეგიანი თამაშის შედეგი გახლდათ. სამწამიან ზონაში ხორვატი ლეგიონერი დემაგოი ბუბალო დომინირებდა, პერიმეტრზე კი ჯორდან სვოპშირი, მიხეილ ჭოჭუა და მერაბ ბოქოლიშვილი აქტიურობდნენ. განსაკუთრებით გამოირჩა სვოპშირი, რომელმაც 5 სამქულიანი ჩააგდო.

მესამე პერიოდი დინამოელებმა 29:27 მოიგეს, 8 ქულით გალიდერდნენ და როცა ბოლო მეოთხედში მათმა უპირატესობამ 15 ქულას მიაღწია, შეხვედრის ბედიც გაირკვა. დინამომ საბოლოოდ 88:73 იმარჯვა და წარმატებული სერია 3 მატჩამდე გაზარდა.

გამარჯვებულებს 22 ქულით ჯორდან სწოპშირმა ულიდერა. 20 ქულა და 19 მოხსნა ბუბალოს ანგარიშზე დაგროვდა. მიხეილ ჭოჭუამ 17, ხოლო მერაბ ბოქოლიშვილმა – 16 ქულა მიითვალა. კაქტუსში 20 ქულით საუკეთესო იყო ენტონი ჯენუარი, ბექა ჩიკვილაძის ანგარიშზე 15 ქულა დაგროვდა.

**<u>მგზავრები – შსს აკადემია-ტიტები 87:78</u>**

(20:19, 21:22, 20:19, 26:18)

მატჩი, რომელიც ბოლო წუთებამდე, რომ იტყვიან, ქულა-ქულაში მიმდინარეობდა და მხოლოდ დასკვნით მომენტში მოახერხა ბუბა ბერიშვილის გაწვრთნილმა მგზავრებმა გადამწყვეტი უპირატესობის მოპოვება.

საბოლოოდ, მგზავრებმა 87:78 მოიგო და ცხრილში სოლიდურად დაწინაურდა. 3 მოგებისა და 2 მარცხის მქონე ბერიშვილის გუნდმა უშუალო კონკურენტის დამარცხებით სატურნირო ვითარებიდან გამომდინარე მნიშვნელოვანი უპირატესობა მოიპოვა...

მატჩის დასრულებამდე 2 წუთით ადრე მგზავრებმა 5-ქულინი უპირატესობა მოიპოვა და როცა მეტოქის შეტევაც ჩაშალა, თამაშის ბედი სათავისოდ გადაწყვიტა.

გამარჯვებულებს 26-26 ქულით კახა ჯინჭარაძემ და ადრიან ბოუიმ ულიდერეს. ამ უკანასკნელს 12 მოხსნაც ჰქონდა, რაც მატჩში საუკეთესო შედეგი გახლდათ. ტიტებში 22 ქულით ბომბარდირი ილია ლონდარიძე გახდა. 13 ქულა დენიელ აფჩერჩმა დააგროვა.

**<u>ბათუმი-დელტა 69:85</u>**

(17:21, 16:24, 25:22, 11:18)

ამ მატჩამდე გუნდები თანაბარი ქულებით მივიდნენ და მოგებული სატურნირო ცხრილში პოზიციას გაიუმჯობესებდა. აქედან გამომდინარე დაძაბულ შეხვედრას ველოდით, მაგრამ ასე არ მოხდა – სელტამ იოლად იმარჯვა.

ლექსო ლაფანაშვილის გუნდმა პირველი ტაიმი 12 ქულით მოიგო. ზღვისპირელებმა სცადეს მდგომარეობის გამოსწორება და ბოლო 10-წუთეულის წინ სხვაობა 3 ქულით შეამცირეს, მაგრამ დელტელებმა ხელჩასაჭიდი უპირატესობა მალევე დაიბრუნეს და მატჩი მშვიდად მიიყვანეს გამარჯვებამდე.

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 1.ქუთაისი | 5 | 4 | 1 | 412:385 | 9 |
| 2.თსუ-ჰიუნდაი | 5 | 4 | 1 | 412:382 | 9 |
| 3.მგზავრები | 5 | 3 | 2 | 390:377 | 8 |
| 4.დინამო | 5 | 3 | 2 | 361:351 | 8 |
| 5.ოლიმპი | 5 | 3 | 2 | 406:370 | 8 |
| 6.დელტა | 5 | 3 | 2 | 392:356 | 8 |
| 7.ტიტები | 5 | 2 | 3 | 387:403 | 7 |
| 8.ბათუმი | 5 | 2 | 3 | 396:429 | 7 |
| 9.კაქტუსი | 5 | 1 | 4 | 372:423 | 6 |
| 10.რუსთავი | 5 | 0 | 5 | 374:426 | 5 |

*მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა*

## გოგონას ტელეფონზე თამაშის დროს მეხი დაეცა



ინდონეზიაში ტელეფონზე მოთამაშე გოგონა მას შემდეგ დაიღუპა, როდესაც მას მეხი დაეცა.

ინციდენტი დასავლეთ იავას პროვინციის ბოგორის მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ სოფელში მოხდა. კოკისპირული წვიმის დროს, რომელსაც თან ჭექა-ქუხილიც ახლდა, ექვსი წლის სალსაბილა აიუ პუტრი მობილურ ტელეფონში თამაშობდა, რომელიც იმ დროს დასატენ მოწყობილობაზე იყო შეერთებული.

ამ დროს სახლს მეხი დაეცა. გოგონას დედამ ვიდიამ დამტენი შტეფსელიდან გამორთო და დენმა დაარტყა. ის მიტრიალდა და დაინახა, რომ სალსაბილა იატაკზე იწვა. მისი მარჯვენა ლოყა ტელეფონზე იყო მიდებული. ქალმა ბავშვი ხელში აიყვანა და დაინახა, რომ მას ლოყა დამწვარი ჰქონდა, ხოლო მკერდი – გაშავებული.

ქალმა დახმარებისთვის მეზობლებს მიმართა, მაგრამ უკვე დაგვიანებული იყო. სალსაბილა აღარ სუნთქავდა.

მუნიციპალიტეტის პოლიციეს წარმომადგენელ იტი პუსპიტის თქმით, ოჯახმა გოგონას გაკვეთაზე უარი განაცხადა.

## ულამაზო მამაკაცის ცოლი სპერმის დონორს ეძებს



Reddit-ს მომხმარებელმა განაცხადა, რომ მისმა მეუღლემ დაფეხმძიმება ხელოვნური განაყოფიერების გზით გადაწყვიტა, ვინაიდან საკუთარი მომავალი ბავშვისთვის უფრო მომხიბვლელი გარეგნობის მქონე მამა სურს.

მამაკაცის მტკიცებით, დაქორწინებიდან სამი წლის თავზე ისინი ბავშვების ყოლაზე დაფიქრდნენ. ცოლმა აღიარა, რომ სურს, მონახოს სპერმის დონორი, რომელიც მეუღლეზე ჭკვიანი და ლამაზი იქნება. მისი ჩანაფიქრით, ასეთ შემთხვევაში მათ მომავალ შვილს უკეთესი მემკვიდრეობა ექნება, რაც მას ცხოვრებას მნიშვნელოვნად გაუიოლებს.

ამ იდეამ Reddit-ს მომხმარებლები საგონებელში ჩააგდო. მამაკაცმა თავადაც იცოდა, რომ განსაკუთრებული მომხიბვლელობით არ გამოირჩეოდა, თუმცა ვერც მისი მეუღლე დაიკვეხნის გარეგნობით. ის დაინტერესდა, ხომ არ აჯობებდა, ასეთ შემთხვევაში ბავშვისთვის არა მხოლოდ სხვა მამა, არამედ სხვა დედაც შეერჩიათ, მაგრამ ქალი ამ ვარიანტმა არ დააინტერესა.

საბოლოოდ მამაკაცმა გადაწყვიტა, მეუღლეს დაშორდეს.

## უძილობამ მოხუც ამერიკელს მსხვილი მოგება მოუტანა



ამერიკის მერილენდის შტატის ქალაქ ოუინგს მილსის მცხოვრებმა რამდენიმე ათასი დოლარი მოიგო. ის ამ წარმატებას უძილობას უმადლის.

მედდად მომუშავე 72 წლის ქალმა საავადმყოფოში ხანგრძლივი ცვლის წინ გადაწყვიტა, დასაძინებლად ადრე დაწოლილიყო, მაგრამ ვერ მოახერხა.

– გამუდმებით საათს მივჩერებოდი და ვცოფდებოდი, რომ დაძინებას ვერ ვახერხებდი. ბოლო დრო, რომელიც დავიმახსოვრე, საღამოს 11:56 საათი იყო, – გაიხსენა მოხუცმა ქალბატონმა.

მისი თქმით, მას ეს რიცხვები თავში ჩაეჭედა. ამიტომ სამსახურის მეორე დღეს ის მაღაზიაში ლატარიის ბილეთის შესაძენად წავიდა. ქალმა გადაწყვიტა, ვირტუალური დოლი ეთამაშა და ფული კომპიუტერულ ცხენებზე ნომრებით თერთმეტი, ხუთი და ექვსი დადო. მან ყველა გამარჯვებული ნომერი გამოიცნო და ჯეკპოტის 13323 დოლარის გამარჯვებული გახდა.

*მოამზადა კახა ხატიაშვილმა*

## ასტროპროგნოზი
### 18 დეკემბრისათვის



**ვერძი** – კეთილისმყოფელი დღეა. პლანეტები გწყალობენ. იზრდება სასიცოცხლო პოტენციალი. **კურო** – ნებისმიერ დაბრკოლებას გადალახავთ. შესაფერისი დღეა პირადი ცხოვრების მოსაწესრიგებლად. **ტყუპები** – კომუნიკაბელურობა, შორსმჭვრეტელობა და მოვლენების ღრმა ანალიზის უნარი დაწყებული საქმის იღბლიანად დამთავრებაში დაგეხმარებათ. კომერციულ სფეროში ბედი გწყალობთ. **კირჩხიბი** – მოულოდნელი ცვლილებები თქვენგან მაქსიმალურ ძალისხმევას მოითხოვს. თავდაუზოგავი შრომა და მიზნისკენ სწრაფვა აუცილებელია. **ლომი** – პიროვნული მომხიბვლელობა გეხმარებათ, რათა დასახული გეგმები წარმატებით განახორციელოთ. სიახლეები ნუ დაგაფრთხობთ. **ქალწული** – ფინანსური მდგომარეობა სტაბილურია. დღეს იოლად მიიღებთ იმას, რაზეც ადრე მხოლოდ ოცნებობდით. **სასწორი** – ვარსკვლავები თქვენ მიმართ კეთილგანწყობილნი არიან. საკუთარ პოზიციებს ძალდაუტანებლად იმყარებთ. **ღრიანკალი** – დასვენებისა და მოგზაურობისათვის იღბლიანი დღეა. ენერგიით ივსებით. **მშვილდოსანი** – ფიზიკური დატვირთვა ფსიქოემოციურ მდგომარეობას გამოგიკეთებთ. მეგობრებთან ურთიერთობა დადებითად დაგმუხტავთ. **თხის რქა** – მოზღვავებული ენერგიის წყალობით ნებისმიერ რთულ საქმეს თავს სწრაფად გაართმევთ. წარმატება გელით მრავალ ახალ წამოწყებაში. **მერწყული** – იღბლიანი დღეა. შემოქმედებითი აქტიურობა თქვენს კარიერაზე დადებითად აისახება. **თევზები** – იფრთხილეთ. შესაძლოა ემოციებმა გძლიონ და ამის გამო ახლობლებთან ურთიერთობა დაგეძაბოთ. ერიდეთ სხვის საქმეში ჩარევასა და ნოტაციების კითხვას.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

## კროსვორდი B



**შვეულად:** 2. ლუდხანის ოფიციანტი გერმანიაში; 3. ტროპიკული ლერწამი, რომლისგანაც ამზადებდნენ საწერ მასალას ძველ ეგვიპტეში; 4. მცენარეთა გამოსაზამთრებელი სათბური; 5. ლხინი, დროსტარება; 6. სახელმწიფო არაბეთის ნახევარკუნძულზე; 8. ოპტიკური მოვლენა ატმოსფეროში; 11. ქალაქის ელექტროტრანსპორტი; 14. მათემატიკის ნაწილი; 15. ზღვისპირა კურორტი აფხაზეთში; 16. მასმედიის ერთ-ერთი სფერო; 17. პლანეტა მარსის ქართული სახელწოდება; 19. პრივილეგიური მემკვიდრეობითი წოდება ძველად საქართველოში; 21. ფრანგი მწერალი; 22. ჩინური ფინიკი.

**თარაზულად:** 1. წყნარი ოკეანისპირა კურორტი მექსიკაში; 5. ქართული ზღაპრების პერსონაჟი, ავი სული; 7. ალექსანდრე ყაზბეგის მოთხრობა; 9. ავადმყოფური მიდრეკილება ქურდობისადმი; 10. ოჯახის დედის სახელწოდება ძველად იტალიაში; 12. ტბა კანადა-აშშ-ს საზღვარზე; 13. თურქეთის ტერიტორიაზე მდებარე ქართული მონასტერი; 16. მძიმეწონიანი ტვირთების გადასაზიდი მისაბმელიანი ავტომობილი; 17. ხორბლის უძველესი ქართული ჯიში; 18. აღმოსავლური ტკბილეული; 20. მეტროს სადგური თბილისში; 22. ხელოვნების მუზეუმი ფლორენციაში; 23. წითელი ფერის ძვირფასი ქვა; 24. ზიარებისთვის განკუთვნილი მაღალხარისხოვანი წითელი ღვინო; 25. ესპანური სპორტული გაზეთი.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდის პასუხები:**

**თარაზულად:** 5. რაფინადი; 6. ენერგია; 8. როტონდა; 10. კომბაინი; 11. კიმონო; 13. კაიმანი; 16. ვირტუოზი; 18. დრაფი; 19. აბედი; 21. ამპლუა; 22. ამონიუმი; 23. ლევრეტი.

**შვეულად:** 1. კამპუჩია; 2. მარტი; 3. დენდრიტი; 4. მარილი; 7. ადამი; 9. ენოტი; 12. ენცეფალიტი; 14. სომალი; 15. ვიბრამი; 17. დროზერა; 20. იმამი.

**სკანვორდის პასუხები:**

1. არკა; 2. რა; 3. საკე; 4. ლემა; 5. სენა; 6. დასტა; 7. ირიდა; 8. აბაზი; 9. ამება; 10. არია; 11. მოამბე; 12. მიკრობი; 13. რუ; 14. მა; 15. ლირა; 16. ეკა; 17. ომარ; 18. სალამე; 19. პო; 20. პერუ; 21. რკო; 22. ოიდიპოსი; 23. ბაქია; 24. კონკა; 25. მარაო; 26. ქსი; 27. მნე; 28. სტიქსი; 29. ინჟინერი; 30. კურარე; 31. არამისი; 32. პი; 33. რაფ; 34. კონუსი; 35. სპა.

**სურათებზე:** ლიუსი ლიუ; ფერნანდო ლიორენტე

## მამუკა ლომაშვილს პოლიტიკური მოტივაციით თეატრი დაატოვებინეს



საბავშვო თეატრ-სტუდია „მაჩაბელას“ დამაარსებელი მამუკა ლომაშვილი 2012 წელს იხსენებს, როცა პედაგოგებითა და ბავშვებით პოლიტიკური მოტივაციის საფუძველზე თეატრიდან გაუშვეს.

მამუკა ლომაშვილი:

– 2012 წელს მე, ჩემი პედაგოგები და ბავშვები... პოლიტიკური მოტივაციის საფუძველზე, იძულებული რო გაგვხადეს ჩვენივე გაკეთებული თეატრიდან წამოვსულიყავით... ვინმეს ჰგონია იოლი გადასატანი იყო? 2 კვირაში 3 სპექტაკლს ვუშვებდით... ეგ არაფერი ხო?

## ლადო ბურდული: „დღემდე ეშინიათ ჩემი“



– რამდენ უმადურ თაობას უნდა დავემშვიდობო ცრემლიანი ღიმილით?! – კითხულობს მუსიკოსი და მომღერალი ლადო ბურდული:

– რა იყო ეს ქვეყანა ჩემამდე... და როგორ შევძელი რო შემეცვალა უკეთესობისკენ ის მე, ისე რომ, დღემდე ეშინიათ ჩემი მათ რატო? ვერ გაიგეს, ვინ ვარ მე, რადგან ჩემი უშიშრობა დამოუკიდებლობის მათ წარმოდგენებზე ძლიერია და ჩემი ძალა თავისუფლების კი მათთვის გამოუცნობი.

ვინ დაინახა ეს და ვინ არა? რამდენ უმადურ თაობას უნდა დავემშვიდობო ცრემლიანი ღიმილით?! და მიზეზი ერთი, მე ვნახე ის სიზმარი და მე გავიგონე ჩემში ის ხმა, რაც თქვენზე და თქვენს დროის წარმოდგენაზე ძლიერია... ამას ვეუბნებოდი თქვენს ბაბუებს და გავუმეორებ თქვენს შვილიშვილებსაც.

## თამაზ ტყემალაძე: „მაშინდელ„ჩეკას“ დღეს ჰქვია: ნიკა გვარამია, გრიშკა ვაშაძე, კიდევ ვაშაძე, ბოკერია, მელია...“



ლიტერატორი თამაზ ტყემალაძე ქვეყანაში არსებულ მდგომარეობას აფასებს და ნიკა გვარამიას, გრიშკა ვაშაძეს, კიდევ ვაშაძეს, ბოკერიას, მელიას დღევანდელ „ჩეკას“ უწოდებს:

– სალომე მოღალატეა, ქვეყნის მტერია... ასეთი მოღალატეები'აგერ, გუშინაც გვყავდნენ – ტიციან ტაბიძე, ვახტანგ კოტეტიშვილი, მიხეილ ჯავახიშვილი, ევგენი მიქელაძე, სანდრო ახმეტელი... მაშინდელ'„ჩეკას“ დღეს ჰქვია: ნიკა გვარამია, გრიშკა ვაშაძე, კიდევ ვაშაძე, ბოკერია, მელია და სხვანი. ნუ დავინდობთ!

## სამების საკათედრო ტაძრის საპატრიარქო გუნდი 20 წლის იუბილეს აღნიშნავს




27 დეკემბერს ჯანსუღ კახიძის მუსიკალურ ცენტრში ყოვლადწმიდა სამების საკათედრო ტაძრის საპატრიარქო გუნდი საიუბილეო კონცერტს გამართავს. სამების გუნდს დაარსებიდან 20 წელი უსრულდება.

თანამედროვე საგუნდო მუსიკასთან ერთად, კონცერტზე შესრულდება ფოლკლორის საუკეთესო ნიმუშები და საგალობლები.

საიუბილეო საღამოზე სოლისტები იქნებიან ნინო ქათამაძე, ზვიად ბოლქვაძე, ქეთევან ქართველიშვილი, ზვიად მიჩილაშვილი.

მიუხედავად იმისა, რომ თავდაპირველად სამების მგალობელთა გუნდს საიუბილეო კონცერტის ჩატარებაზე უარი უთხრეს, საბოლოოდ მაინც მოხერხდა ფინანსების გამონახვა და მგალობელი ბიჭების იუბილეს კონცერტით აღნიშვნა.

*მოამზადა ეკა ირემაშვილმა*

## პრეზიდენტის სასახლე ქართული ეროვნული მემკვიდრეობის საგანძურს უნდა დაეთმოს



– ერთსულოვნად მივმართოთ ჩვენი ქვეყნის ხელისუფალთ, რათა პრეზიდენტის სასახლე გადაეცეს კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრს, რომელშიც დაცულია წლების მანძილზე ქართველ მეცნიერთა ძალისხმევით მოძიებული, ჩვენი წინაპრების მიერ საუკუნეების მანძილზე შექმნილი ათი ათასზე მეტი სრულიად უნიკალური ქართული და უცხოენოვანი, მაღალმხატვრულ დონეზე შესრულებული ხელნაწერი, – აცხადებს ლია მელიქიშვილი:

– ცენტრში დაცულია ქართული დიპლომატიკის 50 ათასამდე ნიმუში, საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ მოღვაწე ქართველთა პირადი არქივები, ნივთები, ბიბლიოთეკები წლების მანძილზე ქვეყნის ხელისუფალთა მიერ ზრუნვამოკლებული, მხოლოდ და მხოლოდ ცენტრის რამდენიმე თაობის მეცნიერ თანამშრომელთა ერთგული სამსახურით მოღწეული ეს საგანძური.

მსგავსი საგანძურით ნებისმიერი ქვეყანა იამაყებდა და მოვლა-პატრონობას არ მოაკლებდა. ამ თვალსაზრისით მაგალითისათვის სომხეთის დედაქალაქში აღმართული „მატენადარანი“ და ამ ბოლო დროს ხელნაწერების უსაფრთხოების მიზნით კლდეში ნაკვეთი საცავების არსებობაც იკმარებდა.

## გიორგი ქებურია პრობლემების სუიციდით მოგვარებას არ ემხრობა

დიზაინერი გიორგი ქებურია, რომლის სამოსს და აქსესუარებს მსოფლიო ვარსკვლავები ატარებენ, პრობლემების სუიციდით მოგვარებას არ ემხრობა და ამ გადაწყვეტილებამდე მისულ ადამიანებს კეთილ რჩევას აძლევს:

– რა რთულია წუწუნის მოსმენა, მარა როგორ გინდა არ იწუწუნო, როდესაც ასეთი რთულია ცხოვრება. ჩემს წინ შპროტივით გადატენილი მარშუტკა გაჩერდა და გამახსენდა, მთელი თინეიჯერობა რო საზოგადოებრივ ტრანსპორტში მქონდა გატარებული. ჩემი სახლიდან ძალიან შორს იყო სამსახური, ერთ-ერთ სავაჭრო ობიექტში ვმუშაობდი მიზერულ ხელფასზე, მაგრამ ხმას არ ვიღებდი, რობოტივით დავდიოდი, ოღონდ ჯიბის ფული მქონოდა ოჯახური გაჭირვებიდან გამომდინარე.

მე მგონი, ღმერთს ძალიან შევეცოდე და წლების მერე ეგ არჩევანი მაინც მომცა, რო




ტაქსში ვიჯდე ოდნავ ვითომ მშვიდად, მაგრამ უფრო მეტი საზრუნავით. მაინც ფულზე უნდა ვიფიქრო, ვიშრომო რო შემოსავალი მქონდეს, ვიცი, ჩემს სფეროს ბევრი, როგორც ფეხი ფეხზე გადადებულს უყურებთ, რადგან ძირითადად დიზაინერები მდიდარი ოჯახის წევრები არიან ლოკალურად და მათი საწინააღმდეგო არაფერი მაქვს, პირიქით, რატომაც არა, ეგენიც შრომობენ, უბრალოდ საწყისია სხვა, ვიფიქრო, რო ოჯახის წევრებს, მეგობრებს, შეყვარებულებს, თანამშრომლებს გული არ დავწყვიტო, სათანადო ყურადღება მივაქციო, ფსიქოლოგი ვიყო, ვამშვიდო და გამოცდილება გავუზიარო, რაც გამოვიარე, ოდნავ რო მსუბუქად გაიარონ, რაც მე გამოვიარე.

თავს არ ვიქებ, უბრალოდ შრომა ყველაზე მეტად ფასობს და როგორ გინდა ნერვები დაიტოვო და თან ადამიანი იყო ამდენი პრობლემის ფონზე, ყველას ძალიან ბევრი პრობლემა გვაქვს! ყველას. ამ ყველაფრის ფონზე უიქენდზეც ჩემი თანატოლი ბიჭობა ზის ბირჟაზე და ტელეფონებში ტეტრისებს თამაშობენ, და ერთი ფეისბუქ ფრენდს სუიციდზე ეფიქრება, პერიოდულად სტატუსებს წერს თუ როგორ მობეზრდა ცხოვრება! სუიციდისთვის რა ასაკშიც არ უნდა იყოთ, მგონია, ყველა შემთხვევაში ჯერ ძალიან ადრეა პრობლემების სუიციდით მოგვარება.

## ბაგრატის სამხრეთით გამალებული მშენებლობა მიმდინარეობს



ბაგრატის ტაძრის სამხრეთით გამალებული მშენებლობა მიმდინარეობს. კახა ხიმშიაშვილმა გაავრცელა ინფორმაცია, რომ ამ მშენებლობის გამო, მალე ბაგრატის დიდებული ხედით ტკბობა შეუძლებელი იქნება:

– ქუთაისში ვიყავი, ჰოდა, აღმოვაჩინე, რომ ბაგრატის დიდებული ხედით, რომელიც სამხრეთიდან ჩანს, მალე ვეღარ დატკბებით.

მშენებლობაა გაჩაღებული და კიდევ ერთი სართული თუ დაადგეს, და ეტყობა დაადგამენ, ჩამოეფარება ბაგრატს.

თავად ნახეთ, ფოტოზე კარგად ჩანს ბაგრატის წინ მშენებარე ნაგებობა.

## ზედაზნის ციხეზე არქეოლოგიური სამუშაოები ჩატარდა




კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს დაფინანსებით, ზედაზნის ციხის ციტადელზე არქეოლოგიური სამუშაოები ჩატარდა.

ზედაზნის კომპლექსი მდებარეობს მცხეთის მუნიციპალიტეტში, მცხეთის ჩრდილო-აღმოსავლეთით, საგურამოს ქედზე, მდინარე არაგვის მარცხენა ნაპირზე, ზედაზნის მთაზე. ის იხსენიება წერილობით წყაროებში: ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ . ვახუშტი ბაგრატიონი ზედაზადენის შესახებ გადმოგვცემს: იალონის „მთის თხემსა ზედა, მჭურეტელი არაგვისა, მუხრანისა, ხერკისა, მცხეთისა და ტფილისისა, ალაშენა ციხე ... მეფემან ფარნაჯომ და აღმართა მუნ კერპი ზადენი, და ამითი ეწოდა მთასა ამას ზედაზადენი.

არქეოლოგიური სამუშაოების შედეგად დადასტურდა, რომ ეკლესიის აფსიდი სავარაუდოდ ადრე შუა საუკუნეებს მიეკუთვნება და მინაშენი მოგვიანო ხანის უნდა იყოს, ციტადელის სამხრეთ-აღმოსავლეთ კუთხეში დადასტურებული ამოშენებული სათავსო, სავარაუდოდ, გვიან შუა საუკუნეებს მიეკუთვნება. ამავე პერიოდით უნდა დათარიღდეს ციტადელის დასავლეთ ნაწილში გამოვლენილი კედლის ნაშთი. ციტადელის ჩრდილო-აღმოსავლეთ კუთხეში გამართული სათავსო ასევე გვიან შუა საუკუნეებს უნდა მივაკუთვნოთ.

რაც შეეხება სამარხის ნაშთებს, თანმხლები მასალის არარსებობის გამო, შეუძლებელია მათი დათარიღება.

ციტადელის მთელს ტერიტორიაზე მიწის სამუშაოების დროს დასტურდებოდა მრავალრიცხოვანი სამშენებლო ნარჩენები, კრამიტისა და აგურის ფრაგმენტები, აგრეთვე ციტადელის კედლებიდან ჩამოცვენილი სამშენებლო ქვა.

ზემოთ ჩამოთვლილი არქეოლოგიური ობიექტებიდან ეკლესიის, მინაშენისა და ციტადელის ჩრდილო-აღმოსავლეთ კუთხეში დადასტურებული ნაშთების გარდა, არც ერთი სხვა ობიექტი არ არის სამეცნიერო ღირებულების მატარებელი.



## ძაღლებმა უსახლკარო პატრონს საავადმყოფოში მიაკითხეს



ბრაზილიაში რამდენიმე ძაღლმა თავი საავადმყოფოს კართან მოიყარა და ელოდა თავის უსახლკარო პატრონს, რომელმაც დახმარებისთვის ექიმებს მიმართა.

სანტა-კატარინას შტატში მდებარე საავადმყოფოს თანამშრომელმა კრის მამპრიმმა განაცხადა, რომ უსახლკარო მათთან დაახლოვებით დილის სამ საათზე შევიდა. მამაკაცმა სახელად სეზარმა ითხოვა წამალი ავადმყოფობისთვის, რომელსაც ის მკურნალობს, მაგრამ, იმის გამო, რომ ის ჩვეულებრივ სხვა საავადმყოფოში დადიოდა, ექიმებს გარკვეული დრო დასჭირდათ მის გამოსაკითხად და გასასინჯად.

პაციენტთან საუბრის დროს მამპრიმ და მისმა კოლეგებმა ყურადღება მიაქციეს იმ ფაქტს, რომ შენობის შესასვლელთან სეზარს რამდენიმე ძაღლი მოთმინებით უცდიდა. მამაკაცმა აღიარა, რომ საკუთარ თავზე იკისრა მათზე მზრუნველობა, წინააღმდეგ შემთხვევაში მათ არავინ მიხედავდა. მან ასევე დაამატა, რომ ზოგჯერ თავად იკლებს საჭმელს და ძაღლებს აძლევს.

– ყველა ძაღლი კარგად მოვლილად გამოიყურებოდა. ვუყურებდი, თუ როგორ ელოდებოდნენ კართან მას და მივხვდი, თუ როგორ ძალიან უყვარს და ზრუნავს ის მათზე, – აღნიშნა ექიმმა. როგორც კი ექიმებმა სეზარს წამალი მისცეს, მას და მის საყვარელ ცხოველებს შესთავაზეს, მათთან ესადილათ. მამაკაცმა საკუთარი ულუფის ნაწილი შეინახა, რათა შემდეგ ძაღლები დაენაყროს.

*მოამზადა კახა ხატიაშვილმა*

## მამაკაცი რესტორნის მილში გაიჭედა და იქ ორი დღე გაატარა



ამერიკის კალიფორნიის შტატის ქალაქ სან-ლორენცოში მამაკაცი შენობის შიდა სავენტილაციო მილში გაიჭედა და იქიდან თავის დაღწევას ორი დღის განმავლობაში უშედეგოდ ცდილობდა. ამ ინფორმაციას ალამედას ოლქის შერიფის ოფისი ფეისბუქში საკუთარ გვერდზე ავრცელებს.

ის გადაარჩინეს მამაკაცის წყალობით, რომელსაც ცარიელ ჩინურ რესტორანში დაბალი ხმით ძახილი შემოესმა, რომელიც დახმარებას ითხოვდა. მან ექსტრემალურ სამსახურში დარეკა. შემთხვევის ადგილზე მისულმა პოლიციელებმა და მეხანძრეებმა დაადგინეს, რომ ხმა ლითონის სავენტილაციო მილიდან ისმოდა, რომელიც სამზარეულოდან სახურავისკენ მიემართებოდა.

მილის შიგნით აღმოჩნდა საკმაოდ დაუძლურებული 29 წლის მამაკაცი, რომელიც ერთიანად ქონსა და ზეთში იყო ამოსვრილი. ის სივიწროვის გამო მოძრაობას ვერ ახერხებდა და გაუწყლოვნება ტანჯავდა. მეხანძრეებს დაახლოებით ერთი საათი დასჭირდათ მამაკაცის სავენტილაციო მილიდან ამოსაყვანად, რის შემდეგაც ის სასწრაფო დახმარების მანქანით საავადმყოფოში გადაიყვანეს.

ჯერჯერობით გაურკვეველია, თუ რატომ შეძვრა მამაკაცი მილში. პოლიცია არ გამორიცხავს, რომ ის შენობაში უკანონოდ შეღწევას ცდილობდა.

– ჩვენ შევამოწმეთ, ის სანტა-კლაუსი ნამდვილად არ არის, – განაცხადა ოფიცერმა რეი კელიმ, რომელიც შერიფის ოფისში საზოგადოებასთან ურთიერთობაზე აგებს პასუხს.

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


**18 დეკემბრისთვის**

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 2.6678

ევრო — 3.0138

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.3590

100 რუსული რუბლი — 4.0173

## ამინდის პროგნოზი 18 დეკემბრისთვის




## „მის სამყაროს“ გამარჯვებული ფილიპინელი გოგონა გახდა



სილამაზის კონკურსი „მის სამყარო“ 24 წლის ფილიპინელმა გოგონამ კატრიონა გრეიმ მოიგო. ის ამ ქვეყნის მეოთხე წარმომადგენელია, რომელიც „მის სამყაროს“ ტიტულს დაეუფლა.

კონკურსზე მეორე ადგილზე „მის ვენესუელა“ სტეფანი გუტიერესი გავიდა. სილამაზის კონკურსი ტაილანდის დედაქალაქ ბანგკოკის საგამოფენო დარბაზში ჩატარდა.

კატრიონა გრეი სამშობლოში ცნობილია, როგორც ტელეწამყვანი, მომღერალი, თეატრის მსახიობი და მოდელი. გოგონას მამა წარმოშობით ავსტრალიიდანაა, ხოლო დედა ფილიპინელია.

## კანადაში დიდი ყვითელი ალმასი იპოვეს



კანადაში იელოუნაფიდან ჩრდილო-აღმოსავლეთით მდებარე დიავიკის საბადოში მსხვილი ყვითელი ალმასი იპოვეს.

გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ეს ყველაზე დიდი ალმასია მათ შორის, რომელიც კი ოდესმე ჩრდილოეთ ამერიკაში უპოვიათ.

ნაპოვნი ყვითელი ალმასის წონა 552 კარატს შეადგენს, ხოლო ზომები – 33,74 54,56 მილიმეტრზე.

ერთ-ერთი ადგილობრივი გამოცემა ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ეს ძვირფასი ქვა გვაჩვენებს იმას, თუ როგორ დიდ გზას გადის ალმასი თავისი ფორმირებიდან აღმოჩენამდე.

## „ოსკარის“ ქანდაკება თითქმის ნახევარ მილიონად გაიყიდა



ლოს-ანჯელესში გამართულ აუქციონზე „ოსკარის“ ქანდაკება გაიყიდა. ამ ინფორმაციას ერთ-ერთი ამერიკული გამოცემა ავრცელებს.

გამოცემის ინფორმაციით, საუბარია ჯილდოზე, რომელიც 1947 წელს გადაეცა სურათს „ჯენტლმენური გარიგება“, როგორც წლის საუკეთესო ფილმს.

აღსანიშნავია, რომ ქანდაკება 492 ათას დოლარად გაიყიდა და საერთოდ „ოსკარი“ ძალიან იშვიათად გამოაქვთ აუქციონებზე გასაყიდად, ვინაიდან მისი მიღება და არა ყიდვა შეიძლება.

## იუმორი

ერთი დაქალი მეორესეუბნება:

– როდესაც კი არ უნდა მოვიდე შენთან, ყოველთვის ახალი ბიჭი გყავს!

– როგორც კი ახალ ბიჭი მომყავს, მაშინვე ჩემთან ჩნდები!

•••

ორი ნაცნობი საუბრობს. ერთი მეორეს ეუბნება:

– ეეჰ, მამაჩემისთვის უნდა დამეგდო ყური, როდესაც ჯერ კიდევ პატარა ვიყავი, მე კი, სულელი, საერთოდ არ ვუსმენდი...

– და რას გეუბნებოდა?

– ღმერთმა უწყის, ხომ გეუბნები, ყურს არ ვუგდებდი...

•••

კაცი სახლში მივიდა, ტელევიზორის წინ დივანზე მოკალათდა, გვერდით ლუდი და თევზი დაიწყო, ჩართო ტელევიზორი, ფეხბურთი იწყება. ამ დროს კარზე ზარია. მივიდა, გააღო და კისერზე ულამაზესი გოგონა ჩამოეკიდა ძახილით:

– საყვარელო! გადავწყვიტე! ცოლად მოგყვები!

– ოჰ ამის! რაღა ახლა!!!

•••

სტუდენტს, რომელიც ლექციებზე გამუდმებით აგვიანებს, გაღიზიანებული პროფესორი ეკითხება:

– ჯარში იმსახურეთ?

– დიახ.

– მერე, რას გეუბნებოდათ სერჟანტი, როდესაც დილის მოწყობაზე აგვიანებდით?

– „გამარჯობა, ბატონო ლეიტენანტო!“

•••

მასწავლებელი მათემატიკის გაკვეთილზე გიგის ეუბნება:

– წარმოიდგინე, რომ 200 ლარს გაძლევ. შენ 50 ლარს აძლევ მარინას, 50-ს – ლამარას, 50-ს – თინიკოს, რა გექნებათ?

– ორგია...

•••

ორი ქალი საუბრობს. ერთი მეორეს ეკითხება:

– რა გეგმები გაქვს ახალი წლისთვის?

– არანაირი.

– მაინც?

– ჯერ მოვამზადებ და დავალაგებ... მერე შევჭამ და დავანაგვიანებ...

•••

ცოლი ქმარს ეკითხება:

– ძვირფასო, რაიმე სანუკვარი სურვილი თუ გაქვს?

– კი, შენთვის პირის აკვრა.

– სულ ეგ არის?..

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**


## ბოაი




ჩინური მედიცინის ცენტრი და აფთიაქი

საუკეთესო ეფექტი მოკლე პერიოდში

– გულ-სისხლძარღვთა დაავადებები, კუჭ-ნაწლავის ტრაქტი, ღვიძლი, სასუნთქი სისტემა
– ნერვული სისტემა, ხერხემალი, სახსრები
– კანის დაავადებები
– უროლოგია
– გინეკოლოგია



მისამართი: ქ.თბილისი, დ.ყიფიანის ქ. №2
ტელეფონი: 2 47 91 12
10.00-19.00 სთ. შაბათ-კვირის ჩათვლით.




ანშენ ბუსინ ვან

უძილობა, არითმია, თავბრუსხვევა, ყურში შუილი, ნერვული გადაღლილობა




სიაო ჰუო ლუო დან

რევმატიზმი, სახსრების ტკივილი, მთლიანი სხეულის გამაჯანსაღებელი

არც ერთი წამალი არ შეიცავს ქიმიურ დანამატს

მისამართი: ქ.თბილისი, დ.ყიფიანის ქ. №2
ტელეფონი: 2 47 91 12. 10.00-19.00 სთ. შაბათ-კვირის ჩათვლით.


## პაველ ნედვედი: „იუვენტუსს კენჭისყრაში არ გაუმართლა“



იუვენტუსის სპორტულმა დირექტორმა პაველ ნედვედმა განაცხადა, რომ იუვენტუსს არ გაუმართლა და მადრიდის ატლეტიკოს სახით მას ძლიერი მეტოქე შეხვდა.

ნედვედის აზრით, ატლეტიკოსთან ორივე შეხვედრა ძალიან დაძაბული და საინტერესო იქნება და ყველაფერს მცირე დეტალები გადაწყვეტს:

– სამწუხაროდ, მერვედფინალში უკვე ძალიან ძლიერი მეტოქე გვყავს, რომელთანაც ბოლომდე უნდა დავიხარჯოთ, თუმცა ჩვენ იუვენტუსი ვართ და ნებისმიერი გუნდი უნდა დავამარცხოთ. წინ ძალიან დაძაბული შეხვედრები გველის.

## იურგენ კლოპი: „ბაიერნი რთული მეტოქეა“



ლივერპულის მთავარმა მწვრთნელმა იურგენ კლოპმა ბაიერნთან დაპირისპირებაზე ისაუბრა და თქვა, რომ ლივერპულისთვის ეს რთული შეხვედრები იქნება.

კლოპმა დაამატა, რომ მას უხარია გერმანიაში დაბრუნება.

– ვიცოდი, რომ რთული მეტოქე გვეყოლებოდა, ამიტომ მზად ვარ. ბაიერნი მსოფლიო ფეხბურთის გრანდია და მათ დასამარცხებლად სრულყოფილი ფეხბურთი უნდა ვაჩვენოთ. მიხარია, რომ გერმანიაში მომიწევს დაბრუნება, – განაცხადა იურგენ კლოპმა.

**მოამზადა ბექა გოგინაშვილმა**

## პოლიციის ძაღლის ფეხსაცმელთან შეგუების ვიდეომ ინტერნეტ-მომხმარებლები გაამხიარულა



ამერიკის სამხრეთ აკოტას შტატში პოლიციის ძაღლებს ქუჩის პატრულირებისთვის საგანგებო ფეხსაცმელი დაურიგეს. ვიდეორგოლი, რომელზეც ასახულია, თუ როგორ ეგუება ახალ აღჭურვილობას ავჩარკა, სახელად ჯერი, იუთუბიზე იქნა განთავსებული.

ძაღლი თავდაპირველად აშკარად უკმაყოფილო დარჩა ფეხსაცმელით და ყველანაირად ცდილობდა, მათ მოშორებას, მაგრამ როდესაც მიხვდა, რომ ამის გაკეთებას ვერ შეძლებდა, ჯერ სიარული დაიწყო, შემდეგ კი უკვე გამყოლის ბრძანებებსაც ასრულებდა.

ძაღლებისთვის საგანგებო ფეხსაცმელი იმისთვის შექმნეს, რომ მათი თათები ზაფხულში გახურებული ასფალტის, ხოლო ზამთარში მოყინვისგან, ასევე მიწაზე დაყრილი მჭრელი საგნებისგან იხსნას.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## კროსვორდი ა




**შვეულად:** 1. ქართველი მწერალი, რუსთაველის პრემიის ლაურეატი; 2. სასოფლო-სამეურნეო ტექნიკური ბოჭკოვანი მცენარე; 3. რხევათა სიხშირის საზომი ერთეული ფიზიკაში; 4. ძველი წერილობითი საბუთების საცავი; 6. ფუტკრის სკის შავი ფიჭა; 9. სამიჯნურო ხასიათის, ოთხსტრიქონიანი სპარსული ლექსი; 13. ჩრდილო ამერიკაში მზარდი გიგანტური წიწვოვანი ხე; 14. ქართული ჩაი; 15. პატარა სასაუზმე საფრანგეთში; 17. კვების პროდუქტების შესაფუთად გამოყენებული ფერადი ლითონების სიფრიფანა ფურცელი; 18. გერმანელი მწერალი ქალი, ნობელის პრემიის ლაურეატი; 20. ფულის ერთეული ალბანეთში.

**თარაზულად:** 1. ფირმა „ადიდასის“ ერთ-ერთი დამფუძნებელი; 5. აეროპორტი პეკინში; 7. სოფლის შარაგზა; 8. ფრანგ კომედიოგრაფ პოკლენის ფსევდონიმი; 10. დადუღებული ყურძნის წვენი; 11. სოხუმის ძველი სახელწოდება; 12. მაროკოს დედაქალაქი; 16. უღრანი, ტროპიკული ტყე; 17. მრავალსაჭრისიანი ლითონის დასამუშავებელი იარაღი; 19. ქართული ზღაპრების პერსონაჟი, ბოროტი, ავი სული; 21. დანიელი არქიტექტორი, სიდნეის ოპერის თეატრის პროექტის ავტორი; 22. ისტორიული სამთავრო დასავლეთ საქართველოში; 23. ერბოში ჩახარშული ყველისგან მომზადებული აჭარული კერძი; 24. ჩრდილოეთ ამერიკაში გავრცელებული გარეული ხარი.

**შეადგინა თ.კოპალეიშვილმა**